



ISSN 0132-1307

# საბჭოთა სელოვნება

1981 5

# საბჭოთა სელოვნიკა

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ყოველთვიური შპრნალი

## შინაარსი

ოთარ თაქთაიშვილი — პარტული საბამოთა კულტურის 60 წელი . . . . .	2
ლიმირი ალექსიძე — პარტული საბამოთა თეატრის 60 წლისთავი . . . . .	5
ელდარ შენგელაია — ალგავლუბის ზრით . . . . .	11
ვახტანგ ბერიძე — პარტული ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევები . . . . .	15
გულბათ ტორაძე — მინების და წარმატების ზრით . . . . .	29
ლელა თაბუკაშვილი — პარტული მხატვრობის ალგავლობა . . . . .	40
პარტული საბამოთა სახვითი ხელოვნების ბამოშინა ლენინბრადში . . . . .	44
ირაკლი ციციშვილი — ძებლთა ახალი სიცოცხლე . . . . .	50
თენგიზ კვიციანი — პარტული საბამოთა არქიტექტურა ახალ მიჯნაზე . . . . .	59
საარტაკ რეხვიაშვილი — ომბადახდელი მხატვარი . . . . .	68
გივი ორჭონიძე — სიტყვა მუსიკოსებსა და მწერლებს სკკპ XXVI ყრილობის გადამწვევებლებათა შექმე . . . . .	70
ვენორ ქვარჩხია — „ჯდა მტრულად წულისა კირსა“ ანთ რუსთაველის ხელოვნება . . . . .	79
პეტერ ბრუკი — ცარნიელი სიგრივი . . . . .	85
გიორგი ხუბაშვილი — მოსხვი ფოტოგრაფის მოგონებანი (პიესა) . . . . .	92
ქრონიკა . . . . .	117

**თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ფოტოგრაფია**

მთავარი რედაქტორი  
თამაზ შილაძე  
სასრედაქციო კოლეზია:  
აააკი ბაბრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ნოდარ გაბუნია,  
ჯუმბარ თითოშვილი  
(ასუსხისმბობელი მდივანი),  
ვანო ქიქნაძე,  
ნოდარ მგალობლიშვილი,  
ჯურაბ ნიშანაძე,  
გივი ორჭონიძე,  
ნათელა ურუხაძე,  
რევაზ ჩხიმიძე,  
ანტონ ვალუაძე,  
ნიკო ბაგვაძე,  
ნოდარ ჯანაბერიძე



# 60

# 1921-1981

## ქართული საბჭოთა კულტურის 60 წელი

ოთარ თაქთაქიშვილი

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

საბჭოთა საქართველოს 60 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღები უნებურად ბადებენ სურვილს გაახედო განვილო გზას, დააჯამო ათეული წლების მანძილზე წარმოებულ შრომით და შემოქმედებითი პროცესების შედეგები, წარმოაჩინო მიღწევები, ნაკლოვანებები, წარმატებები.

თვალის ერთი გადავლებითაც თვალსაჩინოა ის შეუჩერებელი წინსვლა და აღმავლობა, წითელ ზოლად რომ გასდევს ქართული საბჭოთა კულტურის რეტროსპექტი-

ვას, სადაც თავს იყრის მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, მოვლენა, მონაპოვარი, ოქროს ასოებით აღბეჭდილია სხვადასხვა თაობის მრავალი გამოჩენილი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის, რეჟისორისა და მსახიობის, კომპოზიტორისა და მუსიკოს-შემსრულებლის სახელი. მათი ნამოღვაწარით ამაყობს მადლიერი ქართველი ხალხი. გავისხენით თუნდაც ქართული საბჭოთა ხელოვნების ფუძემდებლები — კოტე მარჯანიშვილი და სანდრო აბშეტელი, ზაქარია და ივანე ფალია-

შვილები, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი, ვერვიკი ანჯაფარიძე, ავაკი ხორავა, ავაკი ვასაძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, ანასტასია ვირსალაძე, ანა თულაშვილი, სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმისაშვილი, დ. ანდლელაძე, ვ. შიქელაძე, ვ. ჰაბუტაიანი და მრავალი სხვა, რომლებმაც თავიანთი ქიბურ ტალანტის, პროფესიული ისტატობის, მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერებისა და პატრიოტული შემართების წყალობით უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა ხელოვნების ფორმირებისა და განვითარების პროცესში.

დაიხ, უმდიდრესი მატიაზე აქვს შექმნილი ქართული საბჭოთა ხელოვნების ყველ დარგს — თეატრს, მუსიკას, კინოს, ქორეოგრაფიას, სახეიასა და სამშენ-რეგებლო ხელოვნებას, ზურთომოდღებებს, რომელთა მიღწევებმა კარგა ხანია ჰპოვეს როგორც საეკვიპორო, ისე საერთაშორისო რეზონანსი.

საბჭოთა საქართველოს ხელოვნებას, მის ინტენსიურ განვითარებას იმთავითვე სწორი გეზი და მიმართულება მისცა „ფორმით ეროვნული და შინაინათ ინტერნაციონალური“ ხელოვნების შექმნის ლენინურმა იდეამ, შესანიშნავი ნაყოფი რომ გამოიღო, რადგან სამუშაოება მოგვცა შემოქმედებითად გამოგვეყენებინა ქართული ხელოვნების, ჩვენი უნიკალური ფოლკლორული მემკვიდრეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ამ მყარ საძირკველზე დაგვეწერა ზოგადსაეკონომიკური ესთეტიკური აზროვნების დიდი მონაპოვარი. სინეზორების ამ პროცესმა, რომლის პოტენცია ამოუჭურავი აღმოჩინდა და რომელიც დღესაც ვითარდება, წარმოქმნა შემოქმედებითი აზროვნების სრულიად ახალი და ფრიად ორიგინალური სისტემა, გამოხატულება რომ ჰპოვა ქართული საბჭოთა ხელოვნების სხვადასხვა ეანრისა და ფორმის მალაქმატერულ ქმნილებებში და გააძაფრებდა როლი შესარულა ჩვენი სინამდვილისათვის შესატყვისი შემოქმედებითი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში.

რა თქმა უნდა, ეს რთული პროცესი ვერ განვითარდებოდა შემოქმედებითი ამოცანების რეალისტისათვის იმთავითვე რომ არ შექმნილიყო ხელისშემწყობი პირობები. ცვლელსსმობ სხვადასხვა პროცესის აღმზრდელობით და შემოქმედებითი კერების დაარსებას, რის შედეგადაც ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა შემოქმედებითი კავშირები, თეატრალური დასები, მუსიკალური კოლექტივები, სპეციალიზებული სახელოვნო სკოლები და სასწავლებლები, კულტურის სახლები და სასახლები, დანერგა მხატვრული ნაშუშევარა გამოფენის ტრადიცია, საფუძველი ჩაეყარა ისეთ მასშტაბურ ღონისძიებებს, როგორცაა შემოქმედებითი ყროლობები, პენსიუმები, დისკუტები და სიმპოზიუმები, სხვადასხვა: დანიშნულების დათვალერებები, კონკურსები, ფსტივალები, ოლიმპიადები, მასობრივი ფოლკლორული დღესასწაულები, რამაც ფართო ასპარეზი შეუქმნა არა

მარტო პროფესიონალთა ზრდასა და დაოსტატებას, არამედ თვითმოქმედების განვითარებასაც.

შემოქმედებითი კერების დაარსების პროცესი კვლავაც ვითარდება, რასაც გვიმოწმებს თუნდაც უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩამოყალიბებული რესთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი და ვიკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი“, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და სიმფონიური ორკესტრი, თბილისში დაარსებული „მეგობრობის“, პანტომიმის, მინიატურების, ფოლკლორული თუ გლდანის დასახლებაში ახლახანს შექმნილი სახელმწიფო თეატრები, ძეგლთა დაცვის კომიტეტი, ბათუმისა და სოხუმის სიმფონიური ორკესტრები, საქართველოს სხვადასხვა რაიონში დადგენილი სკულპტურული ძეგლები, ჩვენი ტრადიციის ამა თუ იმ კუთხეში ჩამოყალიბებული საგუნდო კაპელები, ვიკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, საგამოფენო დარბაზები და ა. შ.

ყოველივე ამან განაპირობა ახალი კულტურული ცენტრების აქტივობისა, რის შედეგადაც ქართული საბჭოთა ხელოვნების მშენებლობის პროცესში ჩაბმულა მთელი ჩვენი რესპუბლიკა, სადაც ყველაფერი კეთდება ეროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონების, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების განვითარების, ქეშპარტიად თანამედროვე იდეურ-მხატვრული ტენდენციების განვითარებასათვის, მოხსნილია ყოველნაირი წინააღმდეგობა ტრადიციების აღმოჩენის, ზრდის, დაოსტატებისა და მათი დაწინაურების გზაზე.

შთავაჩი კი ის არის, რომ აღმზრდელობით სისტემის დანერგვამ, ფართო მასშტაბით, იმთავითვე მძლავრი ბიძგი მისცა პროფესიონალისათვის პროცესს, რაც საბჭოთა ეპოქის უზარმაზარ მონაპოვარს წარმოადგენს დრამაც ევროპული კულტურის დონეზე აიყვანა ქართული ხელოვნების ესა თუ ის დარგი. ამას გვიმოწმებს 60 წლის მანძილზე შექმნილი ჩვენი დიდი ეპოქის შესატყვისი, ჯანსაღი ეროვნული სული, ჰუმანისტური პათოსითა და სოციალური ძვერადობით გამსჭვალული მრავალი საყოველთაოდ განმარტებული სექტატული, მუსიკალური ნაწარმოები, კინო თუ ტელეფილმი, სახეიო ხელოვნების ნიმუში, მუსიკოს-შემსრულებელთა შემოქმედლება აღნიშნული რესპუბლიკური თუ სახელმწიფო პრემიებით, საეკვიპორო თუ საერთაშორისო ლაურეატობის ტიტულებით, რაც პარტისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთ თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს. ამასვე გვიმოწმებს საქართველოს კომპარტის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ანზ. ე. შუვარდნიას მოხსენება, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია: „ჩვენ მივეხადებებით 70-იანი წლების ქართულ ხელოვნებას — ჩვენი თეატრის ნოვატორობის, ორთმსაც შეუძლია თანამედროვის თვალთ წაყიობის კლასიკოსები, მივეხადებებით კინემატოგრაფისტებს, რომელთა ფილმები სულ უფრო ხშირად იღებენ საყავ-





ლიბერატორისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! შეჰყვინით ჩვენი დიდი საფორუმო შესაფარისი ნაწარმოებები!

მაღალ აბარეთ საბჭოთა ხელოვნების იდეურების, პარტიულისა და ხალხურების დროს!

საკვ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები 1981 წლის კვირული მაისისათვის

შირო და საერთაშორისო პრემიებს, მივსალმებით მხატვრებსა და კომპოზიტორებს, ფერითა და მანგიით რომ ახსავენ დროის მერიოკასა და ადამიანებს, მივსალმებით ყველას, ვინც შეზარის თანამედროვეობს და ვინც თავისი შემოქმედებითი მერმისისაყენ მიისწრაფვის...

მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გახდა შესაძლებელი ქართული ხელოვნების გასვლა საკავშირო და საერთაშორისო ასარეზზე. მომე რესპუბლიკებსა და სახლგარეეთის ქვეყნებში არა ერთხელ გამართულა ქართული ხელოვნების დეკადები, ქართული კულტურის კვირეულები, ქართველ მხატვართა პერსონალური გამოფენები, ქართველ კომპოზიტორთა საავტორო კონცერტები, მუსიკოს-შემსრულებელთა და შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლები... ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთ არის ეროვნული კულტურის პროპაგანდის მრავალფეროვანი საშუალებები, რომლებმაც უდიდესი სამსახური გაუწიეს ქართული ხელოვნების ყველა დარგს და განსაკუთრებით ჩვენს დიდებულ ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებიც აღფრთოვანებს იწყვენ როგორც სპეციალისტთა, ისე მუსიკის მოყვარულთა წრეებში.

ხელოვნების პროპაგანდა ესოდენ ფართო მასშტაბით დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. მთავარია ის, რომ საკავშირო და საერთაშორისო ორბიტაზე, გასვლის გზით ფართოდება ინტერნაციონალური კავშირები, რომლებიც წინადაგს უქმნინა ხალხთა კულტურული მონაპოვების ურთიერთშემოქმედების შემოქმედებით პროტესს, რომელსაც მოაქვს ძალიან კარ-

გი შედეგი, როგორც მომე ერების დაახლოების, ისე ეროვნული კულტურის განახლებისა და გაძლიერების მხრივაც. ამ პროტესის გაძლიერების მიზნით ჩვენს რესპუბლიკაშიც დაინერგა საკავშირო თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მხატვრულ ღონისძიებათა — ფესტივალები, კვირეულები, გასტროლები, კონცერტები, სიმპოზიუმები — ჩატარების ტრადიცია. ამ გზით ქართულმა ხელოვნებამ გადალახა ეროვნული კარჩაკეტილობის საზღვრები და თანდათან თავისი ადგილი დამკვიდრა თანამედროვე საბჭოთა კულტურის ავანგარდში. ქართული საბჭოთა ხელოვნების აღმავლობის ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი შემოქმედებითი ატმოსფეროს შემშვივობით, რაზედაც საქართველოს კომპარტის XXVI ყრილობის ტრიბუნის მოვკახსენა აშხ. ე. შუკარინაძემ: „მაღალიდური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის უოველმხრივ მასტიმულირებელი ატმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს კომპარტის უკანასკნელი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაპოვარია“...

ამ სიტყვების დასადასტურებლად მოვევკოვება მრავალი მაგალითი შემოქმედებითი პრაქტიკიდან, რომელიც დღითიდღე მდიდრდება ქეშმარტად მაღალიდური და მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშებით, უნიკეირეს ქართველ ხელოვნათა სახელებით, თანდათან რომ აჰყავთ თანამედროვე ქართული საბჭოთა კულტურა საერთაშორისო მიწვეების დონეზე.



# ქართული საბჭოთა თეატრის

## 60 წლისთავი

დამიტრი ალექსიძე

წლებადელი წელი ჩვენს დიად ქვეყანაში უდიდესი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენებითა და მიღწევებით აღინიშნა. დიდი გამოახილი ჰპოვა საბჭოთა კავშირის თითოეული ადამიანის გულში ჩვენი პარტიის ოცდამეექვსე ყრილობამ, რომელმაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიული მიღწევები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიადი დოკუმენტია და მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად ითვალისწინებს მშრომელი ხალხის კომუნისტური იდეებით აღზრდასაც. ცდილობს ამაღლოს საბჭოთა ადამიანის ინტელექტუალური და ესთეტიკური მოთხოვნილებები, გახადოს იგი ზნობრივ, კულტურულ და შეგნებულ პიროვნებად, ხოლო ყველაფერი ეს რომ დასახული პროგრამის მიხედვით განხორციელდეს, ჩვენ, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, უაღრესად დიდი მოვალეობა გვეკისრება და მე იმედი მაქვს, რომ ამ მოვალეობას ჩვენ თავს გავართმევთ.

კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის პროგრამა უკვე ხორციელდება. მეთერთმეტე ხუთწლედმა უკვე გადადგა პირველი გიგანტური ნაბიჯები და ამ შესანიშ-

ნავ მოვლენას წელს დამთავრა კიდევ ერთი დიდი ისტორიული ფაქტი, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის მესამე ოც წლისთავი. სწორედ სამოცი წლის წინათ დაიწყო ფართო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარდაქმნები ქართველი ხალხის ცხოვრებაში და დღეს ჩვენი რესპუბლიკა როგორც ეკონომიკურად, ასევე კულტურულად მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და ამ მიღწევებში ქართულ საბჭოთა თეატრსაც მიუძღვის თავისი წვლილი.

ქართველი ხალხის კულტურულ ტრადიციებს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მოყოლებული ანტიკური ხანიდან, ჩვენი ხალხი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ხელოვნების ყველა დარგისადმი, მათ შორის თეატრალური ხელოვნებისადმიც. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოგვეპოვება. საკმარისია დავასახელოთ უფლისციხის კლდეში ნაკვეთი თეატრალური წარმოდგენებისთვის გათვალისწინებული ნაგებობა, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი თეატრალური ნიღბები, სახალხო სახიველები, საჭირწილო და სამგლოვიარო რიტუალები, რომლებიც თითქმის მთლიანად თეატრალიზებულია და მრავალი სხვა ჩვენი ხალხის თეატრისადმი სიყვარულს — ისიც ადასტურებს, თუ რა





ა. ხორავა — კარლ შოროი („ყაჩაღები“)

სწრაფად შესძლო ჩვენმა საზოგადოებამ რუსეთთან შეერთების შემდეგ ნამდვილი თეატრის აღდგენა და რა დიდი პოპულარობა მოიპოვეს ხალხში ჩვენმა ნიჭიერმა დრამატურებმა, რეჟისორებმა და მსახიობებმა. რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თეატრალურ ხელოვნებას ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე. ამ უკანასკნელმა ამ ასი წლის წინათ თეატრალური საზოგადოების წესდებაც შეადგინა. უდიდესი ღვაწლი დასდეს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას ვ. აბაშიძემ, ვ. გუნიამ, კ. მესხმა, ლ. მესხიშვილმა და სხვა მრავალმა გამოჩენილმა რეჟისორმა და მსახიობმა, მაგრამ თეატრალური ხელოვნების ქვეშაირი აღმავლობა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შეუქმნა ქართველ რეჟისორსა და მსახიობს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ფართოდ გამოემყვანებინა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი უნარი. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ძველი, დრობოტული კულტურული ფასეულობის უკუგდება და ახლის შექმნა, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი მომავლის თეატრს, რომელსაც სათავეში ედღე ჩვენი დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მე ვესწრებოდი პირველ ქართულ საბჭოთა სპექტაკლს, რომელიც დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით. «ცხვრის წყარომ» ერთხელ უკვე მოახდინა სასწაული კიევიში, მაგრამ ამ სპექტაკლმა ჩვენზე, თბილისელ მაყურებლებზეც არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ჩვენი სახელმწიფო მსახიობები უ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, აკ. ვასაძე და მთელი პლენადა შესანიშნავი მსახიობებისა. ამ სპექტაკლმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და არა მარტო ჩემზე, მთელი დარბაზი ქუხდა, ყველა აღტაცებული და გაოგნებული იყო და, იცით, რამ გამოიწვია ამგვარი აღტაცება და გაოგნება? ქართული თეატრი სწორედ იმ დღეს ამაღლდა პირველად ნამდვილი პროფესიული თეატრის ღონემდე, ეს იყო სინთეტური ხელოვნება, მრავალი კომპონენტისაგან შემდგარი სპექტაკლი, სადაც, როგორც მსახიობთა ოსტატობა, ასევე დეკორაცია, მხატვრობა, მუსიკა თანაბარ ღონეზე იდგა. ეს იყო დიდი მოვლენა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ასე ჩაეყარა საფუძველი ქართულ საბჭოთა თეატრს და ამ თეატრის ფუძემდებლები იყო რუსეთში უკვე კარგად ცნობილი უნიჭიერესი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც თათრობიდან ერთად მაინამდე მოსკოვში უკვე შექმნა „თავისუფალი თეატრი“, რომელიც იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამ თეატრის ფარად დიდხანს ეცადა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. რამდენჯერ გვიჩვენებია იგი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ცნობილი რეჟისორებისა და მსახიობებისთვის და ისინი ყოველთვის აღტაცებით შესიქვროდნენ ამ ისტორიულ რელიკვიას.

კოტე მარჯანიშვილი სპექტაკლს სპექტაკლზე დგამდა და ყოველი მათგანი დიდი ზემოქმედებით ქართული ხალხისთვის. შემდეგ მოხდა განხეთქილება რუსთაველი თეატ-

რის ორ დიდ რეჟისორს — კოტე მარჯანიშვილს და მის მოსწავლეს სანდრო ახმეტელს შორის. ჩემის აზრით, ამ განხეთქილებამ სარგებლობა უფრო მოუტანა ქართულ თეატრს, ვიდრე ვნება, საქართველოში შეიქმნა კიდევ ერთი შესანიშნავი თეატრი, რომელსაც სათავეში ედგა კოტე მარჯანიშვილი და ეს თეატრი ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე ერთ-ერთი უბრწყინველესი შემოქმედებითი კოლექტივია. განხეთქილებიდან ერთი წლის შემდეგ, როცა მარჯანიშვილის თეატრი თბილისში ჩამოვიდა და საზოგადოებას უჩვენა ცნობილი სპექტაკლი „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რომელსაც ალბათ, სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა, მთელი თბილისი ალტაცებული იყო მარჯანიშვილულთა ნიჭითა და ოსტატობით. ეს ორი თეატრი დღეს არა მარტო ქართველ მყურებლებს ახარებს, არამედ ჩვენს ქვეყნის და საზღვარგარეთის მრავალი თეატრის მყურებელსაც.

გავიდა წლები, ძველი თაობა ახალმა შესცვალა. მე მუშაობა დავიწყე რუსთაველის თეატრში, სადაც ოცდაათი წელი გავატარე, აქედან ათი წელიწადი თეატრის ხელმძღვანელი ვიყავი და საკუთარი თვლით ვხედავდი, რა ხდებოდა რუსთაველის თეატრში, როგორი გავაცოცხლებით ვადგენდით თვალყურს როგორც რეჟისორები, ასევე მსახიობები მარჯანიშვილის თეატრის ცხოვრებას. ჩვენს შორის გამართა ნამდვილი შეჯიბრი, ერთ-

მანეთს ეჯიბრებოდა ორი უაღრესად საინტერესო და პროფესიულად დაოსტატებული შემოქმედებითი კოლექტივი და ამ შეჯიბრში მხალოდ ქართული თეატრალური ხელოვნება იმარჯვებდა. მარჯანიშვილის თეატრში თავმოყრილი იყო უაღრესად ნიჭიერი მსახიობების მთელი თანავარსკვლავედი: უჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, შ. დამაზიძე, პ. კობახიძე, ს. ზაქარიაძე, ს. ჟორჯიანი, ა. კვანტალიანი, ვ. გომიაშვილი ვ. გვეგულიძე და მრავალი სხვა. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მსახიობი თითო თეატრს დაამშვენებდა და აალორბინებდა. ამ ორი თეატრის სპექტაკლებმა ფართო რეზონანსი ჰპოვა სამკოთა კავშირში. მათ წარმატებებს თვალყურს ადევნებდნენ და ენაშურებოდნენ. მე მასხვს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების დეკადა მოსკოვში. თითოეულ თეატრს თავისი ხელწერა ჰქონდა და გამოირჩეოდა ნიჭიერი შემსრულებლებით. ვასო გომიაშვილი თამაშობდა რიჩარდ III-ს და თამაშობდა დიდებულად, პარალელურად კი რუსთაველის თეატრმა მყურებელს უჩვენა „ოდიზოს მეფე“. განა საოცარი არაა, რომ ერთ თეატრს ოდიზოსის როლის სამი შემსრულებელი ჰყავდა, თამაშობდნენ ა. ხორავა, ს. ზაქარიაძე და ე. მანგალაძე და სამივეს ალტაცებაში მოჰყავდა მყურებელი. ზოგ თეატრში ოდიზოს მეფის როლის ერთი შემს-

სცენა სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა“





რულზელიც კი არ ჰყავთ, აქ კი უმცრად სამი აღმოჩნდა და სწორედ ტლანტების ის სიუხვე აკვირვებდა მოსკოველ მაყურებელს.

ჩვენი თეატრალური ხელოვნების ბედნიერება ისაა, რომ ეს ტრადიცია გრძელდება და საქართველოში ახლაც ბევრია დიდი ტლანტით დაჯილდოებული მსახიობი და მათი თამაში ახლაც ისევე აკვირვებს, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მაყურებელს, როგორც ადრე აკვირვებდა. ჩვენში ისევე გამოჩნდნენ დიდი რეჟისორები, რომელთა სპექტაკლებმა შორს გაითქვა სახელი და მე მიხარია, რომ ისინი ჩემი მოწაფეები არიან, ვგულისხმობ რ. სტურუასა და თ. ჩხეიძეს. აქვე მინდა შევინიშნო, რომ თ. ჩხეიძე ახლა სათავეში ჩაუდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრს და იმედი მაქვს, რომ ეს თეატრი კვლავ გაავსახრებს შესანიშნავი სპექტაკლებით.

რუსთაველის თეატრმა კი ამ ბოლო დროს დიდ წარმატებებს მიაღწია და ხელი შეუწყო ქართული თეატრალური ხელოვნების საერთაშორისო აღიარებას. მე პირადად ვარ იმის მომსწრე, თუ რა დიდი მოწონება და იმსახურა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებმა „კავკასიური ცარკის წრეში“ და „რიჩარდ მესამეში“ ინგლისში. ოვაციები არა მარტო ამ სპექტაკლების დამდგმელ რეჟისორს ხვდა წილად, არამედ თითოეული როლის შემსრულებელსაც. ედინბურგის ფესტივალის დამთავრების შემდეგ შეხვედრა მოგვიწყო დიდი ბრიტანეთის მსახიობთა კავშირმა, ყველა დანტერესებული იყო საქართველოში, გვეკითხებოდნენ ჩვენი კულტურისა და თეატრალური ხელოვნების შესახებ, მსახიობთა აღზრდის მეთოდზე, ხოლო როცა გაიგეს, რომ მე რამაზ ჩხიკვაძის აღმზრდელი ვარ, ერთმა ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა მიიხრა, წამოყვანეთ თბილისში და აღმზარდეთ ისეთ მსახიობად, როგორც რამაზ ჩხიკვაძეაო. ეს გახლავთ ფაქტი, ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, თუ რა მწვერვალებს მიაღწია დღეს ქართულმა საბჭოთა თეატრმა და მე იმ წუთებში დიდად ვამაყობდი ჩვენი ხალხით და ჩვენი ქვეყნით. როცა ისეთი სახელმოხვეჭილი რეჟისორი, როგორც პიტერ ბრუკია, სიტყვებს არ იშურებს ქართული თეატრისა და ქართველი მსახიობების საქებრად, ის იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა თეატრმა უდიდეს წარმატებას მიაღწია და ამ აღმავლობას საფუძვლად უდევს



სცენა სპექტაკლიდან „მეფე ლირა“.

საბჭოთა ქვეყნის შორსმკვრეტელი პოლიტიკა და ლენინის დიდი იდეები.

ჩვენი კულტურის აღმავლობა თანდათან ფართოვდება და ღრმად იღვამს ფესვებს. ფართოვდება თეატრებისა და კულტურის სახლების ქსელიც. ჩვენი რამდენიმე ახალგაზრდული თეატრალური სტუდია და სახელოსნო ვეკვძს. მათ შორის უნდა დავასახელოთ მეტეხის თეატრი და კინოსტუდიასთან არსებული თეატრალური სტუდია. ვაპირებთ აგრეთვე მარიონეტების თეატრისა და მუსიკალურ-დრამატული კამერული თეატრის შექმნას.

გარდა ამისა, ჩვენი თეატრალური ხელოვნების დიდი სამკვლელა თეატრალური ინსტიტუტი. დღეს ცოტა მოინახება საქართველოში ისეთი ნიჭიერი რეჟისორი ან მსახიობი, რომ თბილისის თეატრალური ინსტიტუტი არ ჰქონდეს დამთავრებული. აქ სწავლობენ ისინი სცენაზე თავის დაქვარას, მეტყველებას, პლასტიკას, აქ იძენენ როგორც ზოგად, ასევე სპეციალურ განათლებას. თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებითაა ამჟამად დაკომპლექტებული ქუთაისის, ბათუმის, მახარაძის, ფოთის, სოხუმის, ჭიათურის, გორის, თელავის და სხვა პერიფერიული ქალაქების თეატრალური კოლექტივებიც. ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში მათაც შეაქვთ წვლილი და ადგილებზე დიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწევიან, ისინი თამამად ეძებენ გამომსახველობის ახალ ფორმებს და, ამვე დროს, არც ტრადიციას ღალატობენ.

ტრადიციასა და ახალი ფორმების ძიება-

ზე ერთი რამ მინდა განვაცხადო: ჩვენს თეატრალურ ხელოვნებაში მართლაც იხინა თავი ფორმებმა, რომელიც მოპველდა და შეცვლას მოითხოვს და ისინი შეიცვლება კიდევ, რადგან ამას მოითხოვს ცხოვრება და თვით ხელოვნებაც ხომ ცვრლებად ფერმენია. მომავალ თაობას აქვს თავისი ინტერესები და პრობლემები ყოველი საკვირბოროტო საკითხი, რასაც ცხოვრება მათ წინაშე სვამს. მათ უნდა გადაჭრან და ამისათვის უნდა გამოახონ ისეთი თეატრალური ფორმები, მათ სულიერ მოთხოვნილებებს რომ დააკმაყოფილებს. იგივე უნდა ითქვას დრამატურგებზე, რადგან ჩვენს პიესები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნილებას ვერც შინაარსისა და ვერც ფორმის მხრივ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ დავივიწყოთ ყველაფერი კარგი, რაც ჩვენმა თეატრალურმა ხელოვნებამ ჩვენამდე მოიტანა. სტანისლავსკი ამბობდა, ტრადიცია ლურჯ ფრინველს გავს, ხან უნდა დაიჭიროო, ხან უნდა გაუშვაო. მაგრამ ის, თუ როდის უნდა დაიჭიროო და როდის უნდა გაუშვა, ნიქსა და დეიმონებზეა დამოკიდებული და სწორედ ამიტომ იქმნება ჩვენში ახალგაზრდული თეატრი-სტუდიები და სახელოსნოები. ერთ-ერთ ასეთ თეატრს სათავეში უდგას ისეთი გამოცდილი რეჟისორი და დახელოვებული პედაგოგი, როგორც მიხეილ თუმანიშვი-

ლია. დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენ აგრეთვე მუშათა რაიონში, გლდანში დაარსებულ თეატრზე, რომელსაც უკვე აღიარებული რეჟისორი ლ. პაქსაშვილი ხელმძღვანელობს. ახალ ფორმებს, გამომსახველობის ახალ საშუალებებს ეძებენ აგრეთვე ჩვენი პერიფერიული თეატრებიც. იმისათვის, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს, ისინი თავიანთ თეატრებში იწვევენ ცნობილ რეჟისორებს და მსახიობებს, ცდილობენ ამაღლონენ იმ დონემდე, რა საერთო დონეცაა დღეს თეატრალურ ხელოვნებაში.

რამდენადაც თეატრი სულ უფრო და უფრო სინთეტური ხელოვნება ხდება, ამიტომ მსახიობებმაც ფეხი უნდა აუწყოთ ამ სინთეტურობას და თავიანთი ოსტატობა ვირტუოზულობამდე ამაღლონ. თანამედროვე მსახიობს ყველაფრის გაკეთება უნდა შეეძლოს, უნდა იცოდეს სიმღერა, ცეკვა, იყოს პლასტიკური და მის მიერ წარმოიმტკიცოს სიტყვა უთარგმნელადაც უნდა აღწევდეს მყურებლის გრძნობამდე. მე ამას იმტომ ვამბობ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას შეესწავს ამის უნარი და არაერთხელ ვყოფილარა იმის მოწმე, რომ ქართული სპექტაკლი უცხო მყურებელს უთარგმნელადაც მშვენივრად გაუგია. პლასტიკურობა, გამოხატველობა, ვარდასახვა ქართული ხალხის თანდაყოლილი თვისებაა და ჩვენ შეეცდებით ეს თვისება კიდევ უფრო დავხვეწოთ და განვავითაროთ. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლი.

დიდ ღონისძიებებს ატარებს ამ მხრივ საქართველოს თეატრალური საზოგადოება. მეგობრობის თეატრის უპირველესი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ გვაზიაროს ყველაფერი ახალს, შეგახვედროს ისეთი თეატრალური კოლექტივები და მსახიობები, რომელთაც რაღაცით ვაამდიდრეს თეატრალური ხელოვნება ან ახალ გამომსახველობით ფორმებს მიაგნეს. თეატრალური საზოგადოება ხელმძღვანელობს უწყვეს მთელი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებას. ახლა ჩვენ ვიღწვით იმისთვის, რომ თეატრალურ საზოგადოებასთან ვაიხსნას სტუდია — თეატრი, რომელიც მოიზიდავს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს და სანამ ისინი დიდ სცენაზე გასასვლელად მოემზადებიან, ერთგვარ პრაქტიკას გაეცლიან ჩვენთან. ამ თეატრის მიზანი ისაა, რომ კურსდამთავრებული ბედის ანაბარა არ დავტოვოთ და სანამ რომელიმე თეატრში მოეწყობა, მივცეთ საშუალება ჩვენს სცენაზე სცა-

სცენა სპექტაკლიდან „კაცია აღმანიანი“!





დოს თავისი ნიჟისა და არტიტული უნარის გამოვლენა. მათთვის ეს ერთგვარი სტაჟირება, გამოცდა იქნება, ჩვენ, რეჟისორებს კი მოგვეცემა იმის საშუალება, რომ მსახიობები შევარჩიოთ.

თეატრალურ საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს უფრო კმედიით დახმარება გაუწიოს პერიფერიულ თეატრებს და ამიტომ საზოგადოების თანამშრომლები კაბინეტებიდან კი აღარ უხელმძღვანელებენ თეატრალური ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, არამედ ადგილზე აღმოუჩენენ დახმარებას. გადაწყვეტილი გვაქვს გავგზავნოთ პერიფერიულ თეატრებში პედაგოგები, რომლებიც მათ ასწავლიან სწორ მეტყველებას, დეხმარებიან პლასტიკის დახვეწაში, მივაღწევენ მათთან რეჟისორ-კონსულტანტებს, ლიტერატორ-კონსულტანტებს და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას ვაგზავნით მოსკოვში, საზღვარგარეთ. ერთი სიტყვით, ვცდილობთ ხელი შევეწყუთოთ მთავალ თაობას დაოსტატებაში.

მინდა ჩვენს თეატრალურ საზოგადოებას ვაუწყო, რომ ვაფართოვებთ პარიკების სამაქროსა და გამოცემლობას, სადაც მრავალი დრამატული ნაწარმოები და საინტერესო ნაშრომი დაიბეჭდება.

მაღე ჩვენ ვიზიემებთ რუსთაველის სახელობის თეატრის მე-100 წლისთავს, აღნიშნავთ გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და ბათუმის თეატრის საიუბილეო თარიღებს. თელავში სულ მალე გაიხსნება დრამატული თეატრის ახალი შენობა. თეატრალური საზოგადოება ეცდება ყველა ეს ღონისძიება მაღალ დონეზე ჩაატაროს.

ასეთი რთული და წინააღმდეგობრივით სავსე გზა ვინაღო ქართულმა საბჭოთა თეატრმა და დღეს მან არნახულ წარმატებებს მიაღწია, რასაც უნდა ვუმადლოდეთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებას. თუ ჩვენ დღეს დიდი სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნილებები გვაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო მყარად დგას ფეხზე, ცხოვრება სტაბილურია და ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ ხელოვნება აყვავდეს და ყველა საბჭოთა მოქალაქის კულტონილება გახდეს. ჩვენი თეატრი იმთავითვე პროგრესული იყო, ყოველივის ჰუმანისტური იდეებით ხელმძღვანელობდა, სიბო და სინათლე მოჰქონდა ცხოვრებაში, ექომაგებოდა ადამიანს, მის კაცურ ღირსებას და ამ გზიდან ჩვენ არასოდეს ვადავუხევეთ.



სცენა სპექტაკლიდან «კავკასიური ცარიის წრე».

სცენა სპექტაკლიდან «სამანიშვილის დინავალი».





# აღმავლობის

# გზით

## ელდარ შენგელია

მართლმწივი კინემატოგრაფისტები, ჩვენს კულტურის სხვა დარგების მოღვაწეთა მრავალრიცხოვან რაზმთან ერთად, შემოქმედებითი შემართებით ეგებებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს. ამ ღირსასწავარ მოვლენას ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი — სამოცი წლის წინათ, 1921 წლის მარტში, კინოწარმოების შექმნის მიზნით, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა კინოსექცია, რომელმაც დასახა ქართული კინოხელოვნების განვითარების პროგრამა. ამდენად, 1981 წელი ქართული კინოს საიუბილეო წელიც გახლავთ.

მოგვეხსენებთ, ქართული კინო ერთ-ერთი უძველესია ჩვენს ქვეყანაში. ხელოვნების ამ ახალმა დარგმა საქართველოში თავისი არსებობის პირველსავე წელს მოაღწია. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ვასილ ამაშუგელის მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა კადრებმა საფუძველი დაუდო ჩვენს კინემატოგრაფს, ხოლო 1916 წელს ალ. წუწუნავას მიერ განხორციელებული „ქრისტინე“ მხატვრული ფილმის შექმნის პირველი ცდაა საქართველოში. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ — 1921 წლიდან იწყება ჩვენში ხელოვნების ამ დარგის კომპარტიულად მძლავრი განვითარება.

ქართული საბჭოთა კინოს სამოცი წელი მისი აღმავლობის, ახალი თემებთან და უანრებით გამდიდრების, ახალი მწვერვალების დაპყრობის, პროფესიული დაოსტატების, ახალი გზების, თანამედროვე სინამდვილის რეალისტურად ასახვისათვის ქმედითი გამოცდების ხერხების ძიების 60 წელია. ამ გზაზე მარცხი და დანაკარგიც ბევრი იყო, მაგრამ ქართული კინოხელოვნება განუხრავლად მიიწეოდა წინ, თაობებს გადასცემდა დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ ტრადიციებს.

დღეს ქართული კინო ერთ-ერთი მოწინავეა მომხმე რესპუბლიკების კინოხელოვნებათა შორის. ეს მაღალი შეფასება და საყოველთაო აღიარება მან თავისი განვითარების რთულ გზაზე დაძაბული შემოქმედებითი ძიებებით, ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლით მოიპოვა. ამ ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე, დროის მოთხოვნათა კარნახით, იცვლებოდა ქართული კინოხელოვნების ქართული და თემატური დიაპაზონი, წამყვან ისტატთა შემოქმედებითი ხელწერა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ხალხურობა, პარტიულობა და ჰუმანიზმი.

ნიკოლოზ შენგელიას „ელისიმ“, მიხეილ კიაურელის „ხაბარდამ“ და „უკანასკნელმა მასკარადამ“, მიხეილ კალატოზოვის „ჯიმ შენთემ“, სიყო დოლიძის „უკანასკნელმა ჯვაროსნებმა“ და 30-იანი წლების სხვა ფილმებმა განამტკიცეს ის წარმატება, რომელიც ქართულ კინოს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გადაღებულმა სურათებმა მოუტანა.

ქართული კინოხელოვნების პატრიარქთა ამ ფილმებით დამკვიდრებული ტრადიცია 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში განვითარეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა — რეჟაზ ჩხვიძემ, თენგიზ აბულაძემ, უფრო მოგვიანებით ლანა ლოლობერიძემ, ელდარ და გიორგი შენგელიებმა, თამაზ მელიაევამ, ოთარ იოსელიანმა, მერაბ კოკოჩაშვილმა, მიხეილ კობახიძემ და სხვებმა, რომელთა შემოქმედებამ ახალი ცხოვრულყოფილი ნაჯიდი შემოიტანა ქართულ კინოში. ამ რეჟისორთა ფილმებმა არაერთი გამარჯვება მოუტანეს





კადრი ფილმიდან „ელისო“.

ქართულ კინოხელოვნებას, სახელი და დიდება მოუპოვეს მას. „მადანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „ჯარისკაცის მამა“, „ვედრება“, „იყო მაშვი მგალობელი“, „ფირს-მანი“, „ქორწილი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ნატერის ხე“, „პასტორალი“, „რამდენიმე ინტერვეუ პირად საკითხებზე“, „მშობლიური ჩემო მიწავ“ — ეს ის ნაწარმოებებია, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ქართული კინოს განვითარების საერთო

კადრი ფილმიდან „ჩემი შვანთი“.



ბანორამაში, ქმნიან თანამედროვე მხატვრულ ტრადიციას და ნაყოფიერ ზემოქმედებას იქონიან დღენ ჩვენი კინოხელოვნების ჩამოყალიბების პროცესზე.

ქართული კინოს გამოჩენილი ოსტატების გვერდით მოღვაწეობს კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა თაობა, რომელიც მოწოდებულია ახალ სიმაღლეებზე აიტანოს წინამორბედთა მხატვრული მონაპოვარი, მსოფლიო პროგრესული კინემატოგრაფის გამოცდილებაზე დაყრდნობით ეროვნულობის გზით წარმართოს თავისი ძიებები. ს. ჩხაიძის „ქართული საგალობლები“ და „თუში მეცხვარე“, ი. კვიციანიძის „ქვევრი“ და „ქალაქი ანარა“, ლ. სიხარულიძის „უხასრულობა“, ლ. ელიაშვილის „მზიანეთი“ და „სინემა“, ა. ელენის „ცოტნე დიდიანი“ და „ამავეი აფხაზი ჭაბუკისა“, გ. კანდელაკის „უბედურება“, ბ. ხოტივარის „ლაზარეს თავგადასავალი“ ს. რეხიაშვილის „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, ნ. მანავაძის „ამაღლება“ — სხვადასხვა პროფესიული და მხატვრული დონის ეს კინონაწარმოებები სწორედ ამ ძიებითაა აღბეჭდილი.

მხატვრული კინოს მხარდამხარ ვითარდება დოკუმენტალისტიკა, ტელეკინემატოგრაფია და მულტიმედიაკიური კინო. ეკრანულ ხელოვნების ამ დარგების გარეშე ჩვენი კინოხელოვნების საერთო სურათი სრული არ იქნებოდა.

მას შემდეგ, რაც 1921 წ. ქართული კინო სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, მას არ მოკლებია პარტიისა და მთავრობის ზრუნვა. ჯერ მარტო უკანასკნელ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, დიდ დახმარებას რომ უწყევნ ქართველ კინემატოგრაფისტებს. დასასრულს უახლოვდება ფირის დამამუშავებელი საამქროს ახალი კორპუსების მშენებლობა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რემონტი, დაიწყო დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეკონსტრუქცია, შეიქმნა კინომასიზობის თეატრი, კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ ჩამოყალიბდა კინოდრამატურგთა გაერთიანება და ახალგაზრდული გაერთიანება „დებიუტი“. სასცენარო სახელისნო შეიქმნა საქართველოს ტელეფილმების სტუდიისთანაც; მეექვსე წელია, რაც გამოდის კინომასალების კრებული „კინო“, ორ წელიწადში ერთხელ იმართება რესპუბლიკური კინოფესტივალები; თეატრალურ ინსტიტუტთან დაარსდა კინოფაკულტეტი და მოეწყო სასწავლო სტუდია. კინოფაკულტეტის კურსდამთავრებულები უკვე ცდიან ძალეკს კინოსტუდიის გაერთიანება „დებიუტი“.

კინოხელოვნებაზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგია სწორედ ქართული კინოს უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი წარმატებები, — საკვიპრო თუ საერთაშორისო ფესტივალების პრემიები, ჩვენი ქვეყნის მაღალი ჯილდოები, რომლებითაც აღიწინა აზერთი ქართველი კინოხელოვანის ნამუშევრები. ეს წარმატებები მეტ მოთხოვნებს აყენებენ ქართული კინემატოგრაფის წინაშე, რომელსაც დღევანდელ ეტაპზე გააჩნია აზერთი საორგანიზაციო თუ შემოქმედებითი ხასიათის პრობლემა. მთავაზრება და გადაჭრა აუცილებელი პირობაა მომავალი წარმატებებისათვის. სწორედ ამ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა ქართველ კინემატოგრაფისტთა მეხუთე ყრილობაზე, ამ საიუბილეო მზადების დღეებში რომ ჩატარდა. ქართველ კინოხელოვანთა ამ დიდმა ფორუმმა შეიმუშავა ჩვენი კინოს შემდგომი განვითარების პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობათა მიერ დასახულ ამოცანათა შესაბამისად.

ქართული კინოს საუკეთესო ნაწარმოებებს გამოარჩევს არამარტო მაღალი პროფესიონალიზმი და ესთეტიკური ღირებულება, არამედ ავტორის უნარი ღრმად ჩაწვდეს თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენას, მისცეს მათ ზნეობრივი შეფასება. სწორედ ამ თვისებებით მიიჭია ყურადღება უკანასკნელ წლებში ო. იოსელიანის „პასტორალიმ“, ლ. ლილიბერიძის ფილმმა „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, რ. ჩხეიძის დილოგამ „მშობლიურო ჩემო მიწა“.

„ახალი ცხოვრება ადვილად როდი იბადება. ძნელია, ზოგჯერ მტანჯველი, სოციალური პროგრესის გზა, მაგრამ მით უფრო მნიშვნელოვანი, მით უფრო რელიეფური სოციალისტური საზოგადოების მიღწევები, მით უფრო დიდებულია ამ საზოგადოების მშენებელთა და დამკველთა საგმირო საქმე“ — ნათქვამია სკკპ XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში. სწორედ ამ საგმირო საქმის, თანამედროვე პრობლემების, ჩვენი ხალხის შრომითი გმირობის მაღალმხატვრული ეკრანული ხორც-შესხმა ჩვენი კინოხელოვანთა უპირველესი და უმთავრესი ამოცანა. თანამედროვე თემა ქართულ ეკრანზე საკმაოდ მრავალმხრივადაა წარმოდგენილი. ავტორები მიმართავენ სხვადასხვა მასალას, ჩვენი სინამდვილის აქტუალურ პრობლემებს, გამოხატვის განხვავებულ ფორმებსა და ქანრებს, მაგრამ, როგორც თქვა ლ. ბ. ბრეჟნევიმა თავის მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობაზე „...დიდი მნიშვნელობა აქვს მივალწიოთ იმას, რომ თემის აქტუალობით არ ამართლებდნენ მხატვრული თვალსაზრისით ულიმდამო, უსუსურ ნაწარმოებებს,



კადრი ფილმიდან „დაკარგული სამოთხე“.

კადრი ფილმიდან „ფირფშანი“.



კადრი ფილმიდან „ქოლგა“.







კადრი ფილმიდან „ნატერის ხე“.

კადრი ფილმიდან „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“.



კადრი ფილმიდან „მშობლიური ჩემო მიწა“.



რომ ნაწარმოებთა გმირები არ ჩაიკეტონ წერილმან საქმეთა ნაუჭში, არამედ თვითნაბიჯითი ქვეყნის საზრუნავით სულდგმულობდნენ — საზრუნავით, რომელიც აღსავსე იქნება დაუღებარი შრომით, სამართლიანობისა და კეთილის გამარჯვების შეუპოვარი ბრძოლით“.

სწორედ ასეთ გმირად მოგვევლინა რ. ჩხეიძის ფილმში „მშობლიური ჩემო მიწა“ გიორგი თორელი. ეს ის პიროვნებაა, რომელიც არამარტო განასახიერებს ადამიანურ სიკეთეს, არამედ მისი დამკვიდრებისა და გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლიცაა. გიორგი თორელი და მისი მსგავსი გმირები უკანასკნელ წლებში მოვიდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებაში და ცხადვეს ის სულიერი გარდაქმნა, რესპუბლიკის მშრომელებმა რომ განიცადეს ამ ათწლეულში.

ქართული კინოს ისტატებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი იმისათვის, რათა ეკრანზე მაღალმატარული ასახვა ჰპოვოს ჩვენი თანამედროვის სულიერმა სამყარომ, ჩვენი ეპოქის რთულმა ზნეობრივ-ფილოსოფიურმა პრობლემებმა. ქართველი კინემატოგრაფისტები არ დაზოგავენ ნიჟსა და შესაძლებლობებს, რათა დაიცივან ქართული კინოს მაღალი პრესტიჟი, შექმნან ჩვენი ეპოქის, ჩვენი ხალხის ღირსეული ნაწარმოებები.

მინდა მოგახსენოთ იმ შეოქმედებით აქტივობაზე, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 60 წლისთავისათვის მოაღებინას რომ მოიცვა ქართული კინოს მუშაობი. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სექციებმა მრავალი ღონისძიება მიუძღვნეს ამ თარიღს. ჩატარდა ქართული ფილმების ფესტივალი ენგურპესზე, აქვე დაარსდა ირწლიანი კინოფიფერისტტი, რომლის რექტორად აირჩიეს სსრკ სახალხო არტისტ რევაზ ჩხეიძე; აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში მოეწყო შეხვედრები ქართული კინოს მოღვაწეებთან; ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ქართული კინო და თანამედროვეობა“; საიუბილეო დღეებში ჩვენი რესპუბლიკის კინოთეატრებში მოეწყო ქართული ფილმების რეტროსპექტული ჩვენება, ღია კარის დღე კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. გაიმართა გამოფენა „ქართული საბჭოთა კინოს 60 წელი“, რომელმაც თვალნათლივ დაგვანახა ჩვენი კინოხელოვნების მიერ განვლილი გზა.



# ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევები

ვახტანგ ბერიძე

„მარტივი“ ხალხი, რომელსაც — მძიმე ისტორიული ხევდრის მიუხედავად — სიცოცხლის საკვირველი ძალა აღმოაჩნდა, ცივილიზაციისადმი სიყვარულსაც ამჟღავნებდა. თავისი მიწა-წყალი მან მოჰფინა მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლით, რომელთა შორის საეკლესიო შენობები დღესაც გვაოცებს ორიგინალობითა და სტილის სინატივით. ციხე-დარბაზები, კოშკები და ტაძრები, რომლებიც უმეტესად მთებსა და ხეობებში გვხვდება, გაფანტულია კახეთში, ქართლში, სომხეთში, ახალციხის მაზრაში, თურქეთის საქართველოში, იმერეთში, სვანეთში, აფხაზეთში“.


დიმიტრი ბაქრაძის ამ სიტყვებს, რომლებიც 1873 წელს არის დაწერილი, შეიძლება დაემატოს, რომ დღეს ამ ძეგლთა დაწვრილებითი აღნუსხვა წარმოებს და დადგენილია, რომ მათი რიცხვი რამდენსამე ათასს აღწევს, ხოლო ქრონოლოგიური მონაკვეთი, რომელსაც ისინი სწვდებიან, მოიცავს დროს ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულიდან გასული საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ახლა — დღევანდელი ავტორის სიტყვები: „საქართველოში, სადაც შუა საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ამდენი შესანიშნავი ძეგლია, ასევე მშვენიერი და მდიდარი

მონუმენტური მხატვრობის პროდუქცია. მის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლური რეგიონების ქრისტიანულ ხელოვნებაში. მართლაც, ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში, რომლებიც VII საუკუნის ნახევრიდან არაბთა უღელქვეშ მოექცნენ, მას შემდეგ კედლის მხატვრობის განვითარება ძალიან შეზღუდული იყო. ასევე, საქართველოს ნაგებობებში, მონოფიზიტობა ნაკლებად უწყობდა ხელს ამ სფეროში ბიზანტიური ფორმულის მიღებას, და კედლის მხატვრობის ძეგლები უფრო მცირე რაოდენობით იქმნებოდა... ანუ რომ საქართველოს თავისი ადგილი უჭირავს, როგორც ბიზანტიური მცირე აზიის გაგრძელებას, მაგრამ თავის ქმნილებებს იგი მძლავრი ორიგინალობის ნიშნით აღბეჭდავს“ (ბელოგილი მეცნიერი ჯაკლინ ლაფონტენ-დოზონი).

კიდევ ერთი თანამედროვე ავტორი — შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის შესახებ: „თუმცა მაშინ ეს ტექნიკა იხმარებოდა ბიზანტიურ სამყაროში, ვენეციასა და საფრანგეთში, საეკვაო, რომ ყველა ამ ქვეყანაში მოვარგოვით მეთაფდი იმისა, რაც მოვარგოვით და თავმოყრილია საქართველოში“ (შოტლანდიელი მეცნიერი დევიდ ტელბოტ-რაისი). დავუმატოთ, რომ ჩვენს მუხუშემებში მართო შუა საუკუნეების შესანიშნავი კედური





ქოთა კავშირში შინაარსის მრავალფეროვნებითაც და წმინდა ესთეტიკური ღირებულებითაც, იგი მუდმივად მისისა და წინსვლის პროცესშია, მისი ასპარეზი თანდათან ფართოვდება, მისდამი ინტერესი კი ვრცელდება და ღრმავდება.

ბუნებრივია, რომ ქართული სიძველეები აღრვევ იყვარობდა მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღებას. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი საქართველოს სამეფოს „აღწერაში“ იხსენიებს მისთვის ცნობილ ყველა ტაძარსა და ციხე-სიმაგრეს საქართველოს სხვადასხვა კოთხეში. XIX საუკუნის მანძილზე მათ შესახებ წერდნენ ქართველი, რუსი და დასავლეთ-ევროპელი ავტორები: ერთი მხრე ისტორიკოსები, რომელთაც ხუროთმოძღვრების ძეგლები და ხელოვნების ნიმუშები აინტერესებდათ მხოლოდ როგორც დამახინჯ მასალა ისტორიული მოვლენების გასაშუქებლად; მეორე მხრე, ხელოვნებისმცოდნეები (მათი რიცხვი ნაკლები იყო), რომელნიც ძეგლებს ვანიტილავდნენ სწორედ როგორც ხელოვნების ნაწარმოებთ.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართული სიძველეების შესწავლამ უფრო სისტემური ხასიათი მიიღო (მათ იკვლევდნენ მისკვიის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოება, ქართული სამეცნიერო საზოგადოებანი და მუზეუმები, რომლებიც საუკუნის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში შეიქმნა) მოგროვილ იქნა მდიდარი ფაქტობრივი მასალა—ძეგლთა აღწერილობანი, ანაზომები, ფოტოგრაფიები. ამ მასალას, ცხადია, დღესაც არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებთა მეცნიერული გაუმუქება, სულ მცირე გამოხალისით, XIX ს-ში არ ვასცილებია წმინდა „არქეოლოგიურ“ დახასიათებას; ხოლო თითო-ორიოლა ცდა, რომ განეზოვადებინათ და ისტორიულ ასპექტში გაეზოვებინათ მოზოვებული ფაქტები, სამწუხაროდ, სრულიად მცდარსა და ზოგჯერ დამახინჯებულ სურათს ქმნიდა. ერთადერთი მეცნიერი, რომელმაც სცადა დაენახა ქართული ხელოვნების განვითარების საკუთარი გზები, იყო გამოჩენილი რუსი მკვლევარი ბიზანტიური ხელოვნების აკად. ნიკოლაევი კონდაკოვი, მიგრამ მისი წიგნი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ (გამოცემული XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს და აწ. რა თქმა უნდა, უკვე მოპველებული), მაშინ შეუმწვეველი დარჩა. მიზეზები ვასაგებია: ფაქტობრივი მასალა არ იყო საკმარისი და დამუშავებული, ძეგლთა უმრავლესობის თარიღები დაუდგენელი იყო, და თითო ხელოვნებათმცოდნეობაც, როგორც მეცნიერული დისციპლინა, XIX ს-ის პირველ ნახევარში მხოლოდ ფეხს იდგამდა; დასაბრუნ, მრავალ შემთხვევაში, მცდარ დასკვნებს იწვევდა ამოცნისადმი მცდარი მეთოდოლოგიური მიდგომა, ეკრძოდ, გატაცება გავლენების თეორიით, წინასწარ შემუშავებული სქემებით.

ამგვარად, თანდათან შემუშავდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება მხოლოდ ბიზანტიური ანარეკლი ან განსტოება იყო. მკვლევარნი, რომელნიც თეთიონ (თითქმის უგამოხალისოდ) არ იცნობდნენ ქართულ ძეგლებს და მხოლოდ გაფანტული, ყურმოგრული ცნობებით მსჯელობდნენ მათ

ნივთები კი არ არის თავმოყრილი, არამედ უძვირფასესი არქეოლოგიური მონაპოვარიც, რომელიც ყოველწლიურად ივსება — ქურბული, სამკაულები, მცირე სკულპტურა, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლელებს და ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს მიეკუთვნება. თავმოყრილია მინანქრების იშვიათი სიმდიდრის კოლექცია: თბილისის, ქუთაისის, მესტიის, სხვა ქალაქების მუზეუმებსა და საცავებში ინახება ასევე ფასდაუდებელი განაბი — შემკული და დასურათებული ქართული ხელნაწერი წიგნები; ინახება კერამიკის, ნაქარბუნის და ე. წ. „მცირე ხელოვნების“ სხვა დარგთა ნიმუშები.

მაგრამ საქართველო მარტო ძველი ხელოვნებით ხომ არ არის მდიდარი. დიშ. ბაქრაძის შემდეგ, საუკუნეზე მეტად ხნის განმავლობაში, შეიქმნა ახალი ქართული ხელოვნება, რომელიც მკაფიოდ ასახავს XIX საუკუნის მანძილზე მომხდარ არსებით სოციალურსა და კულტურულ ძვრებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ქართული საბჭოთა ხელოვნება კი — ხუროთმოძღვრება, ფერწერა, ქანდაკება, თეატრალური მხატვრობა, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნების სახეობანი — ერთი მოწინავეთაგანია საბ-

შესახებ, სრულიად ვერ ითვალისწინებდნენ ქართული ხელოვნების თავისებურებას, მის დაპოუცილებელ მნიშვნელობას; თითქოს შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ ერის ხელოვნება გავიგოთ და შევაფასოთ თვით ხალხის ცოცხალი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, მხოლოდ უცხო გავლენებითა და მიმბაძველობით; თითქოს იმ ერის ხელოვნება რომლის შემოქმედებაც ათასწლოებით არ დამშრეტია, შეიძლება განხილული იყოს, მხოლოდ როგორც რომელიმე სხვა ქვეყნის ხელოვნების დამატება.

გარდატეხა მოხდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ხელოვნების ისტორიის კათედრა და ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტი. ეს იყო პირველი სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების დარგში სისტემურ, თანმიმდევრულსა და მიზანდასახულ კვლევას. ათედრასაც და კაბინეტსაც იმთავითვე სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გიორგი ჭუბინაშვილი (1885-1973), რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული ხელოვნების ისტორიის ძირითადი პრობლემის დამუშავება.

ცხადია, დიდზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ კულტურის ძეგლთა დაცვა პირველად იქცა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ, სახელმწიფოს ზრუნვის საგნად. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე შეიქმნა სათანადო დაწესებულებები — სახელმწიფო საცავები და მუზეუმები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ფართოდ გაიშალა საქმიანობა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის (გამოყენები, მოხსენებები).


მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავზე, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს დარგშიაც თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული: ჩამოყალიბდა ახალი მეცნიერული დისციპლინა — ქართული ხელოვნების ისტორია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჭუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი — ამ დარგში უმთავრესი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც 1941 წლის 1 აპრილს დაარსდა — იკვლევს ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას, სახეობა და გამოყენებით („მეორე“) ხელოვნებათა ყველა სახეობას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე, მას აქვს თავისი პერიოდული ორგანო *Ars Georgica* — „ქართული ხელოვნება“ (სერია A — ძველი ხელოვნება, სერია B — საბჭოთა ხელოვნება; დღემდის გამოსულია 10 ტომი); საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრილია ქართული კედლოვნების, ნაქარგობის, ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების უამრავი ნიმუში; უძველესი ხელოვნების ნიმუშებს (არქეოლოგიურ მონაპოვარს) თავს უყრის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხოლო რამდენსამე ათეულ ათას ხელნაწერ წიგნსა და საბუღოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი; ძეგლთა დაცვას განაგებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საგანგებო მთავარი სამმართველო, რომელსაც აქვს 1959 წ. დაარსებული სპეციალური საწარმოო სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო.

ამავე დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივი საბჭოთა კავშირში. მან უკვე გამოსცა ალმანახ „ძეგლის მაგობრის“ ორმოცდაათე მეტი ნომერი.

დიდად ნაყოფიერ მუშაობას იწვევს ქართული ხალხური ხელოვნებათმცოდნეობის ნიმუშთა ვადარჩენისა და დაცვისათვის, მათი პოპულარიზაციისათვის თბილისის „ღია კის ქვეშ მუშაობა“ (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩიტაია, პრეზიუმის ავტორი ლ. სუმბაძე), რომელიც ვაკის პარკის ზემოთ, მთის კალთაზე მდებარეობს. მასში თავს უყრიათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოტანილ ნიმუშებს (ორიგინალებს) — საცხოვრებელ, სამეურნეო დანიშნულების შენობებს, ავეჯს, მოწყობილობას, სამეურნეო აბრეშულებს; შექმნილია გავრცად ხდება კარ-მიდამოს რეპროდუქციაც. ასეთი მუზეუმები მსოფლიო ბევრ ადგილას არსებობს; მაგრამ თუ გავიხსენებთ, რამდენად მრავალფეროვანია ჩვენი ხალხური არქიტექტურა, რამდენად ორიგინალურია ქართველი გლეხელების საცხოვრებელი სახლი (ქართულურ-მესხური „დაბაზი“ დასავლური „ოღა“, სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სახლით, რომლებიც საცხოვრებელ,







სამეურნეო და სათავდაცვო ფუნქციებს აერთიანებს), ადვილად წარმოიდგინებთ, როგორი მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი „ლია ცის ქვეშ მუზეუმი“. მეორე მხრივ, თუ გაეჩხვინებთ იმასაც, რომ სოფლად მიმდინარე სამეურნეო და კულტურული პროცესების შედეგად, ძველებურ ხალხურ არქიტექტურას სრული გაჭრობა ემუქრება, უფრო ნათელი გახდება „ლია ცის ქვეშ მუზეუმის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მთელი ეს სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობა თავისი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, სცილდება ხელოვნების ისტორიისა და თვით კულტურის ისტორიის ფარგლებსაც. უმდიდრესი ისტორიული წარსულის მქონე ხალხისთვის, რომელსაც დედანას დაკარგული ჰქონდა და შემდეგ კვლავ მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრიობა, ეს იყო ეროვნული „თვითგანმტყცების“ არსებითი ფაქტორი და ახალი შემოქმედებითი აღმავლობის მძლავრი სტიმული.


ძველი ქართული ხელოვნების მეცნიერულ კვლევაში, რეკონსტრუქციამდელ ნაშრომებთან შედარებით, პრინციპულად ახალი იყო შემდეგი: ა) ხელოვნების ძეგლები პირველად იქნა განხილული მათი შემქმნელი საზოგადოების ისტორიისთან, ქართველი ხალხის ისტორიისთან კავშირში, როგორც ხალხის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი; ბ) დღისახა ამოცანა, რომ შესწავლილიყო არა მხოლოდ ცალკეული ძეგლი, არამედ დადგენილიყო ეროვნული ხელოვნების განვითარების პროცესი; გ) ხელოვნების ძეგლები შეისწავლებოდა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით, ქართული ხელოვნების მიმართ პირველად იქნა გამოყენებული სტილის კატეგორიები, მიზნად იქნა დასახული სტილის ევოლუციის საფეხურთა გამოვლენება.

ამგვარმა, ერთადერთმა სწორმა, მიდგომამ ამოცანისადმი სრულად შეცვალა წინათ შემუშავებული ყალბი სურათი, სიცხადით გამოჩნდა ქართული ხელოვნების ეროვნული თავისებურება და განვითარების დამოუკიდებლობა. თავისთავად ცხადია, რომ ისტორიულ განზოგადებათა საფუძველს წარმოადგენდა წერილობითი წყაროების (მა-

ტინგეთა, საბუთების, წარწერათა) კრიტიკული განხილვა და გამოყენება, და ის უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც გროვდებოდა და დღესაც გროვდება ყოველწლიური სამეცნიერო ექსპედიციების წყალობით.

რეკონსტრუქციის შემდგომ პერიოდში ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა მეთოდურად, მკაცრი თანმიმდევრობით წარმოებდა. უპირველესი ადგილი დაეთმო ხუროთმოძღვრებას, რაკი საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიაც, შუა საუკუნეების მანძილზე ხუროთმოძღვრება ხელოვნების წამბლო დარგი იყო. უმთავრესი ადგილი საეკლესიო ძეგლებს ეკუთვნის, არსებითად ისინი შეადგენდნენ შუა საუკუნეების „საზოგადოებრივ შენობებს“; იმავე დროს, საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები ჩვენში — დასავლეთ ევროპისა და მუსლიმანური აღმოსავლეთისაგან განსხვავებით — ეუღად არის დაცული: არ გადარჩენილა დაუნგრევლად არც ერთი საქალაქო საცხოვრებელი სახლი, გლეხის ძველი საცხოვრებელიც ბევრი აღარ არის (და ისიც მხოლოდ ზოგ კუთხეშია, უმეტესად მთა-საქართველოში); თითო ოროლაა ფეოდალთა საცხოვრებელი (აგრეთვე დანგრეული), ხოლო სამეფო სასახლეები ან სულ გაქრა, ან შემოძარცვულ ნანგრევებადღა დარჩა. ამის მიზეზია, ერთი მხრივ ისიც, რომ ძველი საცხოვრებელი სახლები ნაკლებ გამძლე იყო, თანაც დროთა განმავლობაში მათ ხშირად ცვლიდნენ; მაშინ, როდესაც ძველ ეკლესიას ხელს არავინ ახლებდა (შემოსულები მტრის გარდა).

წინამდებარე საქართველოს ძეგლები ამ ოროცდაათი-სამოცი წლის წინათ თითქმის უცნობი იყო. და მაინც „ქრისტიანული“ არქიტექტურის უძველესმა ნიმუშებმა, რომლებიც ფეოდალობის ჩასახვის ხანაშია შექმნილი, მკვლევარნი ამ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მაშინდელი (IV-V სს.) ხუროთმოძღვრების ძეგლები ამკარად ატარებს მონუმენტური არქიტექტურის ხანგრძლივი წინა განვითარების კვალს და მოწმობს სამშენებლო ხელოვნების ძირეული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების არსებობას.



მამინ ამის შესახებ შეიძლება ავტორების მოკლე ცნობებით და აღრიხედლ ძეგლის თითო-ორლა ნიმუში (მაგ. უფლისციხის დარბაზებით, რომლებსაც კესონებიანი კამარები აქვს). შემდეგ კი ეს დებულება თვალნათლივ დადასტურა საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულმა სისტემებმა, მრავალწლიანმა გათხრებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.\*) იმავე დროს დადგინდა, რომ ქართული მონუმენტური არქიტექტურა თავისი ფესვებით მიჭიდროდ უკავშირდება ერთი მხრივ მახლობელი აღმოსავლეთის ნიადაგს, მეორე მხრივ, ხალხურ ხუროთმოძღვრების, კერძოდ, გლეხურ საცხოვრებელ სახლს „დარბაზს“, რომლის წინაპრები, პროტოტიპები შორეულ წარსულში უნდა მოვიძიოთ, ხოლო გადარჩე-

ნილმა ნიმუშებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. ამ ტიპს ბევრი პარალელი მოეძებნება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჭერ კიდევ ოციან წლებში საქართველოს სამხატვრო აკადემიამ გ. ჩუბინაშვილის რედაქციით გამოსცა არქიტექტორ ნიკ. სევეროვისა და მხატვარ ი. შარლემანის ნახატებისა და ანაზომების რამდენიმე ალბომი, მიძღვნილი ქართლის „დარბაზისადმი“. ამ ალბომებმა პირველად გამოაჩინა ხალხური არქიტექტურის დიდი მხატვრული გარებულება და მისი ადგილი ეროვნული ხუროთმოძღვრების საერთო ისტორიულ ევოლუციაში. შემდეგში დარბაზის ტიპის შენობები აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში საგანგებოდ გამოიკვლია პროფ. ლონგინოზ სუმბაძემ, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს წიგნი და ცალკეული ნარკვევები. საქმე არ შემოფარგლულა მართლ ამ ტიპის შესწავლით. უკვე დიდი ხანა წარმოებს კვლევა-ძიება გლეხური საცხოვრებლისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გამოვინდა ტიპების დიდი მრავალგვარობა, რაც აინსნება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის განსხვავებული ისტორიული და სოციალური განვითარებით, განსხვავებული კლიმატური პირობებითა და რელიეფით. (პროფ. ლ. სუმბაძისა და არქ. ი. ადამიას ნაშრომები). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გამოკვლევები მიძღვნილი მთა-საქართველოს ხალხური მშენებლობისადმი (მთ შორისაა განსვენებული ცნობილი არქიტექტორის გიორგი ლეევას და არქ. მარიამ ჯანდიერის წიგნები სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და სავიროდ კოშკური არქიტექტურის შესახებ). ვ. დლოიძის წერილში ხევის საცხოვრებელზე და სხვა). როგორღა მიმდინარეობდა შუა საუკუნეების მონუმენტური არქიტექტურის შესწავლა? გამოიყო საკულტო შენობათა ძირითადი ტიპოლოგიური ჯგუფები. პირველ

საათნალო სამეცნიერო პუბლიკაციების წყალობით უკვე ფართოდ არის ცნობილი თრიალეთის, მცხეთა-არმაზის, ბაგინეთის, ბიჭვინთის, ვანის გათხრების შედეგები: ვარდა ამიტვე ხელოვნებათა მრავალი ლირისუქანისწინე ნიმუშისა, ძალიან მნიშვნელოვანია ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც შექს ქვეან სამეწეწელო ხელოვნების განვითარების აღრიხედლ საფეხურებს. არც ისე დიდი ხანა, რაც აღმოჩნდა ძე. წელოალიტვის, V და IV ათასწეწელების ნაშთასალოტები შეღავერდა და ურბინში, წარმართულ ტაძრის დიდი კომპლექსი დედოფლის მიწიდორზე, ქართლში. უკველი არქეოლოგიური კამპანია ახალ მასალის გვეწეწის ქართული არქიტექტურის უქველეს ისტორიისათვის ნიქალაქისა და ნასტაკისში.

წინაწეწელოალიტვი ხანის ქართული ხუროთმოძღვრების პირველი მოიზილვე ხელოვნებათმოცოდნობის თვალაზრისით მოგვეცა გ. ჩუბინაშვილმა. მან გამოიყო ძირითადი პრობლემები და გამოალონა ის არსებითი კომპოზიციური თავისებურებანი, რომლებიც საფუქვალად დავლი ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. ცნობებში წინაწეწელოალიტვი ხანის ნაქალაქარების, ნეკროპოლების, სხვა კომპლექსების შესახებ მოიპოვება ქართულ არქეოლოგთა მონორგაფიებში, ნარკვევებში, ცალკეული დიდი თეიქეტებისადმი მიძღვრული კრებულებში (იხ. ა. აფაქიძის, ა. ბოზიჩაძის, ი. გავიშვიძის, გ. გობეჯიშვილის, ა. კალანდარის, გ. ლომთათიძის, თ. ლორთქიფანიძის, თ. მიქელაძის, ირ. ციციშვილის, ალ. ჭავჭავაძის, თ. ჭავჭავაძისა და სხვათა ნაშრომები).





ჩვენს შეადგენენ ბაზილიკები, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ შუა საუკუნეების არქიტექტურის განვითარების პირველ ხანებში. ეს თემა საქართველომ უცხოეთიდან, პირველი ქრისტიანული ცენტრებიდან მიიღო (ჩვენში ტრადიციული იყო ცენტრული კომპოზიციები) და თავისებურად გადაამუშავა იგი. საქართველოშივე შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი (ნაგები დაყოფილია არა ბოქებით, არამედ კედლებით), რომელსაც გ. ჩუბინაშვილმა სამეკლესიანი ბაზილიკა უწოდა. მისივე მონოგრაფია ბოლნისის სონის შესახებ წარმოადგენს ფუძემდებელ გამოკვლევას ქართული ბაზილიკებისა და სხვა ქვეყნების არქიტექტურასთან მათი მიმართების შესახებ. ამ თემას დიდი ადგილი უჭირავს გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, რომელიც კახეთის ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილია.

საინტერესო მონაცემებით გაამდირა ჩვენი ცოდნა ბაზილიკების შესახებ თბილისის უძველესი ძეგლი — ანჩისხატის ეკლესიის ძველი ნაწილების გამოვლენამ და შენობის რესტავრაციამ (არქ. რუსუდან გვერდუიელის ხელმძღვანელობით), რომელიც თბილისის 1500 წლის იუმბელესთან დაკავშირებით ჩატარდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების არსის დასადგენად, მისი განვითარების დამოუკიდებელი გზების გასაგებად ჰქონდა VI-VII საუკუნეების გუმბათოვან ნაგებობათა შესწავლა. აქაც დიდი დღეა მიუძღვის გ. ჩუბინაშვილს, რომელმაც ამ პრობლემას დიდი ადგილი დაეთმო ხსენებულ ნაშრომში კახეთის არქიტექტურაზე, განსაკუთრებით კი ცნობილ მონოგრაფიაში მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლების შესახებ. დადგინდა იქნა გენეტიკური კავშირი მასობრივი აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურასთან, ვერძოდ, კვადრატზე მოთავსებული გუმბათის თემის გამოყენების მხრივ, გამოვლინდა იქნა უმოკლესი ტიპები გუმბათოვანი შენობებისა, გამოირკვა, რომ საქართველოში განვითარების

არების ყველაზე საინტერესო, თავისებური გზა განვითარების (ე. ი. ოთხეურო გუმბათის მქონე) ტიპის განვითარება. ეს უძველესი მხატვრული ხორცეხსნა პპოვა მცხეთის ჯვრის ვენილურ ტაძარში. გაირკვა ისიც, რომ ეს ძეგლი განმარტებული კი არ არის, არამედ „სათავეში უდგას“ ანალოგიური ძეგლების ჩვენს; რომ იგი ქართული ხუროთმოძღვრების ორგანული განვითარების შედეგად არის ამოცნეული და რომ პარალელურ (შესაბამისად განსხვავებული ეროვნული ნიშნების მქონენი) მას მხოლოდ სიმხეთში მოეძებნება.

გ. ჩუბინაშვილმა ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა წრომის ტაძარს (VII ს. პირველი მესამედი). იგი მცხეთის ჯვრის მომდევნო ეტაპის ნიმუშია და მიეკუთვნება მთელ საქრისტიანო სამყაროში გავრცელებულ ტიპს, რომელსაც „ჩახახუდ ჯვარს“ უწოდებენ. მონოგრაფიაში ვრცელად შესადარებელი მასალის მოშველიებით და ადრე ფეოდალური ხანის არქიტექტურის პრობლემათა გაშუქებით ნათლად არის ნაჩვენები ტიპის ჩამოყალიბებისა და ევოლუციის ზოგადი სურათი, ნაჩვენებია ისიც, რომ ქართული ძეგლი ერთი უადრესი დასრულებული ნიმუშითაა ამათ ტიპისა მთელ მსოფლიოში.

ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადი სურათი, დაფუძნებული ცალკეულ ძეგლთა და ტიპების ხსენებულ მონოგრაფიულ შესწავლაზე, წარმოადგენილია გ. ჩუბინაშვილის 1936 წელს გამოსულ „ქართული ხელოვნების ისტორიის“ I ტომში. თუმცა აქ ძირითადი დებულებები მოცემულია, გზა ვაკეა უნდა, ამ დროინდელი ეპოქის შესწავლა ამით მაინც არ დამთავრებულია: სურათი შეიცვალა ახალი, მანამდე უცნობი, ან სპეციალური თვალსაზრისით შეუსწავლელი ძეგლების გამოკვლევითა და პუბლიკაციით, ახალი მოსაზრებებით (გ. აბრამიშვილი, მ. დვალი, პ. ზაქარაია, ლ. რჩელაშვილი, რ. შერლინგი, ნ. ჩუბინაშვილი, ვ. ცინცაძე). ამავე პერიოდს უძენდა ზოგადი ხასიათის ნარკვევები ვახტანგ ბერიძემ.

იმვე 1936 წელს გამოქვეყნდა გ. ჩუბინაშვილის „ქართული არქიტექტურის გზები“. ეს იყო არქიტექტურათა ყრილობაზე წაყიბული მოხსენების ტექსტი. ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ აქ, თუმცა კი მოკლედ, პირველად არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარების პროცესი, სტილისტიკური ევოლუცია თვით XIX ს-ის პირველ ნახევარამდე.

შემდგომი ამოცანა იყო ამ ხანგრძლივი გზის უფრო დაწვრილებით გაშუქება — ცალკეული ეტაპების, ძეგლთა ჩვენების, ისტორიული პროვინციების ნაგებობათა მონოგრაფიული კვლევა, სხვაგვარად რომ ვთქვათ. ერთიანი ისტორიული სურათის ყოველმხრივ და საფუძვლიანად ჩვენება. ეს შუამოსა განსაკუთრებით ინტენსიურად გაიშალა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შექმნის შემდეგ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი: დღემდის არა გვაქვს ვრცელი მონოგრაფიები ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ; საესებით შესაძლებელია აქამდე უც-


ნობი ძეგლების აღმოჩენა, მით უფრო, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტში დაარსდა ძეგლთა ნუსხის განყოფილება (ხელმძღვანელი ვ. დოლიძე), რომლის მოვალეობაც არის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლის სრული ანტიკონიგური ინვენტარის შედგენა; დასასრულს, უკვე ცნობილი და გამოკვლეული ძეგლებიც შეიძლება ახალი ასპექტით დავინახოთ, ბუნებრივად ისმის ახლებური განზოგადების ამოცანაც.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ი. წ. „გარდამავალი ხანის“ გამოკვლევა და დახასიათება. ეს არის ხანა VII ს-ის მეორე ნახევრიდან X ს-ის ბოლო ათეულ წლებამდე, რთული ხანი არაბობისა, ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოშობისა, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლისა. საქმეს ათულებდა და ართულებს ის, რომ ამ დროის დამახასიათებელ ძეგლთა დიდი ნაწილი, რომელებიც ძველი ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალზე შეიქმნა, ჩვენთვის მიუწვდომელია. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ რევოლუციამდელ ავტორთა—უბრევლუს ყოვლისა, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის -- ნაშრომები, რომელთაც საშუალება ჰქონდათ თავისი თვალთ ეხილათ და აეწერათ თურქეთის ფარგლებში დარჩენილი ქართული ძეგლები. ეპოქის არქიტექტურის სტილისტიკური ნიშნები ნათლად გამოავლინა გ. ჯუბინაშვილმა კახეთისა და ქართლის ძეგლთა (მათ შორის საერთო ნაგებობათა — ეგოდალთა ნასახარებისა) ანალიზის საფუძველზე. არა ერთი საყურადღებო ნაგებობა გამოიკვლიეს და გამოაქვეყნეს ნ. სევეროვმა, რ. მეფისაშვილმა, ლ. რჩელიშვილმა, ვ. ცინცაძემ, ვ. დოლიძემ, ნ. ჯუბინაშვილმა, ნ. ჭადიშვილმა. ვახტანგ ბერიძემ მონოგრაფია უძღვნა: „ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში“. ნაშრომში ნახევრებითა იქაფური ძეგლების ორგანული კავშირი და მნიშვნელობა ქართული არქიტექტურის განვითარებაში, სამხრეთ საქართველოს ეროვნული კულტურის ერთიანობა.

გ. ჯუბინაშვილმა ჯერ კიდევ ოცან წლებში მკაფიოდ მოხსნა ქართული ფეოდალური არქიტექტურის მეორე აყვავების ხანის (X-XIII სს.) სტილისტიკური ნიშნები (იხ. მისი წერილი „ქართული ხუროთმოძღვრება შუა საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი“; შემდეგ — ხსენებული „ქართული ხუროთმოძღვრების გზები“, „კახეთის არქიტექტურა“). სხვა ავტორებმა შექმნეს მონოგრაფიული გამოკვლევები ცალკეულ ძეგლთა, ცალკეულ ისტორიულ პროვინციათა არქიტექტურის შესახებ, განმარტავდებელი ნაშრომებიც (ნ. ანდლუაძე, ვახტანგ ბერიძე, რ. გვერდწითელი, ი. გომელაური, მ. დვალი, ჯ. ზაქარაია, რ. მეფისაშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ლ. რჩელიშვილი, თ. სანიკიძე, ნ. სევეროვი, გ. სოხაშვილი, რ. შმერლინგი, ვ. ცინცაძე). სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა ამ დროს არქიტექტურის ძირითადი ასპექტების დახასიათებას და შედარებას ბიზანტიის, სომხეთის, რუსეთისა და რომანული დასავლეთის არქიტექტურასთან (ვახტანგ ბერიძე). რ. მეფისაშვილმა და ვ. ცინცაძემ გამოაქვეყნეს წიგნი შიდა ქართლის მთიანი რაიონების (ძირითადად, დღევანდელი სამხრეთ-ოსეთის) არქიტექტურის შესახებ, რომელშიც ცნობილ ძეგლებთან ერთად, ბევრი

უცნობი ან ნაკლებად ცნობილიც არის გამოქვეყნებული (დასავსებელია და მადლობით მოსახსენებელი ი. წ. სანიკიძის ლექსების მცოდნეთა — ისტორიკოსებისა, არქეოლოგებისა და ფილოლოგების მიერ გამოქვეყნებული ნარკვევები, რომლებიც შეიცავს საყურადღებო ინფორმაციას ნიუთონის კულტურის ძეგლთა შესახებ (თ. ბარნაველი, ვ. ბოჭორაძე, ლ. მელიქსეთბეგი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ჯავახიძე).

ჯერ VI-VII შემდეგ კი X-XI საუკუნეების ქართული ტაძრების მხატვრული სახის შესაქმნელად არსებითი როლი ენიჭებოდა დასავლეთისა და კავკასიის დეკორატიული სკულპტურას, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XI საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწია. მისი ევოლუციის საფეხურები — ჯერ ერთგვარი კავშირი ელინისტურ ტრადიციებთან, მერე სავსებით არაბლასტიკური, ხაზოვან-დეკორატიული გამოსახვის საფეხურზე გადასვლა, ბოლოს კი პლასტიკური, წმინდა სკულპტურული ამოცანების წინ წამოწევა — ქვის ქანდაკებაში ისეთივეა, როგორც მცირე პლასტიკაში (ტედული გამოსახულებანი, ხის კარების მორთულობა) — იხ. ამის შესახებ ქვემოთ. V-XI საუკუნეების დივრულ რელიეფებს ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნა ნ. ალა-







დაშვილება. ა. ვოლსკაიმ შესწავლა შიო მღვიმის ტაძრის კანკელის რელიეფები. XI ს-ის ხეზე კეთის დიდად სანტერესო ნიმუშები გამოიკვლია ნიკო ჩუბინაშვილმა. მასვე ეკუთვნის მონოგრაფიული ნაშრომები ქვის რელიეფური სკულპტურის ისტორიადან.

ძალიან მნიშვნელოვანია ძველთა შესასწავლად, მათი ავტორების თავდაპირველი ჩანაფიქრის აღსადგენად სამეცნიერო-სარესტავრაციო საქმიანობა, რომელიც საქართველოში უკვე მრავალი წელია სისტემატად წარმოიხედება. რესტავრირებულია საეტიპო მნიშვნელობის ძეგლები — ბოლისის სიონი, ანჩისხატის ეკლესია, წარმის ტაძარი, სამწვერების პატარა ეკლესია VII ს-ისა, ადრინდელი ფეოდალური ხანის მწვენიერი ძეგლი, რომელიც 1940 წლის მიწისძვრის დროს ნახევრად დაინგრა, წიქოლის ეკლესია ქსნის ხეობაში, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოვლის გავაენის კარიბჭე, ბეთანიის ეკლესია, ციხე-სიმაგრეები, სასახლეები; ბევრი ძველი გაფიქრდა და შეკეთდა, ბევრგან გაიხსნა ძველი კედლის მხატვრობა, დიდი ამაგი დასდენი საეკლესიო, საერო და სათავდაცვო არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციის ცნობილმა რესტავრატორებმა ვახტ. ცინცაძემ და რ. გვერდწითელმა, თ. ნემსაძემ, ლ. ხიმშიაშვილმა და სხვ... დიდად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეთა ნაქალაქარების გათხრა, თუმცა გერჯერობით, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდის არ არის მიყვანილი (ნაქალაქარები — ნოაღაქევი, რუსთავი, დმანისი, გრემი).

ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის დიდი მკოდნემ რჩენე შეტრლინგმა (1901-1967) მრავალი წლის შემოსონის შედეგ გამოაქვეყნა საფუძვლიანი მონოგრაფია ქართული ეკლესიების კანკელის მორთულობის შესახებ. კანკელი ეკლესიის ინტერიერის ორგანული ნაწილი იყო და მისი ორნამენტული და სკულპტურული საქაუჯო საყურადღებო ფურცელია ძველი ქართული ხელოვნებისა. მონოგრაფიას ეწოდება „მოკირე ფორმები ქართულ ხუროთმოძღვრებაში“.

თუმცა X-XIII საუკუნეების, ე. ი. საქართველოს გაერთიანების ხანის ხუროთმოძღვრება გერ კიდევ ამოწურული არ არის (არა გვაქვს სრული მონოგრაფიები თუნდაც ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოვლის, სამთავისის კათედრალის შესახებ; რ. შერლინგის განმარტებული ნაშრომი XII-XIII სს. მიერის ხუროთმოძღვრების შესახებ დაუმთავრებელი დარჩა; არის სხვა გაუმუქებული საკითხებიც), გაწეულმა საკვლევათმეო მუშაობამ საშუალება მოგვცა გადავედგა შემდეგი ნაბიჯები და წინ, გვიან ფეოდალური ხანისათვის, ე. ი. XIV-XVIII საუკუნეებისაკენ წავსულიყავით.

ვახტანგ ბერიძემ შესწავლა სამცხის ხუროთმოძღვრება XII-XVI საუკუნეებისა. მისი ნაშრომი აშუქებს მშენებლობის ისტორიას საქართველოს ისტორიულ პროვინციაში, სადაც შექმნილი ვითარების გამო, მშენებლობა უფრო ინტენსიურად წარმოებდა, ვიდრე სხვა კუთხეებში. დადგენილია მხატვრობა-სტატისტიკური ცვლილებები, რომლებიც მაშინ ვანიცადა ქართულმა ხუროთმოძღვრებამ. მისივე ორტომიანი მონოგრაფია ეძღვნება მომდევნო ხანას, XVI-XVIII საუკუნეებს, რომლებმაც საქართველოს ყველა კუთხეში დაგვიტოვა საეკლესიო, საერო, სათავდაცვო, უტილი-

ტარული დანიშნულების მრავალი ნაგებობა. გ. ჩუბინაშვილმა ოცდაათიან წლებში მოგვცა ამ ეპოქის დასახსიათება, ხოლო ძველთა, ძველთა გეგმები — საეკლესიო, საერო, სათავდაცვო შესწავლეს და გააშუქეს პ. ზაბარაძემ (მან ცალკე წიგნები უძღვნა ქართლის ციხე-სიმაგრეებს, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობებს), ლ. რჩელუაშვილმა (გვიანი ფეოდალური ხანის სასახლეები, წიგნი ქალაქ თელავის შესახებ), ვახტ. ცინცაძემ.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სურათი სრული არ იქნებულა საქართველოს საქვეყნოდ ცნობილი გამოქვეყნებული კამპლექტის შესწავლას გარეშე. გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფია „დათი გარეჯის გამოქვეყნებული მონასტრები“ მიძღვნა გერ კიდევ VI ს-ში დასარსებული და შემდეგ ფართოდ განსტობებული მონასტრების ისტორიას, არქიტექტურასა და კედლის მხატვრობას. ვაძიძის სახელგანთქმულ მონასტერსა და საერთოდ კედელს ნაკეთი ასამაბლების პრობლემებს სწავლობდაც ე. ვახაშვილი, გ. ვაფინდაშვილი, კ. მელითაური, ორმა უქანსკნელმა ცალკე მონოგრაფიები გამოქვეყნა. უფლისციხის კლდის ქალაქს ნაშრომები უძღვნეს ნ. ჩუბინაშვილმა, დ. ხახუტიაშვილმა.

კვლევა-ძიება შეუხი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დამამთავრებელ საფეხურსაც, რომელიც უკვე ამზრდება ძველი ქართული სამეფოების არსებობის დასახსილს, ფეოდალიზმის რღვევას. ეს არის XIX ს-ის პირველი ნახევარი, როდესაც საქართველო უკვე რუსეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდა, ეს იყო გარდასული პერიოდი, რომლის არქიტექტურა ძალიან მავალი ასახავს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიურსა და კულტურულ სფეროებში მოხდარ არსებით ცვლილებებს. ამბროინდელი თბილისი შესწავლა ვახტ. ცინცაძემ, რომლის წიგნშიაც გაშუქებულია ქალაქის ზრდის წინა პირობებიც. გამოცემას თან ერთვის ავტორის მიერ წარმოდგენილი გრაფიკული რეკონსტრუქციები და ანაზომების მიხედვით შესრულებული ნახაზები. ვახტანგ ბერიძის ორტომიანი ნაშრომი „თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები“ ემყარება, გარდა თვით რეალური ქალაქის მონაცემებისა, საარქივო საბუთებს ამ ხანის მშენებლობის შესახებ, ძველ პრექტებს.

ბუნებრივია, რომ ცალკეული ძეგლების, ეტაპების, ტიპების შესწავლამ ნიადაგი მოამზადა ზოგადი მიმოხილვითი ნაშრომებისთვისაც, რომლებშიაც წარმოდგენილი იქნებოდა ქართული ხუროთმოძღვრების მიერ განხილული გზა. გ. ჩუბინაშვილის ორი ნაშრომი უკვე მოიხსენიეთ. არქიტექტურის ადგილი აქვს დათმობილიც. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიაში“, რომელიც რამდენიმეჯერ გამოვიდა (ქართულად და რუსულად); ქართული არქიტექტურის ისტორიულ მიმოხილვას წარმოადგენს ნ. სვერიოვის „ქართული არქიტექტურის ძეგლები“ და ირ. ციციშვილის წიგნი (რომელსაც „ქართული არქიტექტურის ისტორია“ ეწოდება), ვახტანგ ბერიძის „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, რომელიც აგრეთვე რამდენიმე ვარიანტის სახით არის გამოცემული ქართულად და რუსულად, ნ. ჯანბერიძისა და ი. ციციშვილის „ქართული არქიტექტურა“ (მოსკოვი, 1976).

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარების ყველა საფეხურის შესწავლა გრძელდება — მასალა ამოაწურავია.

როგორც დასაწყისშივე ითქვა, ძველ საქართველოში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჰედურ ხელოვნებას, რომლის ძირებიც შორეულ წარსულშია საძიებელი (ვეფლისხმობ ვერცხლსა და ოქრის ნივთებს, თუმცა სხვა მასალასაც იყენებდნენ, მით უფრო, აღრეულ საფეხურებზე). წინათ ქართული ჰედურობის უძველესი, შუა საუკუნეებზე აღრინდელი, ნიმუშები შემთხვევით აღმოჩენილი ნივთებითა და განძით იყო ცნობილი (გავიხსენოთ, მაგალითად, „ახალგორის განძი“). მხოლოდ საბჭოთა საქართველოში წარმოებულმა არქეოლოგიურმა

იაკობ სმირნოვმა, რომლის ნაშრომიც უკვე საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა. საქართველოში მოპოვებული ანტიკური ვერცხლის ანალოზს ხელოვნათმცოდნეობის თვალსაზრისით მივძღვანა კ. მაჩაბლის შრომები („არამაზის ხევის ვერცხლის ფილაობა“, „საქართველოს გვიანანტიკური ტოპოეტიკა“).

შუა საუკუნეების ჰედური ნივთების რიგები ათასობით დათვალება. ეს კი მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა, რაც ინახებოდა სასახლეებში, ღიდ ტაძრებში და მცირე საშლოცველოებშიაც კი.

ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობასა და მათდამი ინტერესის ზრდის, რომ ხატები, ყდები, ჯრები, ჭურჭელი მხოლოდ ორამენტული სახეებით კი არ იყო მორთული, არამედ სკულპტურული გამოსახულებებითაც — გარკვეულ პერიოდში, ეს იყო მთავარი. რელიეფურია არა მარტო ცალკეული ფიგურა, არამედ მრავალფიგურაინი კომპოზიციები — სახარების, ან სხვადასხვა წმინდანის ცხოვრების სცენები. თითქოს პლასტიკის ენით გამოასახვის სურვილმა სწორედ ჰედურ ხელოვნებაში ჰპოვა გამოსავალი, რაკი შუა საუკუნეების საქართველოში მონუმენტურმა „მრგვალებამ“ ქანდაკებამ ვერ შეძლო განვითარება. პლასტიკური გამომსახველობის ევოლუციის საფეხურები, რომლებიც ზემოთ ჰქვის რელიეფებთან დაკავშირებით მოვიხსენიეთ, აქ განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს.

ქართული ჰედურობის შესწავლა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო (ნიკოლოზ კონდაკოვის შრომები), ხოლო მთლიანი სურათი ამ დარგის განვითარებისა, მისი სტილისტიკური ევოლუციისა (რაც ნიშნავდა საერთოდ ქართული პლასტიკის ეტაპების დადგენას) მოგვცა გიორგი ჩუბინაშვილმა თავის მონუმენტურ მონოგრაფიაში „ქართული ჰედური ხელოვნება“ (ტექსტისა და ტაბულების ტომები). ამ მონოგრაფიის ერთგვარი დამატება დიდი აზრობი „ქართული ოქრომუქელობა“, რომელიც ზოგი ნაწარმოების ფოტო-სურათი ნატურალური ზომისა (ტექსტი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე). ქართულ ჰედურობასა და მინანქრებს წერილები და წიგნები უძღვნეს შ. ამირანაშვილმა (მონოგრაფია ბეჟა ოხიზარის შესახებ), დ. გორდეემა, ლუიზიდე მაცულევიჩმა, რენე შერენგმა რ. ყენიამ (მონოგრაფია ხახულის კარდის შესახებ), თ. საყვარელიძემ, ლ. ხუსკიაძემ, ო. სანებლიძემ და ა. ჩხატარაშვილმა.

გადუქარებულად შეიძლება ითქვას, რომ ტიბოროვანი მინანქრის კოლექციის სიმღიდრით საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მსოფლიოში. ქართული მინანქრები თარიღდება დროის მონაკვეთით VIII-IX საუკუნეებიდან დაახლ. XV საუკუნემდის. გასულ საუკუნეში ბევრი შესანიშნავი ნიმუში დაიკარგა ეკლესიების მეორედური ძარცვის შედეგად. ზოგი მათგანი შეიძინეს რუს-კოლექციონერებმა (ეს ნიმუშები საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუბრუნდა საქართველოს), ზოგი ამერიკაში მოხვდა და დღესაც იქ ინახება.

ქართულმა ტიბოროვანმა მინანქრებმა აღრევე მიიპყრო ყურადღება. მათ შესახებ წერდნენ იგივე ნიკოლოზ კონ-



კლევა-ძიებამ გამოაჩინა ის უძვირფასესი განძი, რომლის გარეშეც დღეს შეუძლებელია საქართველოს ისტორიის აღრინდელი საფეხურების გაგება და შეფასება. ცნობები ამ ნივთების — ჭურჭლის, სამკაულების, მცირე ქანდაკებების — შესახებ, მათი ისტორიულ-არქეოლოგიური ინტერპრეტაცია მოცემულია ქართულ არქეოლოგია ცნობილ მონოგრაფიებში. თავის დროზე „ახალგორის განძს“ ნარკვევი უძღვნა რუსმა ხელოვნათმცოდნედ



დაკვივი, დიმიტრი გორდევვი; ზნადაზმა თავის ნაშრომებში მათ ეხებოდნენ დასავლეთ ევროპელი ავტორებიც. მ.გ.რამ ძირითადი საკითხები — ატორიტეტი, დათარღობა, მხატვრული დახასიათება — ბოლო დრომდე მაინც უშედეგოდ რჩებოდა. 1962 წ. პარიზში გამოცემა შალვა ამირანაშვილის წიგნი „საქართველოს მინანქრები“, მრავალრიცხოვანი ფერადი ილუსტრაციები (ჯერ ფრანგულად, შემდეგ ინგლისურად და იტალიურად). ამ პირველად იყო წარმოდგენილი ქრონოლოგიურად დაჯგუფებული ყველა უმთავრესი ნიმუში ქართული სამინანქრო ხელოვნებისა, მოცემული იყო მათი მოკლე დახასიათება. სულ ბოლო დროს საფუძვლიანი გამოკვლევადუნდა მინანქრებს ლეილა ხუსკივაძემ, რომლის ნაშრომშიცაა წარმოდგენილი ამ დარგის ისტორიული განვითარების ზოგადი სურათი.

ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშები ზნირად იხსენიება XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ავტორთა შრომებში, თუმცა მათ ვაცლებები ნაკლები ადგილი ეთმობოდა, ვიდრე ხუროთმოძღვრების ძეგლებს. ავტორთა ყურადღებას იპყრობდა უმეტესად იკონოგრაფია ფრესკებზე გამოსახულ ისტორიულ პირობა იდენტფიკაცია, წარწერების ამოკითხვა. მხატვრულ მხარე, მცირე გამოხატვისით, ხელუხლებელი რჩებოდა, ან არ სცილდებოდა კერძო დაკვირვებებისა და დასკვნების ფარგლებს: მით უფრო, არ იშობდა საკითხი ქართული მხატვრობის ეროვნული თავისებურების ძიებისა მხატვრული თვალსაზრისით.

საბჭოთა ხანაში მონოტონური მხატვრობის მეცნიერულ შესწავლასაც სათანადო ყურადღება მიეცა. მკვლევართათვის არსებითი დამხმარე მ.ს.ალაა ფრესკების პირები, რომლებიც, იმავე დროს, აუცილებელია სამუშაოთა ექსპონირებისთვის, რომ ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი იყოს ჩვენი ეროვნული ხელოვნების ეს მნიშვნელოვანი დარგი. პირების ვადმოღება დაიწყო უკვე 20-30-იან წლებიდან. (ესენი არიან: ნატალია ტოლმაჩევსკაია, რომელმაც თავისი დაკვირვებების საფუძველზე წიგნი გამოცემა, ქართული ფრესკების შესახებ: ტატანა შვეიციაკოვა, სოფიო მირზაშვილი, გიორგი ერისთავი, მერა მიქელაძე-ბაგრატიონი და სხვანი. დიდრამაე დასდო ქართული კედლის მხატვრობის შემკვრებარესტრუქტურის სკემის განსვენებულმა შალვა ამირანაშვილმა, რომელიც მხატვრობის პირებსაც ასრულებდა. მისი საქმის ნაყოფიერად აგრძელებენ კარლო ბაქურაძე, გიორგი ჭიჭიშვილი და ახალგაზრდა კომპოზიტრესტრუქტორების თაობა. აქტიურად ჩება ქართული მხატვრობის კომპოზიციისა და განვითარებადგენის საქმეში მოსკოველი სპეციალისტი ა. ოჭინიკოვი).

თავისი ნაშრომების დიდი ნაწილი მიუძღვნა ძველი ქართული მხატვრობის შესწავლას შ. ამირანაშვილმა (1899-1975). მან გამოაქვეყნა ცალკე მონოგრაფიები (დიდი ალბომი შესავალი ტექსტით უბნის მხატვრობის შესახებ, რომელიც მოგვიანებით რამდენიმე შეცვლილი რედაქციით კვლავ დაიბეჭდა), ნარკვევები, ერთი ტომი ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიისა, დიდი დგალი დღითმი მხატვრობის „ქართული ხელოვნების ისტორიაში“. მისი ზოგი ნაშრომი არა ქართულ ძეგლებსაც ეხება, მ გრამ ისეთებს, რომელთა კვლევის დროს

შეიძლება დაისვას ქართული ხელოვნების თვალსაზრისითაც საინტერესო საკითხები (ნარკვევი ნეტარაშვილის შესახებ).

გ. ჩუბინაშვილის ნაშრომთაგან, როგორც ითქვას, მხატვრობას დიდი ადგილი ეთმობა „დავით გარეჯის გამოქვეყნებული მონასტრებში“. აქტიურად წარიბართა მონუმენტური ფერწერის კვლევა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტრუქტის ფერწერისა და ქანდაკების განყოფილებაში, რომლის თანაშრომელთა ნაშრომებში, ისტორიულ და იკონოგრაფიულ საკითხებთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძველთა მხატვრული თვისებების, სტრუქტურული ევოლუციისა და ეროვნული თავისებურების საკითხებს, ქართულისა, ბიზანტიურისა და სხვა ქვეყნების მხატვრობათა რეალური მხატვრული-ისტორიული ურთიერთობისა და ურთიერთშემადრდობის პრობლემას. X-XIII საუკუნეთა მხატვრობის შესახებ უმთავრესი ნაშრომები — მონოგრაფიები, განზოგადებანი ეყუთენის თინათინ ირსალაძეს, რომელმაც დიდი შრომა გასწია სწორედ მხატვრობის სტრუქტურული ევოლუციის სურათის დასადგენად, გაიანე ალიბეგაშვილს, ა. ლადაშვილს, ა. ვილსკაიას, ე. პრივალოვას, ლ. შერვაშიძეს, გ. აბაშიაშვილს. XIV-XV ს-თა პერიოდს იკვლევს ინგა ლორთქიფანიძე. მკვლევართა ახალი თაობის ყურადღება ბუნებრივად არის მიპყრობილი მომდევნო პერიოდზე — XVI-XVII საუკუნეებზე, რომელიც დღემდის არ ვადმარა საგანგებო შესწავლის საგნად, ეს პერიოდიც მდიდარია საინტერესო და თავისებური ნიმუშებით. მკვლევართა საგანგებო ინტერესს იწყობს ქართული მონუმენტური მხატვრობის სხვადასხვა სკოლის შესწავლა (ტაო-კლარჯეთის სკოლა, დავით გარეჯისა, „დედაქალაქური“). უკვე რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა, მაგალითად, სანაურს ეკლესიების მონახულებას (სანაური ძველი ქართული ხელოვნების ნამდვილი საგანგებია!). წამოიჭრა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც, როგორიც არის ხალხური საწყისების როლი და ხალხური ნაქადის არსებობა მონუმენტური მხატვრობაში. კვლევის საგანია საერო მხატვრობა, კერძოდ, ისტორიული პორტრეტები (გ. ალიბეგაშვილი). ბოლო ხანებში მიკვლეულია აქამდის უცნობი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლები მხატვრობის (მაგ. საბურთალოს გამოქვეყნებულში, დავით გარეჯის კომპლექსში მათ იკვლევს ანელი ვილსკაია), ან ვაჭმუნდლითა დროთა განმავლობაში ჭეჭყისა და შეღესლითაგან დაფარული ფრესკები (მაგ. ლავერების ტაძარში).

შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული მხატვრობის ისტორიაში ახალი ფურცელია ფერწერული ხატების შესწავლა, რასაც ხელს უწყობს ძველი, დროისაგან დაზიანებული ხატების გაწმენდა და რესტავრაცია (მათ იკვლევს გაიანე ალიბეგაშვილი).

მონუმენტური მხატვრობის გარდა, როგორც ცნობილია, ძველი საქართველო მდიდარი იყო ხელნაწერის წიგნების მორთულობათა და მინიატურებით — ესეც ერთიმ დარგითანია, რომელიც მიწმობს საერთოდ შუა საუკუნეების ეროვნული კულტურის მალა დონეს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ სიძველეთა მკვლევარნი იმთავითვე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ქართულ ხელნაწერებს, მით უფრო, რომ ბევრ

მათვანს, გარდა ძირითადი ტექსტისა (სარწმუნოებრივი შინაარსისა იქნება იგი, თუ საეროსი), აქვს უძვირფასესი ისტორიული ინფორმაციის შემცველი მინაწერები, აღკვარულმა, თ. ყორღანამ, მ. ჭანაშვილმა, ექ. თაყაიშვილმა, ნიკო მარამა და ივ. ჭავჭავაძემ დაიღა და ამდიდრეს ჩვენი ეროვნული წარსულის კვლევა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემით — აღწერილი იყო როგორც საქართველოში თავმოყრილი ხელნაწერები — საეკლესიო მუზეუმისა, ქართველითა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ისე უცხოეთის ქართული საგანგებო წიგნთსაცავები (თუმცა ამ მხრივ ჭერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი და დასადგენი). უკვე საბჭოთა წლებში ეს დიდი საქმე გააგრძელა და ახალ მეცნიერულ საფეხურზე აიყვანა საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა — გამოიცა რამდენიმე ათეული ტომი ხელნაწერთა აღწერილობისა, რომელთა გარეშე დღეს შეუძლებელია ქართული კულტურის ისტორიის კვლევა. ეს „აღწერილობანი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათისაა. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მოცემულია ცნობები ხელნაწერთა სამკაულებისა და მინიატურების შესახებ, მაგრამ მათი განხილვა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით სცილდება გამოცემის ამოცანათა ფარგლებს.


წინააბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში ქართული მინიატურის განხილვისადმი სულ რამდენიმე ნარკვევი მიძღვნილი. სინამდვილეში ამ დარგის მეცნიერული კვლევა სათანადო დონეზე საბჭოთა ხანაში დადგა. აქაც, ისევე როგორც კედლის მხატვრობის შესწავლისას, ამოკნა და დაისახა ხელნაწერი წიგნის მორთულობის მიეილი სისტემის დაწვრილებითი პროფესიული შესწავლა, საუკუნეთა მანძილზე ამ სისტემის სტილისტიკური ევოლუციისათვის თვალის გაღწევნა, ბიზანტიური და აღმოსავ-

ლური ხელნაწერი წიგნების მორთულობასთან ურთიერთობის გარკვევა. ეს ეხება როგორც ფურცლის მხატვრობის მების საკუთრივ დეკორაციულ ელემენტებს, ისევე მინიატურებს.

დიდი დამსახურება მიუძღვის ხელნაწერთა მორთულობის მეცნიერული კვლევის საქმეში რენე შერლინგს. ჭერ კიდევ 1940 წელს მისი ტექსტით გამოიცა ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშების ალბომი (ფერადი ტაბულეებით), ხოლო ავტორის გარდაცვალების შემდეგ ორტომიანი ფუნდამენტური გამოკვლევა IX-XI საუკუნეების ხელნაწერთა მორთულობის შესახებ, ფუძემდებელი ნაშრომი ამ დარგში.

ქართული სამინიატურო მხატვრობის ისტორიას მიეძღვნა შალვა ამირანაშვილის წიგნი. მანვე ადრე გამოსცა ორტომეული ვეფხისტყაოსნის ძველი მინიატურების შესახებ, რომელიც 1966 წლის საიუბილეო დღეებში გამოვიდა. გვიანი ფეოდალური ხანის სამინიატურო ხელოვნების ნიმუშები სხვა ავტორების ყურადღებასაც იპყრობს: ლეონიდე შერვაშიძის შესწავლის საგანი იყო XV ს-ის ქართული საერო ხასიათის მინიატურები (ბატალიური სცენები ჭრუჭის ფსალმუნისა), ხოლო იუზა ხუსკიავამის მონოგრაფიის საგანია XVI-XVII საუკუნეების მინიატურები — „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიის დასურათება. ბუნებრივია, აქაც ერთი უმთავრეს საკითხთაგანია ქართული და უცხოური მინიატურის ურთიერთობა, რაკი ეს იყო ირანული სამინიატურო ხელოვნების გავლენის ხანა. ავტორი იკვლევს ქართულ ირანულ „შეფარდებებს“, ქართული მინიატურის განმსახვავებელ ნიშნებს და სხვა.

გასული წლების მანძილზე უყურადღებოდ არ დარჩენილა არც გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის კვლევა. იგულისხმება ნაქარგობა, კერამიკა, ხისა და ლითონის დამუშავება და სხვა.







გასაგებია, რომ ეს დარგები ახლოა და სწორად ემთხვევა კიდევ ხალხურ ხელოვნებას, რაც მით უფრო ზრდის მათლამ ინტერესს.

სარა ბარნველმა, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს საყურადღებო წერილობითი საბუთები შშენებლობისა და მხატვრობის ისტორიის შესახებ, მონოგრაფია უძღვნა ქართულ დროშებს (ეს არც ამ დარგში ერთადერთი ნაშრომია), ნარკვევები და ცალკე წიგნი ქართულ საბუდელებს, ჩვენი ნივთიერი კულტურის კიდევ ერთი დარგის საყურადღებო ნიმუშებს.

ბუნებრივია, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების ეკლარამია ყოველთვის იპყრობდა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიკის ყურადღებას, ძველი კერამიკის ნიმუშები (სწორად ფრაგმენტების სახით მოღწეული) უმეტესად დღევანდელი კერამიკა ეთნოგრაფიული ყოფის განუყოფელი კომპონენტია, ცოცხალი ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი დარგი.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ძველი კერამიკის ტექნოლოგიურსა და მხატვრულ მხარეს მრავალი წლის განმავლობაში იკვლევდა და ექსპერიმენტებსაც აწარმოებდა ცნობილი კერამიკოსი, აწ განსვენებული ზაქარია მისურაძე (1911-1971).

რამდენადმე წაიწია წინ ქართული ნაქარგობის შესწავლამ (ქ. დავითაშვილი, მ. კეცხოველი), თუმცა ჯერ-ჯერობით უმეტესი ნაწილი გადარჩენილი და დღემდის მოღწეული ნიმუშების მაინც გამოუყენებელია (მაგალითად, შესანიშნავი „გარდამოხსენებ“ XV-XVIII საუკუნეებისა, სასტეკლო და საერო ტანსაცმლის ნიმუშები და სხვა).

თანამედროვე ხელოვნება ყოველთვის შეადგენდა მხატვრული კრიტიკის საგანს. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მხატვრული კრიტიკა მუდამ თავის დონეზე იდგა, ან დღეს გვაქვამყოფლებდეს სასესიები. მაგრამ თბილისის პერიოდიც მაინც ყურადღებით ეკიდებოდა ქართული სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების აქტუალურ საკითხებს, იძლეოდა ინფორმაციას, ასე რომ, თუ დღეს გადავხედავთ ჟურნალ-გაზეთების სამოცი წლის მანძილზე, შეიძლება მეტ-ნაკლები სისავსით აღვადგინოთ ქართული საბჭოთა ხელოვნების მატანე, მისი უმთავრესი ეტაპები, ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენები; პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების წარმართვას ისახევენ მიზნად. ბუნებრივია, როცა საქმე ხელოვნებას ეხება, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რეპროდუქციებს. ქართველი მხატვრების სურათები ქვეყნდებოდა (ზან ამა თუ იმ გამოფენასთან დაკავშირებით, ხან, რომელსავე თარიღთან; არის სავანეები ჩანართებიც ცალკეულ მხატვრებზე) „დროშაში“, „ცისკარში“, „საბჭოთა ქალში“, ზოგ სხვა ჟურნალშიც. საბავშვო ჟურნალებში იბეჭდებოდა ქართული მხატვართა მიერ შერეულბული ილუსტრაციები. ცალკეა მოხსენებული ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია არსებობს და რომლის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია სწორედ დღევანდელი ქართული სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების მოღწევითა პროპაგანდა და კრიტიკული განხილვა. ჟურნალი, მით უმეტეს ბოლო წლებ-

ში, დიდ ადვილს უთმობს სერიოზულ პროფესიულ კრიტიკებს თანამედროვე (და აგრეთვე ძველი) ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, გამოყენებით ხელოვნებათა და ხუროთმოძღვრების საკითხებზე. იგი უხვად არის დასურათებული. უეჭველად სასარგებლო საქმეს აკეთებს ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ალმანახი „ფრესკა“. ღრმადი გამოსულ კრებულებში ბევრი საინტერესო, პოპულარული, მაგრამ პროფესიულად დაწერილი ნარკვევი და ინფორმაცია დაიბეჭდა ქართული და უცხოური, ძველი და ახალი ხელოვნების შესახებ, ნარკვევები, რომლებიც არა მარტო მისწავლელთათვის არის საჭირო. საინტერესოადაა შერჩეული ილუსტრაციებიც. მაგრამ ცუდი ის არის, რომ „ფრესკა“ ძალიან იშვიათად ჩნდება, რაც, რა თქმა უნდა, ანელეს შთაბეჭდილებას.

ოცანა-ოცდაათამ წლებს მიეკუთვნება პირველი ცდები სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნების გამოცდილების ისტორიული გაზარბა და განზოგადებისა. სასებუთი კანონზომიერება, რომ ახალი გზების მიხედვით პროცესში, როდესაც ხელოვნების წინაშე ძველისგან არსებითად განსხვავებული ამოცანები ისახებოდა, როდესაც მწვავედ ისმდა ხელოვნებაში ახალი იდეოლოგიის პოზიციებზე გადასვლის საკითხი, საკითხები ახალი შინაარსისათვის ადეკვატური ფორმის ძიებისა, კლასიკური მემკვიდრეობისაში დამოკიდებულებისა, მხატვრული კრიტიკაც და განზოგადების პრეტენზიის მქონე წერილებიც და წიგნებიც სწორად პოლიმიკური ხასიათისა იყო. სწორად ემოციები, მემარცხენე ფრატელოლოგია, ძველის დამბობის სურვილი სცვლიდა ლოგიკურ საბუთიანობას, გააზრებულ დაფუძნებას. საქმეს აძნელებდა „დისტანციის“ უქონლობა; სწორად ჰიზრდა უმთავრესისა და მეორეხარისხოვანი, ნიშანდობლივია და შემთხვევითის გარჩევა. შემდეგ ამას დაერთო რეალიზმის ეფორი, დოგმატურად გავება, შეუწყნარებლობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ, რასაც იჩენდნენ „ორთოდოქსულად“ მიჩნეული „კრიტიკოსები“, რომელთაც ერთხანს მბრძანებელი პოზიციები ეპყროთ. ამის შედეგი იყო, რომ ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე სწორად ქვეყნდებოდა წერილები, წიგნებიც (თბილისელი და მოსკოველი ავტორებისა), რომლებშიც თანამედროვე ქართველ მხატვართა რეალური ღვაწლის, შეფასება, ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების რეალური სურათი თავდაყირა იყო დაყენებული. ეს არ ნიშნავს, რომ არ იბეჭდებოდა სამართლიანი წერილებიც რეალისტური ხელოვნების პოზიციების დასაცავად, ფორმალზმის საწინააღმდეგოდ, მაგრამ, როგორც ითქვა, თვით რეალიზმის ცნება იყო უკიდურესად შეზღუდული და გაყაბებული. აშკარა გარადატება ორმოცდაათიანი წლების ნახევრიდან დაიწყო.

საბჭოთა ქართული სახვითი ხელოვნების საკითხებზე ნარკვევები (მიმოხილვითი ხასიათისა ან ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილი) სხვადასხვა დრის გამოქვეყნებულ აქტი ვახტანგ კოტეტიშვილს, შ. ამირანაშვილს, ქ. ბაგრატიშვილს, ბ. გორდენჯიანს (წერდა ქართული გრაფიკის შესახებ). ალ. დუდუჩავას, მ. დუდუჩავას, ნ. უჩუჩავას, ნ. ელიაშვილს, ლ. ესაკიას, ლ. თაბუკაშვილს, შ. ეკახაძეს, ა. მიხაილოვს, ვლ. სოკოლს, ი.



ურუმადი, ნ. ურუმადი, თ. ფირალიშვილი, ქ. ლლონტი, ალ. წერიელს (მონოგრაფია ქართული სულბუტურული პორტრეტის შესახებ), დ. ჩანელიძე, გ. ჯაფარიძე (სტატები, წიგნი თ. აბაკელიაზე, „შეხვედრები ქართულ მხატვრობასთან“) და სხვებს. პერიოდიკაში ქვეყნდობდა წერილები ქართული საბჭოთა არქიტექტურის საკითხებზეცა და, გ. ჩუბინაშვილი თავის ზეპირ გამოსვლებსა და წერილებში ყურადღებას ამახვილებდა ეროვნული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ათვისებისა და გამოყენების საკითხებზე. ცალკეულ ავტორთა წერილები ეხებოდა ამავე პრობლემას, რომელიც მუდმივ მწვავედ ისმოდა, აგრეთვე ქალაქგეგმვაზე, საკურორტო მშენებლობას, ტიპობრივ დაპროექტებას, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და მრავალ სხვა აქტუალურ, საკურორტო საკითხს (ბ. ლორთქიფანიძე, ბ. სუშიაძე, ვ. ბერიძე, თ. კვიციანი, ს. კინწურაშვილი, გ. ხიზანიშვილი, ვ. ვაგოშიძე, თ. გიკაშაია და სხვა.).

ომიციანათაწილ წლების დასაწყისიდან აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელოვნების შესწავლის საქმეში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელშიც დაარსებულ იქნა ცალკე განყოფილება. ამ წლის განმავლობაში გამოიცა მონოგრაფიები და წერილები ცალკეულ მხატვრებზე და არქიტექტორებზე, ხუროთმოძღვრულ ობიექტებზე (გ. აღმადაშვილი, ვ. ბერიძე, ვ. დანილიძე, თ. ვიზაიაძე, მ. კარბლაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, გ. მასხარაშვილი, კ. მაჩაბელი, ე. პრივალოვა, თ. სანიკიძე, ნ. ჩანაბერიძე). ინსტიტუტში მომზადდა ნოდარ ჩანბერიძის დიდი მონოგრაფია — ქართული საბჭოთა არქიტექტურის პირველი ვრცელი ისტორია; მოსკოვში გამოიცა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და სსკ სამხატვრო აკადემიის ხელოვნების თეორიისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლობით, ვახტანგ ბერიძისა და ნინო ეზერსკაიას „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება 1921-1970, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება“ — არსებითად, ესეც პირველი დასაბუთებული ისტორია ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნებისა. ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ გამოფენათა განხილვაში, აქვეყნებდნენ კრიტიკულ წერილებს გამოფენებზე და ცალკეულ მხატვართა შემოქმედებაზე. მნიშვნელოვანი დოკუმენტებია ქართული საბჭოთა ხელოვნების შესახებ გამოფენების კატალოგები, რომლებსაც სურათების გაღერვა ბეჭდავენ — მათი საქართვება დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

ქართული ხელოვნების მეცნიერულ კვლევასთან განუყოფლად არის დაკავშირებული ხელოვნების წარმოებისა და თვით ხელოვნებაშემცონობის მონაპოვართა პოპულარიზაცია, რომელიც, რაც დრო გადის, ფართო მასშტაბებს აღწევს. ვარდა მეცნიერულ-პოპულარული გამოცემებისა, გზ.მკვლევებისა, პრესისა, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისა დიდ როლს თამაშობს ამ მხრივ საქართველოს ტელევიზია და რადიო: მრავალი წელია სისტემატურად ეწყობა გადაცემები ხელოვნების სამყაროში მისხმარაწილ ნიშნელოვანი მოვლენების შესახებ. ცალკე გადაცემები და გადაცემათა ციკლები ეძღვნება მსოფლიო მუზეუმებს, მსოფლიო ხელოვნების ცალკე-

ულ დარგებს, განსაკუთრებით კი ქართული ხელოვნების ძეგლებს, მათი დაცვის საკითხებს, მხატვართა შემოქმედებას. ასევე არსებითია საქარო ლექციების როლი — ასეთ ლექციებს აწყობდნენ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; დიდ მუშაობას ეწევა სალექციო და სატელევიზიო პროპაგანდის მხრივ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, ამავე მიზნებს ემსახურება ინსტიტუტის სამეცნიერო სესიები, — ეს უნდა ვთქვათ ანგარიშია, რომლითაც საკვლევი დაწესებულება სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე წარდგება. არ უნდა იგონება არ აღინიშნოს, რომ ცხოველი ინტერესი როგორც ძველი ისე თანამედროვე ხელოვნებისადმი სულ უფრო და უფრო ღვივდება საზოგადოების ფართო წრეებში. ამას ხელს უწყობს (და ამის მაჩვენებელიც არის), ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, სურათების გაღერების დაარსება რაიონულ ცენტრებში (მარტო ბლოს წლებში ასეთი გაღერები გაიხსნა ქუთაისში, ამბროლაურში, თელავში, ცხაქაიაში). მაგარ ამ დღემდე გადაუწყვეტელი საკითხი ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლეები ელემენტარულ ცნობებსაც კი ვერ ღებულენ ხელოვნების ისტორიის შესახებ (გამონაკისი მცირეა). სწორედ ამიტომ, დიდად დასაფრთხილება თბილისის პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის საქმიანობა — ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ჩანბა მშობლიური კოთხის ეთნოგრაფიული ყოფისა და აგრეთვე უკულტურის ძეგლთა დაცვობისა და მოვლა-პატრონობის საქმეში (ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის კაბინეტის ხელმძღვანელს დიდი ხნის განმავლობაში, ვახტანგ ბერიძე რიგე მიქელაძეს). უეჭველი პროგრესის მაჩვენებელია ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ხელოვნებაშემცონობის ფაკულტეტები, ხოლო პირველში, აგრეთვე, ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის რესტავრაციის სპეციალობა. ამ ფაკულტეტების ბევრი ურსლამთავრებული უყვე აქტიურ საქმიანობას ეწევა სპეციალურ დაწესებულებებში.

უქანასწელი ათეული წლის მანძილზე სამეცნიერო ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი დიდად გაიზარდა მსოფლიოს საციალისტთა შორის. ქართული საბჭოთა ხელოვნების ისტორიკოსთა მიზანდასახულმა, სისტემატურმა მუშაობამ, აგრეთვე საკუთარი კვლევა-ძიების გარკვეულმა გაღრმავებამ აიძულა დასავლელი მეცნიერები, რომლებიც ბზხანტის, მახლობელი ამოსახლეობისა და რომანული ევროპის ხელოვნებას, სწავლობენ, დაეთმოთ წინადადლი პოზიციები და მისულოყენენ იმ დასკვნაზე, რომ ამ ქართულ ხელოვნებას უეჭველად დამოუკიდებელი, თავისთავადი ღირებულება აქვს; ბ). აუცილებელია ანგარიში გავწიოს ქართული ხელოვნების, კერძოდ ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური მხატვრობის, მონაკვებებს, თუ ვგსურთ სწორად და სრულად გავაშუქოთ საერთოდ შუა საუკუნეთა ხელოვნების მრავალი კარდინალური პრობლემა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უცილობლად ვახდა, რომ ქართული ხელოვნების ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია შუა საუკუნეების ზოგადი ხელოვნების მართალი ისტორიის დაწერა.





ამ გაზრდილი ინტერესის მაჩვენებელია იტალიელი ფრანგ, გერმანელი, უნგრელი, ბელგიელი მეცნიერების წერილები და წიგნები, რომლებიც ფაქტობრივ მასალის უკეთეს ცოდნას ემყარება და მეტი მეცნიერული ინტეგრულობით გამოირჩევა. ბევრი მათგანი არა მარტო ინფორმაციას შეიცავს, არამედ საინტერესო საკუთარ დაკვირვებებსა და დსკვენებსაც (იტალიელები — ადრინო ალბაგო ნოველი, პაოლო ვერძონე, ენზი ჰიბში, ფრანკო — ცოლ-ქმარი ნიკოლ და ეან მიშელ ტიერი, რომელთაც ეკეთ. თაყაიშვილის შემდეგ პირველებმა შეძლეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებს ნახვა და გამოაქვეყნეს მათი ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შესახებ საყურადღებო წერილები; ტანია ვეიშმანი, ჟაკლინ ლაფონტენ-დოზონი, ედიტ ნიოპა-უერი, ერნსტ ბადშტიუნბერი, ჰაინრიხ ნიკელი, ერვებტ ტომპსონი, დევიდ უინფილდი, ვახტანგ ჯობაძე, რომელსაც აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე და წერილები ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, და სხვანი; გერმანიაში და ბელგიაში ვაშლის ქართულ ეტრობას წიგნებიც (გ. ჩუბინაშვილი, რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, ვ. ბერიძე).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხელოვნებისადმი ყურადღების გამახვილებისათვის, კვლევა-ძიების გაღრმავებისათვის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს. პირველი 1974 წელს შედგა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბერგამოში იქაური უნივერსიტეტის (პროფ. ნინო ყაუხჩიშვილი), მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (პროფ. ალბაგო ნოველი) და ტურინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (პროფ. პაოლო ვერძონე) ინიციატივითა და ქართული ხელოვნების ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობით. მოსმენილ იქნა ქართული, იტალიელი, ფრანგ, ინგლისელ გერმანელ, უნგრელ, ბელგიელ მეცნიერთა ოცდაათამდე მოხსენება (1977 წელს გამოიცა სიმპოზიუმის „აქტები“). მეორე სიმპოზიომი შედგა 1977 წლის მაისში, თბილისსა და გელათში. მოსმენილ იქნა 150-ზე მეტი მოხსენება, მიძღვნილი წინაფიგურალური ხელოვნებისა, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებისა, დეკორატიული ქანდაკებისა, კედლის მხატვრობისა, ჰედურობისა და გამოყენებით ხელოვნებისადმი, ახალი და საბჭოთა ხელოვნებისადმი, ძეგლთა დაცვის საკითხებისადმი. გარდა საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან (მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ნოვგოროდიდან, ბაქოდან, ერევნიდან) ჩამოსული სპეციალისტებისა, სიმპოზიუმში მონაწილეობდა დასავლეთის ქვეყნების ბევრი მეცნიერი. მესამე სიმპოზიომი მოეწყო კვლავ იტალიაში, საუნივერსიტეტო ქალაქებში — ბარისა და ლეჩეში, 1980 წლის ოქტომბერში. მუშაობდა ხუთი სექცია („არქიტექტურა“, „ფერწერა და ქანდაკება“, „მცირე ხელოვნება“, „გამოქვამული ნაგებობანი“, „ქართული კულტურა და დავისეთი“). მოსმენილი იქნა 40-მდე მოხსენება, რომელთა თემატიკა X-XIV საუკუნეებს მოიცავდა.

დიდად ნაყოფიერი იყო კონტაქტები საბჭოთა კავშირის სახელოვნო დაწესებულებებთან: ერთობლივი ვერენცია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და სსრკ კულტურის სამინისტროს ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტისა (შედგები კრებული „შუა საუკუნეების ხელოვნება, რუსეთი-საქართველო“, მოსკოვი 1978), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტისა 1979 წელს.

უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქართული ხელოვნების შესახებ ლექციების კითხვა დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში და კურსებზე (რავენა, ტურინი, ბრიუსელი, მარბურგი, ლიფციგი, ბულაშეტი). დიდ ინტერესს იწვევს ძველი და საბჭოთა ქართული ხელოვნების გამოყენები უცხოეთში. თანამედროვე ქართულ მხატვრობას და გამოყენებით ხელოვნებას ყოველწლიურად ეცნობიან სხვადასხვა ქვეყანაში. ბევრგან დიდი წარმატებით ჩატარდა ფორსმანის ნაწარმოებთა გამოფენები. 1974 წელს ბერგამოში გაიმართა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, რომელიც მას შემდეგ მოგზაურობს იტალიის ქალაქებში, იყო ბელგიაშიც. გამოიცა ამ გამოფენის კატალოგები (გამოფენის ხელმძღვანელები ა. ალბაგო ნოველი და ენზი ჰიბში). 1979 წელს ენევაში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული ჰედურობის ხელოვნების გამოფენა და გამოიცა უხვადა დასურათებული კატალოგი თ. სანიციისა და გ. აბრამიშვილის შესავალი წერილებით.

რაც ზემოთ ითქვა, უქვევლი წარმატებების მაჩვენებელია, მაგრამ სრულებით არ ნიშნავს, რომ მთავარი მიზნები მიღწეულია, უმთავრესი მოპოვებულია.

ქართული ხელოვნება ამოუწურავია. იგი ყოველაც გამოდრდება ახალი აღმოჩენებით. ისახება ახალი დარგების კვლევა, ახალი პრობლემები, უკვე შესწავლილის განზოგადება და ზოგჯერ ახლებური გააზრებაც. არ უნდა შენეულდეს ქართული ხელოვნების ფართო პოპულარობის ტრადიციები, საბოლოოდ უნდა განმტკიცდეს მისი ადგილი მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებათა შორის. ბუნებრივია, რომ მუდამ ახალ-ახალი ამოცანები დაისახება თანამედროვე ქართული ხელოვნების კვლევის საქმეში — დღევანდელი ქართულ ხელოვნება ხომ ცოცხალია, მზარდი და მომავლისკენ მისწრაფებული.



# ქიზის და ნარკოტუხის გზით

გულბათ ტორაძე

სბპმმთს საქართველოს 68 წლისთვის ქართული მუსიკა ხდება როგორც მრავალფეროვანი, მოწიფებული, მუდამ მზარდი ხელოვნება. იგი სულ უფრო აფართოებს თავისი მხატვრული და საზოგადოებრივი ზემოქმედების არს. ქართველ კომპოზიტორებს, მუსიკალურ კოლექტივებსა და შემსრულებლებს ჩვენი კულტურის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე გააქუ. დღეს ქართული მუსიკა სამართლიანად სარგებლობს მაღალგანვითარებული და თვითმყოფი მხატვრული კულტურის სახელით. იგი უბე, მრავალფეროვან მასალას იძლევა მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა აქტუალური პრობლემის შესახებ მსჯელობისთვის.

ქართული მუსიკა — მრავალფეროვანი საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ორგანული ნაწილია. მას ღრსეული ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის ავანგარდში.

ქართული საბჭოთა მუსიკამ სახელოვანი და შინაარსიანი გზა განვლო, რომელიც აღნიშნულია ბრწყინვალე მიღწევებით მუსიკალური შემოქმედების ყველა დარგში.

ქართველი ხალხის მუსიკალური ნიჭიერება საყოველთაოდ ცნობილია. ამის შესახებ ყველაზე უფრო მეტყველებს უნიკალური მუსიკალური ფოლკლორი და მისი მშვენიერება — ხალხური მრავალმნიშვნაობა, რომელიც ავადემიოს ბ. ასათიანის, სიტყვებით „აკვირებს და ქედს ახრციენებს ადამიანს ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის წინაშე“, მაგრამ მთელი რიგი ისტორიული მიზეზების გამო საქართველოს მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში მრავალმნიშვნაობა თავისი პროფესიული მუსიკის აღორძინებისათვის.

უკვე მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ახალიდგმა ქართული მუსიკალური კლასიკა, რომელიც ეროვნული ხალხური მუსიკის მყარ ნადავლზე აღმოცენდა. ქართველ კომპოზიტორთა უფროსმა თაობამ — მ. ჰაღანიანამ, დ. არაყოშვილმა, ზ. ფალიაშვილმა, ნ. სულხანი-შვილმა, ვ. დიდიშვილმა ვოკალური მუსიკის ეარებში (რომანო, გუნდი, ოპერა) შექმნეს რიგი ნაწარმოები, მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ამ კომპოზიტორებმა (აღრე გარდაცვლილი ნ. სულხანი-შვილის გარდა) განაგრძეს თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა საბჭოთა ენოქიკის და არაერთი შესანიშნავი ნაწარმოებით ვაამდღრეს ჩვენი კულტურა. საქმარისა დავასახელოთ ზ. ფალიაშვილის „დაისი“ (1923 წ.) — პირველი ქართული ოპერა, რომელიც დაიწერა საბჭოთა ენოქიკში, მისივე „ლტატარა“ და სხვა. მაიო მუსიკალური შემოქმედების იქცა ამ კეთილნაყოფიერ ნიადაგად, რომელზედაც აღმოცენდა ქართული საბჭოთა მუსიკალური სკოლა. უფროსი თაობის კომპოზიტორებმა და, პირველ რიგში, ზ. ფალიაშვილმა, რომელმაც თავისი შემოქმედება ქართული ხალხური მუსიკის და მსოფლიო მუსიკალური კლასიკის მაღალი მხატვრული ტრადიციე

ბის ორგანულ სინთეზე ააგო, ეს პრინციები ქართველ საბჭოთა კომპოზიტორებს უანდრძობს.

უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხატვრულ მეჭვიდერობასთან ერთად ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხურ შემოქმედებას, რომელიც ქვემარტად დაუშრეტელ წყაროდ იქცა ჩვენი კომპოზიტორებისათვის. იცლებოდა ფოლკლორული მასალის გამოყენების პრინციები და „გეოგრაფია“, ფართოვებოდა მუსიკის სტილისტური „სექტორი“ მაგრამ მეჭვირად გამოხატული ეროვნული იერი მუდამ იყო და დღესაც რჩება ქართველ კომპოზიტორთა მუსიკის ძირეულ დაზახას იათებლ თვისებად, მისი ორიგინალობის ერთ-ერთ უმოკლეს ფაქტორად.

ეროვნულ (ხალხურ და პროფესიულ) შემოქმედებით ტრადიციებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მუსიკის ინტერნაციონალურ კონტაქტებს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს შემოქმედებითი კავშირები რუსულ მუსიკალურ კულტურასთან — დიშენიული გლანას კლასიკური მეჭვიდერებით და დამოაგრებული გამოჩენილი რუსი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებით. თავისი განვითარების პროცესში იგი მიდრდებოდა აგრეთვე საზღვარგარეთული — ულასიური და თანამდროვე მუსიკის მიღწევებით, ფართოვებოდა მისი იდურ-მხატვრული ფარგლები და ინტონაციურ-სტილისტური ლექსიკონი.

განსვავებით ვოკალური მუსიკისგან, რომლის დარგშიც ჩერკილევ რეკლუკამზე შეიქმნა მყარი კლასიკური ტრადიციები, მუსიკალური შემოქმედების ისეთი მნიშვნელოვანი ეარების ფორმირება და განვითარება, როგორცაა სიმფონია, სიმფონიური პოემა, ბალეტი, ორატორია, კამერული ინსტრუმენტული მუსიკა და სხვა. მთლიანდაა დაუშრეტელი ახალი, საბჭოთა ფორმაციის კომპოზიტორთა მოღვაწეობისათვის. ყველა ამ ეარული შექმნა მუსიკალური შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშები, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს. ქართული მუსიკა დიდი ხანია გვიდა საეკავშირო ასპარეზე, ბოლო წლებში კი — საერთაშორისო მასშტაბით ინსანუარებს უწარადლებს.

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარების პირველ ეტაპზე 20-30-იან წლებში განსაკუთრებით საგულისხმო იყო ინსტრუმენტული (სიმფონიური და კამერული) მუსიკის სწრაფი განვითარება და შემოქმედებითი წარმატებები, რომლებიც კილევ უფრო განტკიცდა მომდევნო პერიოდებში. შეიქმნა არა მარტო მრავალფეროვანი ფორმები სიმფონიური მუსიკისა, არამედ სიმფონიზის სხვადასხვა ეარებრივი ნაწარმოები. ქართველ კომპოზიტორთა საუცუფესო ინსტრუმენტული ნაწარმოებები უწარადლებს იქცევენ მუსიკალური ფორმის, ენისა და დრამატურგიის დამოუკიდებელი, ორიგინალური გა-



დაწვევით ქართული ეროვნული სტილის საფუძველზე. მრავალმა მათგანმა აღიარება მოიპოვა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

უკველივე ახალ სპირაკელი ჩაყარა უკვე საბჭოთა საქართველოს პირველ წლებში, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ნიჭირი ახალგაზრდათა პლეადა — შ. თაქაიშვილი, ი. ტუსკია, გ. კლიძე, ვ. გოციანი, მოგვიანებით — შ. შველიძე და ა. ბალანჩივაძე. ამ თაობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკის განვითარებაში, თეატრალურ და სტილისტურ გადინებაში, უკვე 20-იან წლებში დაწერა რამდენიმე საინტერესო, მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები. მხედველობაში გვაქვს გ. კლიძის „ქართული სიუჟეტი“ (1925 წ.) და ი. ტუსკიას „კვარტეტი „ჩეღლა““ (1926) პირველი მათგანი ქართული ელემენტის სიმფონიზმის სათავედ უნდა მივიჩნიოთ. „ქართულნი სიუჟეტი“ იმთავითვე მოიპოვა მნიშვნელოვანი უარყოფითი და დღემდე შეინარჩუნა მხატვრული სინორი და მისწოდებულობა. იგივე შეიძლება ითქვას ი. ტუსკიას ცნობილი საკვარტეტო პიესის „ჩეღლა“ შესახებ. ქართული მუსიკის ისტორიაში იგი შევიდა, როგორც კამერალ-ინსტრუმენტული ელემენტი ერთ-ერთი პირველი ნიმუში, რომელმაც ბძიგი მისცა მუსიკალური ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას.

30-იან წლებში ქართული მუსიკის წინსვლა გაშლილი ფორმით მიმდინარეობს. კომპოზიტორები სულ უფრო თამაშად მიმართავენ ახალ მუსიკალურ ელემენტს, რომელიც ჩვენში არ ჰქონიათ პროფესიონალ ტრადიციებში. ასეთი იყო, მაგალითად სახალტო ელემენტი, რომლის პირველი ნიმუშები შექმნეს ა. ბალანჩივაძემ („მთების გული“) და შ. თაქაიშვილმა („მალაიკა“).

წარსულში გასაკუთრებით ნაყოფირად მუშაობნებს ამ დარგში ო. ტრუსია, გ. კაციანი, კ. მედიენი-უბუცესი, ი. ვახიანიშვილი, ა. კერხთქიძე, თ. ბარანიშვილი, შ. მედიენი პერიოდში — ა. მაკუარაჩი, და თორაძე, რ. გაბნიჭავი, რ. ლაღიძის, ა. ჩიხაძის, ს. ცინცაძის, დ. დავითაშვილი, ბ. კვიციანი, ვ. ყანელი, ნ. მანისაშვილი, ნ. გაბუნია, ო. გვაქაძე, ო. გორდელი, ვ. აზარაშვილი, ა. ბობიანიძე. დიდი პოსუტარობა მოიპოვა რ. ლაღიძის სინდერბა კინოფილმებით. იწვიით წარმატება ხდა ვ. ყანელის თეატრალური მუსიკა („ხანუშა“, „კავასირი ცარების ცარება“ და სხვ.).

რაც შეეხება სპექტაკლ მუსიკას, რომელსაც წარსულშიც ქმინდა საკმაო ტრადიციები, — მისი ინტენსიური განვითარების პერიოდში თანხვედა სწორედ 60-70-იან წლებში. მთელმა რიგმა სასტარალი კოლექტივებმა და შემსრულებლებმა საკუპირი მასშტაბით მოიპოვეს აღიარება. ყველა ისინი ძირითადად მუშაობენ ახლად შექმნილ ეროვნულ რეპერტუარზე. თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანეს სასტარალი მუსიკის განვითარებაში და თორაძე, რ. განიჭავი, ბ. კაციანი, ნ. ნალბანიშვილი, დ. ლესე, აქტიურად მონაწილე კომპოზიტორაგან განსაკუთრებით გამოირჩევა გ. ცაბახი, მისი მუსიკა აღმეტილი ცხოველურულიებით, მელოდიური გამომსახველობით, სასტარალი „კეთი“ და მშენებელია მუარის მასშტაბით საგაგლობის. ნაყოფირად მოვადგნეს სასტარალი ენანებში შ. მილორაავი, ო. თევდორაძე, ს. მირიანაშვილი, მ. ფრცხვანიშვილი, ო. გორდელი, დ. იაშვილი, ნ. გვაგარიანი, ა. რაქიაშვილი, ო. ბარჩანაშვილი, ვ. დურღულიშვილი, ნუნუ გაბუნია, გ. ბუჯანელი, კ. პეკუჩერი, გ. გაჩეჩილაძე, ა. ბასილია და განსაკუთრებით ვ. აზარაშვილი და გ. ყანელი.

ქართული მუსიკალური კულტურის მმლავრი აღმავლობის შესახებ ცოცხლ ეროვნულ დამატებლად მრეტყველობს ის გარემოება, რომ იგი წრამდ წამადდ ეხება ახლ-ახალი სამიდი შემოქმედებითი ძალებით, რომლებიც რუსუბალიის წამყვან კომპოზიტორთა რაგებში ინიკიდრებენ ადგილს.

კომპოზიტორთა ახლგარბდული თაობა, რომელიც ჩვენს თვალში იწევს თავის გზას მუსიკალური ხელმეწინაში, სპეციული საუბრის ღირსია. აქ ჩვენ დავმკაოფილდებით ახლგარბდების საუკეთესო ნაწარმოებებს დასახლებებით, რაც საუფედელს გვაძლავს იმედი ვიქონიოთ, რომ მათი სახით აღლო მომავალში სიფიღით ქართული მუსიკალური ახლგარბდის დირსულე ცვლას. ასეთია, მაგალითად, ა. ბარჩანაშვილის დიდი შინაგანი განწყობილითა და შთანმედავი ძალით დაწერილი სიმფონია, ტრიო, საუნდო ნაწარმოებები, გ. ჩილიძის ოპერა „დარისასანს გასაპირი“ (დაიდა ქუთაისის საოპერო თეატრში) და მუვენიური ვოკალური ციკლი „სიუარავლის საგაგლობელი“, ე. ლომდაძის სიმფონია, მუსიკა კამერული ორკესტრისათვის, თ. შაბლიანოვის ვოკალურ-ინსტრუმენტული სიმე „რწმენის კედელი“ და ვკარტები, რ. კეთილოვის სიმბიანო ვკარტები და საუნდო ნაწარმოებები, რ. გაბნიჭავის „შემოღობება მთაწმინდაზე“, „დიდი ქართული შეძახილები“, ვ. ჭულბაძის სიმფონიური სიმე „სიკვლეურსენიკა“, რ. ჩიხაძის ვოკალური კონცერტი „ღრანეტიკისთვის, შ. შილაქიასა და გ. ჭავჭავაძის კამერული სიმფონიები, მ. შულღიაშვილის, მ. ცერკიანის, მ. ნაყოჩაძის, ჭ. ბეღარაშვილის ნაწარმოებები და სხვა. გვაგონდება ჭკრ კიდევ 1952 წ. დიდი საბჭოთა კომპოზიტორის და შობდავრების მიერ ნაიჭვის სიტუებები: თამაზად შეძლებია ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის არცერთ რესუბლემკაში არ შეინიშნება ახლგარბდა შემოქმედებითი ძალები ისეთი მმლავრი მოვადგნა როგორც საქართველოში“. ეს კი ჩვენი ერთ-ერთი საუკუნეები გამოქმნილი მუსიკალური ნიჭებების უბუარე გამომსახველობა და, ამასთან ერთად, მისი კულტურის შემდგომი წინსვლისა და წარმატებების ნაწინად.

დღეს ქართული კომპოზიტორთა წინაშე არაერთი სერიოზული შემოქმედებითი ამოცანა დგას, რომელია გადაწყვეტას მოიხიბოს ჩვენი თანამედროვეობა, საზოგადოებრიობა, ხალხი. შეიძლება დარწმუნებულბით ვთუოთ ქართული კომპოზიტორების შემოქმედებით აქტიურობაში, ისინი არ დაიზურებენ ძალებს მშობლიური სიხის შემდგომი აუვავებისათვის.





სამოცი წელი გავიდა, რაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთად დაიწყო ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების აღორძინების გზა. რესპუბლიკასთან ერთად, მისი საერთო კულტურულ-სამეურნეო მიღწევების აღმავლობასთან ერთად, თავის მონაპოვართა საზღვრები სულ უფრო და უფრო გაფართოვა ქართულმა მხატვრობამ. საბჭოთა ხელისუფლების პირმშო, თბილისის სამხატვრო აკადემია იქცა იმ ცხოველმყოფელ სამჭედლოდ, სადაც გამოიწერთნენ და იწვრთნებინ მრავალდარგოვანი სახვითი და ხუროთმოძღვრული ხელოვნების ოსტატები. უმაღლესი სამხატვრო განათლების ეს დიდებული კერა სადღეისოდ უჩვეულოდ გაიზარდა, დიდად გაფართოვდა მისი სასწავლო-შემოქმედებითი დიაპაზონი. ეს სიახლეები, დიაპაზონის სიფართოვედრომ, თანამედროვეობის მოთხოვნებმა უკარნახა ამ სახელოვნო დაწესებულებას, ისევე, როგორც საერთოდ ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროსა და დარგს. აკადემიის საძირკველთან კი მაშინ, ამ სამოცი წლის წინ, ოსტატ-შემოქმედთა, მცირე ჯგუფი იღვა, მცირე, მაგრამ თავიანთი პატრიოტული შემართებით, შემოქმედებით-მეცნიერული პოტენციით გამოჩნეული ჯგუფი შესანიშნავი მხატვრებისა, მოქანდაკებისა და არქიტექტორებისა (რომელთაგან ზოგიერთი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა აკადემიაში): გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, რუსეთიდან ჩამოსული ევგენი ლანსერე და ისებ შარლემანი, პენრიხ პრინცესკი, ელიშე თათევოსიანი, არქიტექტორები — ანატოლ კოლგინი და ნიკოლოზ სევეროვი. მომდევნო წლებში პროფესორ-პედაგოგთა წრეს შეუერთდნენ ნიკოლოზ კანდელაკი, დავით კაკაბაძე, მოსე თოიძე, ალექსანდრე ციმაკურიძე... თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული პირველი ნაკადში, ქართველებს გარდა, როგორც ცნობილია, იყვნენ რუსები, სომხები და სხვა ერის წარმომადგენლები... ინტერნაციონალიზმი დღესაც დამახასიათებელი ნიშანია საქართველოს ამ უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლისა, რომელმაც განვლილი

# ქართული მხატვრობის ალმაველობა

ლეილა თაბუკაშვილი

ათეული წლების მანძილზე მომძე რესპუბლიკების სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი აღზარდა.


ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსება შეპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ განახლებულ ქვეყანას ჰყაროვით სჭირდებოდა პროფესიონალი ხელოვანი. უკვე რევოლუციამდელ საქართველოში დაზგურ მხატვრობაში ელავდნენ სახელები, რომლებიც თვალნათლივ გამოხატავდნენ ხალხის შემოქმედებით ნიჭიერებას, მის უზარმაზარ პოტენციალს სახვით ხელოვნებაში! თუ გავისხენებთ გასული საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში შემოქმედებით სარბიელზე გამოსულ ხელოვანთ, ნათელი გახდება სურათი დიდი აღორძინების დასაწყისისა, რომელიც განმტკიცდა და მყარი

გზით წარიმართა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე. თუ ადრე მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული და პროფესიონალიზმს მონყურებული ახალგაზრდები გაჭირვებით ახერხებდნენ რუსეთში ან საზღვარგარეთ გამგზავრებას (და ასეთიც თითო-ოროლა იყო), ოსტატობის დასაუფლებლად, სამხატვრო აკადემიის დაარსებამ ყველა ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედს გაუხსნა კარი შემოქმედებითი დახელოვნებისათვის.

ქართული მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების სამოცწლიანი ისტორია — ეს არის ეროვნული კულტურის ამ დარგების უსწრაფესი აღმავლობის ისტორია, როცა ოსტატი-შემოქმედის ხელი დაეტყო ცხოვრების ყოველ უბანსა და ყოველ მხარეს, როცა ხალხს შესაძლებლობა მიეცა არა მხოლოდ თავის ყოველდღიურ ყოფაში ზიარებოდა მშვენიერებას, არამედ თვითონაც გაემუღანებინა მხატვრული ნიჭი, გასცნობოდა თავისი ერის სულიერი კულტურის იმ ფასდაუდებელ საგანძურს, მაღალ მეცნიერულ დონეზე დაფუძნებულ მუზეუმებში რომ დაიდეს ბინა.

დროს მოჰქონდა თავისი პრობლემები. ახალი ხელოვნების ყველა დარგი გზას მიიკვლევდა წინსვლისაკენ, ეძებდა სწორ მიმართულებებს.

გასაგებია, რომ შემოქმედებითი ძიებისას ოცინა წლებში სხვადასხვა მიმართულებათა ნაკადში ხვდებოდნენ ქართველ მხატვართა რიგი წარმომადგენლები. შემდგომში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც არსებობდა სხვადასხვა დაჯგუფებები, მაგრამ ქართველი საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითი პოზიცია ძირითადად მაინც ერთი იყო — ხალხისათვის გასაგები, იდეური, რეალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლა. მაგრამ თუ დღევანდელი თვალთახედვით გადავხედავთ დროის მონაკვეთს დაახლოებით 50-იან წლებამდე, დავინახავთ, რომ ცნება „რეალიზმი“ ერთგვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრული ფორმის ტრადიციულობას გულისხმობდა და მისი საზღვრებიც გარკვეულ ჩარჩოებში მოექცა, რაც წინ გადაეღობა შემოქმედებით ინდივიდუა-



ი. ნეკლუდოვი. ლეონი „ნიკის“ შექმნის პერიოდში

ლობათა გამოვლენას. 50-იანი წლების შემდგომ, როცა რეალიზმის ტყმარტიმბა ბუნებამ იძალა და გაბედულად იწყო ჩარჩოებიდან თავის დაღწევა, ქართულ მხატვრობაში, ისევე როგორც საერთოდ მთელს საბჭოთა სახვით ხელოვნებაში, ძირული ძვრები დაიწყო. შემოქმედთა ახალი თაობების მოსვლასთან ერთად გამრავლდა სტილთა და ხელწერათა გამორჩეულობით, ახლებური, ორიგინალური აზროვნებით აღბეჭდილი ნაწარმოებები, შეიქმნა მხატვრული სახის მხრივ, და ეროვნული სულის გამოვლენით შთამბეჭქდავი მრავალი ტილო თუ ქანდაკება. ეს იყო სხვადასხვა ეაობის წარმომადგენელთა მიერ წარსულის თვალსაზრისთა ერთობლივი გადა-





დ. კაკაბაძე.  
იმერეთი. დელაქიმი

სინჯვა, ერთობლივი სწრაფვა დროის სულისკვეთებისა და მახვისცემის მეტყველ მხატვრულ სახეებში ხორცშესახსნელად.

ათეული წლების მანძილზე საქართველოს მხატვართა კავშირი არა მხოლოდ რიცხობრივად გაიზარდა, არამედ, რაც მთავარია, კოლექტივში გამრავლდნენ ნიჭიერებით, ხშირად მრავალმხრივობითა და ფართო შემოქმედებითი დიაპაზონით გამორჩეული ხელოვანნი. ამიტომაც, დროის სვლასთან ერთად, ქართულმა მხატვრობამ ფართო აღიარება მოიპოვა არა მხოლოდ კავშირის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც, და ამ აღიარების საზღვრები სულ უფრო ფართოვდება, ღრმავდება დაინტერესება ჩვენი ეროვნული ხელოვნების ახალ-ახალი მონაპოვრებით.

რესპუბლიკის მხატვართა საერთო წარმატებაში თავისი საგულისხმო წვლილი შეაქვთ აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქუთაისის მხატვართა კოლექტივებს. ეს კოლექტივები ყოველწლიურად იზრდება უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მხატვრებით, რომელთა მიერ მრავალი თვალსაჩინო შემოქმედებითი გამარჯვება მოპოვებული. მათი ოსტატობა დღეს მკაფიოდ ატყვია ჩვენს ქალაქებსა და სოფ-

ლებს, საერთოდ რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებას, მათი ნამუშევრები მუდამ ყურადღებას იმსახურებენ რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. ბოლო წლებში მოსკოვში გამართული საგანგებო ექსპოზიციები ნათელყოფდა მათს დიდ შემოქმედებითს წარმატებებსა და შესაძლებლობებს.

რესპუბლიკაში თითქმის ყოველ ოთხ დღეში ერთი გამოფენა იხსნება — ბევრის-მთქმელი ფაქტია იგი მეტყველებს არა მხოლოდ პროფესიონალთა რიცხობრივ ზრდასა და შემოქმედებითს აქტიურობაზე, ნაყოფიერებაზე, არამედ ხალხთან ხელოვნების სულ უფრო ახლოს მისვლაზე, თვით ხალხის — თვითმოქმედ ხელოვანთა ზემოქმედებითი ნიჭის წარმოსაჩენად ასპარეზის ფართო გაშლაზე. და განა საგამოფენო დარბაზებისა და გალერეების გამრავლებაც ამით არაა გაპირობებული? ბოლო წლებში რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გახსნილი საგამოფენო დარბაზები, სურათების გალერეები ხელოვნებისა და ხალხის დაახლოების მნიშვნელოვან კერებად იქცა. ქუთაისის, ცხაკაის, ამბროლაურის, თელავის, თერჯოლის კალერეა-მუზეუმები სულ უფრო და უფრო მეტ დამთავალიერებლებს იზიდავს. ახალი გალერეები შენდება მახარაძე-

სა და ზესტაფონში. ბოლო ხანს სახვითი ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატებმა თვალსაჩინო შემოქმედებითი კერა შეიძინეს ქალაქ ბორის ძნელაქში ვახსნილი სახვითი ხელოვნების ცენტრის სახით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირისა და სურათების გალერეის დიდად ნაყოფიერ საგამოფენო მუშაობაზე მეტყველებს თბილისის „მხატვრის სახლი“ და სხვა საექსპოზიციო დარბაზებში მოწყობილი გამოფენები, რომლებიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ როგორც ამაზე მართებულად აღნიშნავთ ხოლმე, ამ გამოფენებს ზოგჯერ არ აქვთ საჭირო რეკლამა, არ ახლავს კატალოგები, ისინი სათანადოდ არ შუქდება პრესაში, საჯაროდ არ იხილება.

ქართული საბჭოთა მხატვრობა მუდამ შთაგონებული იყო და საზრდოობდა თანამედროვეობით. სწორედ აქტუალურ, ცხოვრებისეულ თემებზე შექმნილია მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები სახვითი ხელოვნების ყველა დარგსა და სფეროში. ჩვენმა დიადმა თანამედროვეობამ, წარსულის ისტორიულ მოვლენებთან ერთად, აზრისა და ფორმის მხრივ მკაფიო ხორცშესხმა ჰპოვა როგორც დაზგურ, ისე მოწონებულ ფერწერასა და ქანდაკებაში, გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებაში. მათ შორის მრავალმა ქმნილებამ ხალხის ერთსულოვანი აღიარება და სიყვარული ჰპოვა და ეს აღიარება მრავალგზის გამოიხატა მალაღობრივ სახელმწიფო და რესპუბლიკური პრემიებით, რომლებიც ამ ნაწარმოებებს მიენიჭა.

მომქმ რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების აღმავლობასა და განვითარე-

ბასთან ერთად სულ უფრო იზრდება ხალხთა ურთიერთ შემოქმედებითი მიღწევების გაცნობის სურვილი, ხშირდება და ფართოვდება საგამოფენისა გაცვლის პრაქტიკაც. ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა შემოქმედების დათვალიერება თვალსაჩინო როლს თამაშობს შემოქმედი ჭეშუაყების და მოძმე ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში. ამის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღევანდელი საქართველოში, რომელიც ერთი წლის წინათ გაიმართა და სათავე დაუდო ამ შესანიშნავი ღონისძიების ჩატარებას სხვა მოძმე რესპუბლიკებშიც.

ქართული კულტურისადმი, კერძოდ ქართული მხატვრობისადმი, უდიდესი ინტერესი ცხადყო შარშან წლის ბოლოს ლენინგრადში გამართულმა დიადმა რეტროსპექტივულმა გამოფენამ, რომელზეც ამ დარგში ეროვნული მოწაპოვრის, რა თქმა უნდა, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო წარმოდგენილი, მაგრამ იგი მაინც თვალსაჩინოდ ასახავდა ქართული ხელოვნების თვითმყოფადობას, ხელოვნათა დიდ შემოქმედებითს პოტენციალს, და ინდივიდუალობათა მრავალფეროვნებას. შთაბეჭდილებები, გამოფენის ირგვლივ რომ გამოითქვა თვით საექსპოზიციო დარბაზებში (ქვემოთ ვებჭდავთ ამ გამოხმაურებებს), მოკლედ, მაგრამ ძირითადად მაინც ხატავს საერთო შეფასების სურათს.

საქართველოს სს რესპუბლიკის 60 წლისთავს ფუნჯისა და საჭრეთლის ქართველმა ოსტატებმა მრავალი ახალი, შთაგონებული ნაწარმოები უძღვნეს, რომელიც კვლავაც მონაშობს მათ წვლილს ეროვნული სახვითი კულტურის შემდგომ ამაღლებაში.

• ციხაქოტიძე.

აენიანი სახლები.





ქართულ მხატვართა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები იყო წარმოდგენილი დიდ რეტროსპექტულ გამოფენაზე, რომელიც გასული წლის ბოლოს ლენინგრადის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიმართა, ორასამდე ავტორისათვის ორასზე მეტი ნამუშევარი სხვადასხვა თაობის მხატვართა შემოქმედებას წარმოედგინა დამთავლირებულს.

გამოფენის გასნაზე ლენინგრადის საქალაქო საბჭოს კულტურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ოლგა სელოზნოვამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ქართულ მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიცია ლენინგრადის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში — ეს არის გაგრძელება იმ ვრცელი სერიისა, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის სამოცი წლისთვის ეძღვნება. მან დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირს, საქართველოს სურათების გაღერებას ცენტრალურ საგამოფენო დარბაზის მუშაებს იმ დიდი მუშაობისთვის, რაც მათ გასწევს ამ ექსპოზიციის მოსამზადებლად. უპველა, — თქვა მან, გამოფენის დიდი წარმატება ექნება ლენინგრადელთა და ჩვენი ქალკის მრავალრიცხოვან სტუმართა შორის.

ცნობილი მხატვრებმა და ხელოვნებისმცოდნეებმა გამოფენის ირგვლივ თავიანთი შობავტორილება გაუზიარეს საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი რედაქციის წარმომადგენელს **ბ. ი. ხახალიანს.**

ქურნალის მკითხველებს ვაცნობთ ამ შობავტორილებს.

# ქართული საბჭოთა სახეობითი ხელოვნების გამოფენა ლენინგრადში

**ბ. კუხნიცკი. ხელოვნებისმცოდნე:** მე შემძილია მხოლოდ პირველი შობავტორილება გაგიზიაროთ, რამდენადაც გამოფენა მხოლოდ ახლა გაიხსნა. პირადად ჩემთვის ქართველ მხატვართა ყოველი გამოფენა მიხარულის მომნიჭებელია, მით უმეტეს ასეთი ვრცელი, მრავალმხრივი გამოფენა, რომელიც ხანგრძლივად გასტანს. დიდად მოხარული ვარ, რომ, ბოლოსდაბოლოს, იგი ჩვენს ქალაქშიც გაიმართა. ჭრჭრეობით მივირს მასზე საუბარი, რამდენადაც მხოლოდ თვალის მოვლენა მოვასწარი, მაგრამ უკვე შევნიშნე საინტერესო სახელები, კერძოდ, გრაფიკულ განყოფილებაში. მეგონა, რომ ვიცნობდი ქართულ გრაფიკას, აქ კი უჩვეულოდ საინტერესო, ორიგინალური და ძაფივი შემოქმედებითი სახის მხატვრებს შევხვდი.

ყველაზე უფრო კი მაინც თეატრალურა მხატვრობა მიზიდავს. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს დარგი ამაჟამად ყველაზე ძლიერია ქართულ მხატვრობაში, ყველაზე წინადა, ყველაზე ავტორიტეტული საბჭოთა ხელოვნებაშიც და სახლავარეთაც. გამოფენის ექსპოზიციისათვისაც იგი ძალზე კარგად, სიყვარულით, ფაქიზადაა შერჩეული. ვგულისხმობ ნიჭიერ, საინტერესო

მხატვრებს, მათ შორისაა ახალგაზრდა მხატვარი თეიმურაზ ნინუა.

საერთოდ, თითოეული განყოფილების ექსპოზიციები უჩვეულოდ გულდასმითაა შერჩეული. აქ არის ადრინდელი ქმნილებებიც, რომლებმაც იმთავითვე სახელი მოუხვეჭეს ავტორებს, ამასთან, სრულიად ახალიც. თეატრალური მხატვრობის ექსპოზიციამო, გოგი ალექსი მესხიშვილის ნამუშევრებს შორის, მაგალითად, არის უკვე ფართოდ აღიარებული ქმნილებები, როგორცაა „კავკასიური ცარკის წრისა“ და საბალეტო სპექტაკლების მხატვრობა. აქვეა სრულიად ახალი ნამუშევრები, აქამდე რომ არ მინახავს. ისინი უჩვეულოდ შობამუქდავია, კუმპარიტად მალდი ოსტაობის ნიმუშები, ძალზე მომზიბველი, ისევე როგორც ამ მხატვრის მთელი შემოქმედება. უთუოდ დიდად უსამართლონი ვიქნებით, თუ სხვა მხატვრებსაც არ მოვიხსენიებთ, იმათ, ვის ოსტატობასაც ასე უმაღლის დღეს საბჭოთა თეატრალური ხელოვნება. მაგრამ ამაჟამად ამაზე ლაპარაკი ძალზე შორს წავიყვანდა და აქ ამის საშუალება არც არის.

**ლ. ზლბატკინი, ხელოვნებისმცოდნე:** ჩვენს თვალწინაა ქართული მხატვრობა, ელ-

ვარე, ტემპერამენტული ფერწერა, სხვადასხვა შემოქმედებითი ხელწერის ისტატები, და ამ მრავალფეროვნებაში ქართული ხალხის ცხოვრება ასახული. ეს ჩვენი დღევანდლობაცაა და ქვეყნის შორეული ისტორიული წარსულიც, თანამედროვეთა სახეობაცაა ქართული მიწის, მისი ბუნების მშვენიერებაც, ომისდროინდელი პიკტურული დღეობაცა და ძველი თბილისის უბნების სურათებაც. მონუმენტური ქანობებში აღბეჭდილი ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა განსაკუთრებული გულსისყურითაა გახსნილი და გადმოცემული.

არ შემოძლია არ გამოვეყო გურამ გლოვანის დიდი ფერწერული ტილო „ლენინი რაზლოვიში“, რომელიც ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, ზაურ დავითაის ტილო „მცირე მიწა“, ამ მიწის ლეგენდარულ დამცველთა სახეები რომ არის წარმოსახული ლინიდი ილიას ძე ბრეჯინეის მეთაურობით.

ლადო გუდიაშვილის უღარესად ფართო და მრავალმხრივი შემოქმედება, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ნაწარმოებითაა წარმოდგენილი: „თბილისის დაარსების ლეგენდა“ და „მოსავლის ზეიმი“. გამოჩეული თანესებურებებით ყურადღებას იზიდავს დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟები.

ადამიანის შინაგან სამყაროში ღრმა წვდომით, ფერის ფაქტი გრანძობით ხასიათდება ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტული ქანობები, რომლებშიც, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მიგნებულია ამა თუ იმ მოდელის ხასიათის შესატყვისი სახეითი გადაწყვეტა.

1945 წელსაა შექმნილი უჩა ჯავახიძის ერთ-ერთი მეტყველი ნაწარმოები „დღის ფიქრები“, ძალზე ემოციურია მისივე ახალი ნამუშევარი „მარტოობა“.

კორნელი სანაძე ორი ნამუშევრითაა წარმოდგენილი: „გულიკომ ჩადრა მოიხსნა“ და „ტვირთი“. საინტერესოა აგრეთვე გოგი თოთობაძის ფერწერულად ძალზე გამოხატულებული ტილოები.

საქართველოს პეიზაჟების განუმეორებელი მშვენიერება, მრავალფეროვნება მდიდრულად აისახა მთელი რიგი მხატვრების შემოქმედებაში, ხოლო თანამედროვე ადამიანთა სახეებისადმი ინტერესი კარგად ჩანს გამოფენაზე ასევე მრავალრიცხოვნად წარმოდგენილ პორტრეტულ სურათებში, კერძოდ, მინდა გამოვეყო ნელი ჩიქოვანის — „მარკა ლორთქიფანიძე“, ნატალია ფალავანდიშვილის — სერგო კლიაშვილის, რობერტ სტურუას, პორტრეტები, ნელი კანდე-

ლაკისა და გიორგი კეშელავას ნამუშევრები. ქართველ მხატვართა ქანობებში ამ მიმდებარე ვიზუალური და ტაქტოვის, ერთიანად ამ მაღალბრძოლვით ხელოვნებაში ჩაქსოვილია ავტორთა შთაგონების მძლავრი ძალა. ისღა დადგარჩნია მივესალმოთ ამ შენაწინავე გამოფენას და ვისურვოთ: „მრავალეამიერ, საქართველო!“

**ო. სანძიშვიანი, დამთავლიერებელი:** გამოფენა გულდასმით დავთვალერე, ყველა დარგმა მიიზიდა ჩემი ყურადღება და ღრმა შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ამ შთაბეჭდილებათა შორის მაინც ყველაზე დიდი — ქართული კერამიკული ხელოვნება, მკაფიოდ თვითმყოფადი, ეროვნული ხელოვნება, რომელიც შეიმუშავებულია აგრძელებს უმველეს შესანიშნავ ტრადიციებს ამ დარგში.

**ს. კაპუხიანი, დამთავლიერებელი:** ყოფაშიც და გამოფენებზეც დღეს ქედრობის სიუხვე იგრძნობა, თანაც არცთუ მაღალი ხარისხის ქედრობობა. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, საქირია კი მისი ასე გავრცელება? ხელოვნება იგი? მაგრამ როცა ამ გამოფენის ექსპონატებს ათვალერებ, რწმუნდები, რომ ეს არის ძველი და, ამასთან, უმშაბრტად თონამედროვე, მაღალი ხელოვნება. არ შეიძლება აღტაცება არ გამოიწვიოს სამკაულებში, რომლებიც გამოფენაზეა წარმოდგენილი. ყოველგვარ ხიბტაცე მაღდება ურეტულოვ თვითმყოფადი ქართული თეატრალური მხატვრობა. დაზგური ფერწერის განყოფილებაში სასიამოვნოდ შთაბეჭტავია ძველი და თონამედროვე ფერწერის ტრადიციების ორგანული შერწყმა. ამან ჩვენი ყურადღება მიუქცია, რამდენადაც რიგმა ახალმა სურათებშია ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ფიროსმანაშვილი გაგახსენა. ერთი სიტყვით, გამოფენა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს.

**მ. კოხლოვი, მხატვარი-ფერმწერალი:** ქართველ მხატვართა ხელოვნება ფართოდაცნობილი, მას იცნობენ ლენინგრადელი მხატვრებიც, ვფიქრობ, ამ დარბაზებში იგი საკმაოდ ფართოდ და საინტერესოდაა წარმოდგენილი. გამოჩენილ მხატვრებთან ერთად, როგორც არიან გუდიაშვილი, ქუთათელაძე და მრავალი სხვა, აქ თვალსაჩინოა საშთალო თაობის შემოქმედებაც, ზოგიერთ მთავანს ჩვენ განსაკუთრებით დაუშემგობრდით გასულ გაზაფხულზე, საქართველოში ჩატარებულ მხატვრობის საკავშირო ფორუმის დროს. მშვენიერი ტილოებით არიან წარმოდგენილნი მამია ახობაძე, რადიშ თორღია და ბევრი სხვა, და, რაც მთავარია, ვფიქრობ,





უ. ჭაფარიძე.

ღელის ფიქრები.

ს. კაკაბაძე.

გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი.



ქართველ ფერმწერალთა ნაწარმოებებს/ დიდი ღირსებაა მათი თვითმყოფადობა. რწერის გარეშეც კი ნათელია, რომ ეს სურათები საქართველოშია შექმნილი. დარწმუნებული ვარ, ლენინგრაძელი დამთვალიერებელი ღირსეულად შეაფასებს ამ ვრცელ გამოფენას. თუმცა აქ მრავალი საუკეთესო კმნილება ვერ მოხვდა, გასაგები მიზეზების გამო: ისინი ამჟამად სხვა ქვეყნებშია ექსპონირებული, მაგრამ რაც არის, დიდებულია და გარკვეულ წარმოდგენას კმნს თქვენს ეროვნულ მხატვრობაზე. პირადად მე თავიანთ ვცემ შესანიშნავ ქართულ ქანდაკებას, ვაკვირდები, ვსწავლობ, მსურს ბოლომდე ჩავეწვე. მოხიბლული ვარ ავტორთა მონუმენტური ხედვის სიღრმით.

**ლ. სირაქინი, ფაზიოხი:** მე მუღამ სია-მონებში დავდივარ სამხატვრო გამოფენებზე. ქართველ მხატვართა შემოქმედებას გავეცანი თბილისის მუზეუმებში. ჩემთვის იგი მახლობელი და საყვარელია. ამ ექსპონიცი-აზეც ძალიან ბევრი რამაა საინტერესო. მათ შორის ზოგიერთს ადრე რეპროდუქციები-დან ვიცნობდი. მაგალითად, რადიშ თორღი-ას სურათს „მოხუცი ბაბუაწვერათი“, მაგ-რამ რეპროდუქცია ერთია და ორიგინალი გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ ვნახე ზურაბ ნიყარაძის ბევრი ახალი, ჩე-მთვის უცნობი და ძალზე საინტერესო ტი-ლო.

ძლიერადაა წარმოდგენილი გრაფიკა და თეატრალური ფერწერა, დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები. დაუფიქრარ შთაბეჭ-დილებას სტოვებს რიგი ნამუშევრებისა გრაფიკის განყოფილებაში, ის, რაც სახასი-ათოა ამ ნიმუშებისათვის, გახლავთ სტილისა და ზომიერების უჩვეულო გრმნობა, ამას-თან, ეროვნული ტრადიციების შეხამება თა-ნამედროვე სახვით ენასთან.

**ბ. ტოპსტონოვოვი. რეჟისორი, სსრ კავ-შირის სახალხო არტისტი:** ვფიქრობ, ქარ-თველ თეატრალურ მხატვართა შემოქმე-დების გაცნობა ლენინგრაძელებისათვის უთუოდ დიდად შთაბეჭდავი იქნება. თეა-ტრში მოღვაწე ფერმწერლები ხომ გასაოც-რად თავისუფლად, ფართო გაქანებით მუ-შაობენ, აზროვნებენ ლაღად, პოეტურად, ძალზე თვითმყოფადად. ჩემი აზრით, მიუხე-დავად ინდივიდუალობათა დიდი მრავალფე-როვნებისა, რითაც ყველა თაობის მხატვრე-ბი გამოირჩევიან, მათ აერთიანებთ რაღაც საერთო ეროვნული სტილი და ეს ნიშანდო-ლოვი მხარე საოცრად ამდიდრებს, აფართო-ებს ჩვენს საბჭოთა თეატრალურ მხატვრო-ბას, წინ უბიძგებს განვითარებისაკენ საერ-თოდ სცენოგრაფიის და ეს მეტად მნიშვნე-ლოვანი, სასიამოვნო გარემოებაა.

## ბ. შპაროში, სსრ კავშირის სამხატვრო

აკადემიის ნამდვილი წევრი: ჩვენ, ლენინგრადელები ამ გამოვენას დიდი ინტერესით მიველოდით და იგი შესანიშნავ საჩუქრად მიგვანია ქართველი მეგობრებისაგან. ექსპოზიციის ჰეშმარიტ ტრუმფს მოწმობს ხალხით ვაჭედლილი დარბაზები, ვანა ასე ხშირად გვაქვს შესაძლებლობა ვიხილოთ, თანაც ასე ფართოდ, ჩვენი საყვარელი ხალხისა და საყვარელი რესპუბლიკის ხელოვნება. ჩემთვის ქართული მხატვრობასთან შეხვედრა, შეიძლება ითქვას, შედარებით სრულყოფილად ლენინგრადში მოხდა, თუმც კი მას მუდამ ვეცნობოდი საკავშირო გამოვენებზე, სადაც ჩემს ქართველ კოლეგებთან ერთად ვმონაწილეობდი.

დღეს კი აქ ჩვენს წინაშე გადაიშალა დიდი, ობტიმისტური ხელოვნება, რომელიც გამაჰკვალულია ერთსა და იმავე დროს ლირიზმითა და რომანტიკით, რაც, ჩემი აზრით, ეროვნულად ნიშანობლოვ მხარეა ქართული მხატვრობისა და თვით ქართველებისაც.

მე დიდი სიამოვნება მომანიჭა ჩემი თაობის მხატვართა ნაწარმოებებთან შეხვედრამ, ვისთან ერთადაც ხშირად ემონაწილეობდი გამოვენებზე, კერძოდ, მასიამოვნა უჩა ჯაფარიძის ქმნილებების ხილვამ, მას დიდიხანია ვიცნობ, ხშირად ვხვდებით ერთმანეთს არა მხოლოდ აკადემიაში, არამედ სახელმწიფო სავაშოცდო კომისიის სხდომაზეც, იგი ხომ ამ კომისიის უცვლელი წევრია. ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა არა მხოლოდ მისი ადრინდელი ნამუშევრებისთვის კვლავ თვალის გადავლება, არამედ ახალი ნამუშევრის „მარტოობის“ ნახვაც, რომელიც უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი შინაგანი სიმბოლიკით, სულის ძახილით, სურათში ასახული გარემო-ბუნების განწყობილების გადმოცემით.

ალტაცებს იწვევს გულაშვილის ტილოები. სანაძის სურათებში ასევე ნათლად ჩანს ხალხის თემა, მისი ხასიათის ნიშნების, სულისკვეთების შეგრძნება, რაც ეროვნული ფორმის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

საერთოდ, ეროვნული შინაარსი განუყოფელია ეროვნული ფორმისაგან, ერთი მეორეს განაპირობებს. სწორედ ეს გამოარჩეული ეროვნული სურნელება ახლავს აქ წარმოდგენილი ყველა დარგის ცალკეულ ნიმუშებს და განსაზღვრავს მათდამა დიდ ინტერესს. ჩემი აზრით, მკაფიო ეროვნულობით განსაკუთრებით უფროსი და საშუალო თაობის მხატვართა შემოქმედებაა აღბეჭდილი. ახალგაზრდობა, ცხადია, ეძებს, მაგრამ ეძებს ტრადიციების მიმათულებით, იგი დგას ქართული ხელოვნების იმ დიდებული ტრადიციების გზებზე, რომელიც დღეს აქ ასე თვალნათლივია მხატვრულ ქმნილებებში და ალტაცებს გვევრის



ე. ახვლედიანი.

სახლი კლდეზე.

ს. კოხლუაძე.

„შევე ლირის“ ილუსტრაცია






**ნ. სერდიუკი, ხელოვნებისმცოდნე, ლენინგრადის ცენტრალური საგამოფენო დარბაზის დირექტორი:** ქართველ მხატვართა ნაწარმოებები ფართო სახეობრივი და თემატიკური დიპაზონით ხასიათდება, ამავე დროს, ნათელყოფს თაობათა შემოქმედებითს მემკვიდრეობითობას, ქართული ხალხური ხელოვნების პრინციპებისა და ტრადიციების გავრეკლესას რომ გულისხმობს.

ეს გამოფენა რიგით მეორეა მომავლისათვის განზრახული იმ გამოფენებიდან, საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნების დათვალეერებას რომ ეკლენება. გასულ წელს აქ გაიმართა საბჭოთა ესტონეთის მხატვართა გამოფენა. ქართველ მხატვართა ნაწარმოებების ამ ექსპოზიციას უამრავი დამთვალეერებელი ჰყავს უკვე პირველ დღეებში. საერთოდ კი დამთვალეერებელთა რიცხვი დროთა მანძილზე თანდათან იზრდება ხოლმე. უხვდადა შთაბეჭდილებათა ჩანაწერები. საერთოდ გამოფენა უთუოდ ძალზე საინტერესო, მდიდრული, მი-

მზიდველია, მის ორგანიზატორებს ყველაფერი გაუკეთებიათ, რათა ლენინგრადელებს შესაძლებლობა მისცემოდათ სათანადოდ გაეცნოთ ქართული ხელოვნება.

**ს. გერშოვი, მხატვარი:** პირადად მე ქართველ მხატვართა ასე ვრცელი, ყოვლისმომცველი გამოფენა არ მინახავს. ამ ექსპოზიციას, რომელმაც ლენინგრადის უშველებელი საგამოფენო დარბაზები გაავსო, ჩვენ დიდი ხანია ველოდით. მისი მასშტაბები ისე ფართოა, რომ ძნელი კარგად გაერკვე ყოველივეში, ჩაწვედ ნაწარმოების ნაირგვარ სტილურ განსაკუთრებულობას. ეს ხელოვნებათმცოდნეების საქმეა.

ჩემზე გამოაგნებელ შთაბეჭდილებას სტოვეებს გობელენის ხელოვნება. ცალკეული ნიმუშები ნამდვილ შედევრებად მიმჩნია, ამ ნაწარმოებებს შეუძლიათ დაამშენონ რომელიც გნებავთ დიდი მუზეუმი, და არა მხოლოდ



დ. ნოლია. სეროდან „დღედა შრომას“

ვახტანგ გორგასალის ძეგლი. მიქანდაკე ე. ამასუცილი

ჩვენს ქვეყანაში. მსგავსი არსად არაფერი მინახვს.

ულიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე ქედური ხელოვნების ოსტატთა შემოქმედება. არა მგონია კიდევ სადმე სხვაგან შეხილეთ ესოდენ მხატვრულ უშუალობას, ფორმის გაბედულ გადაწყვეტას და ქემპარიტ მონუმენტურობას ელემენტების გამოყენებისას, როგორსაც ქართული მხატვრობის ამ სფეროში ვხვდებით. მხედველობაში მაცქვს ირაკლი ოჩიაურის, კობა გურულის და სხვათა ნამუშევრები.

მრავალი შთაბეჭედავი ქმნილებაა გრაფიკის განყოფილებაშიც. მინდა გამოვყო შენგელია-აბაშიძის ნამუშევართა ციკლი. როცა ან ნაწარმოებებს უშვებთ, გაცივებთ მაღალი სახვითი ოსტატობა, კოლორიტისა და კომპოზიციის ღრმა შეგრძნება, რიტმულობა და უფაქიზესი მუსიკალობა. მარტო ამ ნამუშევრებშია ციკლი დიდი მსმტაბის ხელოვნად გვევლინება.

ქემს ზოგად შთაბეჭდილებას თუ ვაძმოვეცემ, უნდა ვთქვა, რომ ფერმწერთა შემოქმე-

დებას სასიამოვნოდ გამოარჩევს საკუდილო/თვითმყოფელი მხატვრული ენა. შემოსტავი ძალიან ბევრი ავტორი დაეასახელო, თუკი ძლიერი ნაწარმოებია ქანდაკებაშიც, სკულპტურულ პორტრეტებშიც ჩანს, რომ ავტორები გატაცებული არიან არა გარეგნული ფორმით, არამედ გამოსახული პიროვნების შინაარსის, მისი ფსიქოლოგიისა და ინტელექტის ვადმოცემით. გული მწყუდება, რომ ისეთი გამოჩენილი მოქანდაკის შემოქმედება, როგორც მერაბ ბერძენიშვილია, მხოლოდ ერთი ნამუშევრითაა წარმოდგენილი. როცა ვასულ ვაზაფხულზე მე მის სახელოსნოს ვესტუმრე თბილისში, ვამაოცა მოქანდაკის შემოქმედების არა მხოლოდ დიდებულებამ, არამედ ნამუშევართა რიცხოზობამა სიმრავლემაც. მე თაყვანს ვცემ მის შესანიშნავ ტრანსტს. მშურს, რომ ქართველებს ასეთი მხატვრები ვაყავთ.

ეჭვი არ არის, ქართველ მხატვართა ეს გამოფენა ლენინგრადის საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს გამოიწვევს.

ლ. გულიაშვილი

ფრესკის ღმელი

მ. ბერძენიშვილი

დავით გურამიშვილის ძეგლი.







# ქებლთა ახალი სიბოცხლე

## ირაკლი ციციშვილი

შარშან დეკემბერში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI რესპუბლიკური ყრილობის მუშაობა დაემთხვა მნიშვნელოვან პერიოდს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისათვის მზადებას.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებით“ დასახული ამოცანების შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური მშენებელი ახალი ადამიანის სულიერ ფორმირებას. ამ საქმეში კი თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამაც, ჩვენი ძეგლები, ჩვენი დიდებული მემკვიდრეობა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, მისი კულტურული ღონის მისი შევსების ამაღლებას.

ცნობილია, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლები ასახავენ ადამიანთა ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალსაუკუნოვან ისტორიას. დღეს, სოციალური განვითარების


განსაკუთრებულ ვითარებაში, ჰუმანიზმის მაღალი დედა ეპოქაში, ხალხი ცდილობს შეიცნოს ამ განვითარების კანონები, წარსულ საუკუნეთა ცოდნა-გამოცდილება, მიღწევები. მემკვიდრეობის შეცნობისას ადამიანი აფართოებს თავის ცოდნას, და რაც მთავარია, იქმნება მემკვიდრეობითობის აუცილებელი გრძობა, წარმოდგენა წინამორბედებზე, რომელთაც დატოვეს მას მატერიალური და სულიერი დასუფლობანი, რათა ისინი შემოინახოს, გაამდიდროს და გადასცეს თავის მემკვიდრეთ, ახალ თაობებს.

კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოყიდებულების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპების შესაბამისად, საბჭოთა სახელმწიფო ქმნის ყველა პირობას ძეგლების დასაცავად და მათს გამოსაყენებლად ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო კულტურული, პატრიოტული, იდეურ-ზნეობრივი, ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის მიზნებისათვის. ამჟამად, როდესაც სსრკ უმაღლესმა საბჭომ და რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღეს კანონი—ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, როდესაც ძეგლთა დაცვას აკანონებს ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, იგი იქცა სახელმწიფოებრივი ორგანოების დიდმნიშვნელოვან საქმედ, თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობად.

კულტურის ძეგლების დაცვას ჩვენს რესპუბლიკაში შეუდამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამას ნათელყოფს თუნდაც ის ფაქტები, რომ პირველად საქართველოში 1959 წელს შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება და სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელისწილი. 1977 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება — „რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა შესწავლისა, მოვლა-პატრონობის და გამოყენებისათვის. შეიქმნა ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, რომელმაც მიუხედავად თავისი არსებობის მცირე პერიოდისა, უკვე ბევრი რამ გააეთქვა ძეგლების გამოვლინების, შესწავლისა და დაცვის საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სარესტავრაციო სამუშაოთა მოცულობა, იქმნება მძლავრი სამშენებლო ბაზები, დაიწყო რესტავრატორთა კადრების გეგმიანი მომზადება და სხვა მრავალი.

აღნიშულმა დადგენილებამ გაზარდა აგრეთვე საქართველის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაძლებლობანი და მოვალეობაც. ამაღლდა პასუხისმგებლობა, განმტკიცდა საზოგადოების ფინანსური ბაზა, გაფართოვდა მასობრივი პროპაგანდისტული მუშაობა.

ამჟამად საქართველოში არ არის ოქტი, ქალაქი, რაიონი, მსხვილი დასახლებული ობიექტი, სადაც არ იყოს ძეგლების დაცვის შესაბამისი ორგანიზაცია. დიდი ყურადღება ექცევა როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ წევრებს რაოდენობის ზრდას. თუ 1977 წელს ინ-



გრემი.

დივიდუალურ წვერთა რიცხვი 600 000 იყო, 1980 წლისათვის 800.000 მიაღწია, რაც საკუთრივ კულტურის პრობლემათა საინფორმაციო ცენტრის უკანასკნელი მოწაყემების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მაღალია საბჭოთა კავშირში, წვერების ზრდა კი გაცილებით სწრაზობს ყველა რესპუბლიკის მონაცემებს. მართალია, საზოგადოების ყველა წევრი როდია მისი მუშაობის აქტიური მონაწილე, მაგრამ ამ პირობებშიც წვერთა რაოდენობას ზრდის დინამიკა მინც მოწმობს საზოგადოების ავტორიტეტის ზრდას.

ცხადია, წვერთა რაოდენობის ზრდა არ შეიძლება თვითმიზნად იქცეს. აუცილებელია მათი ჩაბმა საზოგადოების საქმიანობაში. ამასთანავე, ეს დატვირთვა უნდა იყოს სახალისო, იგი, ერთის მხრივ, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების წვერთა იდეურ-ესთეტიკურ და პატრიოტულ აღზრდას და, ამასთანავე, მათი ხელი უნდა დაეცუოს ძეგლებსაც. ეს იოლი როდია, რამდენადაც საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და პროფესიის ადამიანებს. საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მართებს მათი სურვილების, ინტერესებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინება. თავის მხრივ, საბჭო ცდილობს გამოძებნოს მუშაობის სხვადასხვა ფორმებიც და მეოთხეები, რაშიც მას დიდად უწყობს ხელს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ისრა განათლების სამინისტრო, საქართველოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის ფართო შემოქმედებითი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. მხედველობაში გვაქვს „ჩუქურთმის“ სახელწოდებით განხორციელებული ძეგლთა დაცვის დათვალერება-კონსერვები. იგი გულისხმობს ადგილებზე ძეგლების შესწავლას, მათზე შეფობის დაწესებას, თქმუ-

ლებებისა და ლეგენდების შეკრებას, ძეგლების ფოტოფიქსირებასა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად იზრდება კონსერვების მონაწილეთა რიცხვი. ღონისძიებაში ჩაბმული არიან სტუმრები მოსკოვიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

კონსერვის რესპუბლიკური დათვალერების დროს, ძეგლის ნორმ მეგობრებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ კერებს. მათ მუშაობას, შეხვდნენ მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს. უნდა აღინიშნოს კონსერვის მომწყობი კომისიის გულისხმიერი და საქმიანი კონტაქტები ახალგაზრდობასთან. კონსერვის განმავლობაში ნორჩი მეცლევანი საჭირო დარიგებებს იღებენ ცნობილი მეცნიერებისაგან (აქადემიკოსები ვ. ჩიტაია, ვ. ბერიძე, პროფესორები პ. ზაქარია, მ. ლორთქიფანიძე, ო. ლორთქიფანიძე და სხვ.).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის საინტერესო და მეტად სასარგებლო საქმე, რომელსაც საზოგადოების პრეზიდენთან მჭიდრო კონტაქტში ახორციელებს გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ რედაქცია. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად თავსდება ფოტოები, ჩანახატები, კითხვა-პასუხები, სტატეები, რომელთაც ნორჩი მკითხველები დიდი ენთუზიაზმით იცხამებენ. ეს ღონისძიებაც დიდად უწყობს ხელს ძეგლების დაცვის საქმეს, ახალგაზრდა თაობის განვითარებასა და აღზრდას. ამასვე ემსახურება ისეთი შესანიშნავი ღონისძიება, როგორცაა ბავშვთა სურათების გალერეის მიერ მოწყობილი გამოფენა თემაზე — „ბუნება და ძეგლი“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ამასთანავე, ამ თაოსნობას ახლავს ნაკლოვანებანიც. საჭუხაროა, რომ ასეთ შესანიშნავ ღონისძიებებში მთელმა





მარტილის მონასტერი.

როგმა რაიონებმა მხარი ეერ აუბეს მხარაძის, ღუშეთის, სავარჯოს, ახმეტის, თელავის, საჩხერის, წყალტუბოს, წალენჯიხისა და გორის მოსწავლეებს, პედაგოგიურ კოლექტივებსა და ძეგლების მოყვარულებს.

საქართველოს კულტურის ძეგლა დაცვის საზოგადოება რესპუბლიკის მოსახლეობის, სტუდენტთა ახალგაზრდობის, მუშების, კოლმურნეების, ინტელიგენციის თავის საქმიანობაში ჩაბმისათვის ფართოდ იყენებს ექსკურსიებს, ლაშქრობებს, კონფერენციებსა და სხვ. სწორედ ამით აიხსნება საზოგადოების ინდივიდუალურ წევრთა რიცხვის ზრდა. თუმცა რეზერვები, ვფიქრობთ, ამოწურული ჭერ კიდევ არ არის და ახლო მომავალში საზოგადოების წევრთა რიცხვი მილიონამდე უნდა გაიზარდოს.

საქართველოს კულტურის ძეგლა დაცვის საზოგადოების ზრდის საქმეში აქტიურობა გამოიჩინეს: აფხაზეთისა და აჭარის საოლქო საბჭოებმა, თბილისის, შიათურის, თელავის, გორის, რუსთავის, ფოთის საქალაქო საბჭოებმა, გურჯაანის, ბოლნისის, ვარდამისის, მცხეთის, ესპის, ახალციხის, საჩხერის, შაიკოვსკის, ვანის, ამბროლაურის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ცხაქაიას, მხარაძის რაიონულმა საბჭოებმა.

კანონში — ინტროისისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ ნათქვამია: „სსრ კავშირში ძეგლები ემსახურება მეცნიერების, სახალხო განათლების და კულტურის განვითარებას, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძობების ჩამოყალიბებას, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის მიზნებს“. ითვალისწინებს რა აღნიშნულს, საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმმა საქმიან დიდი მას-

შტაბის ღონისძიებები განხორციელა ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდის მიზნით. უთუფესწინაა ყველა ვენელოვანი იყო ძეგლთა დაცვის მთავარ სამართლებრივთან ერთად მოწყობილი ზონალური სესიები ქვემო-ქალაქში (ესპის რაიონი) შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისათვის, ახალციხეში — სამხრეთის რაიონებისათვის, სიღნაღში — შიდა და გარე კახეთის რაიონებისათვის, მეგტიკაში — სვანეთისთვის. ამ ღონისძიებთა მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ აქ ერთმანეთს შეხედნენ სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებით დაწესებულებათა ცნობილი სპეციალისტები და ადგილობრივი აქტივისტები — რაიონული და პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ისტორიის მასწავლებლები, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებთანაც ერთად იხილებოდა ის ამოცანები და პერსპექტივები, რომლებიც დაისახა ძეგლთა დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

ახვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, რომლებიც ჩატარდა წალენჯიხის, გეგუჭკორისა და სხვა რაიონებში. წალენჯიხის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე შალვა ლუკავა) მნიშვნელოვანი მუშაობა გასწავა რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების გამოვლენებისა და დაცვისათვის. აქ ყველა ძეგლს შეფოხბას უწევს ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაცია, ეწყობა ძეგლის დაცვის ღირებულებები, შაბათობები, ღონისძიებებს აქტიურად ესმარება ადგილობრივი პრესა. სტურის ხეობაში მდებარე შენობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო რაიონის ძეგლების ამსახველი მუზეუმი. ამ მუშაობის განხორციელება მოხდა წალენჯიხაში სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე. მსმენელებს თავის გამოცდილება გაუზიარეს ზუგდიდის, გეგუჭკორის, ცხაქაიას, აბაშის და სხვა რაიონების წარმომადგენლებმა.

წარმატებით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გეგუჭკორშიც (ორგანიზატორი მუხუშუმის დიდქეტორი გივი ელიავა) მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისადმი. მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ცხაქაიას და სხვა რაიონების წარმომადგენლებმა. სესიისათვის ცალკე წიგნად დაიბეჭდა პროგრამა და მოხსენებთა თეზისები ქართულ და რუსულ ენებზე.

უცილობლად მოწონებას იმსახურებს ის ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება უშუალოდ ძეგლებზე, საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ჩატარა სხდომა მარტილის მონასტერში. აქ წაითხული იყო საყურადღებო მოხსენებები. შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე ახალგაზრდებმა, შემოქმედებთა კოლექტივებმა, სტუპრებმა მოამე რესპუბლიკებიდან. თელსაჩინო გახდა თე როგორ შეიძლება მოუარო და დაცვა ძეგლ და ამასთანავე აქციო იგი კულტურისა და დასვენების კერად.

ანალოგიური ღონისძიებანი განხორციელდა გორის ციხეზე, ანანურის ზურთთბიძეძურულ ანსამბლში, სამშვიდღეზე. წარმატებით ჩატარდა ღონისძიებები თბილისში, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კლუბში, მიძღვნილი თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქციისადმი, ლექციები თბილისის ლენინის რაიონის წარმობა-დაწესებულებებ-

ისათვის, საქარხნო რაიონში, სამედიცინო ინსტიტუტში, კაბინეტურია ინსტიტუტში, ელზავალმენველ ქაზხანში და სხვა მრავალი.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე, საზრძოლო და შრომითი დიდების, რევოლუციური ბრძოლის ამსახველ ადგილებზე, ძველთა დაცვის ღონისძიებები დაგეგმვა და სხვა ახალგაზრდა თემები წარმოადგენს 1958-91 წლებში, რომ აღარათა თვითვე საუბრებზე და კითხვა-პასუხის საღამოებზე.

საზოგადოების აქტივის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახალხო და კულტურის უხეველი ტეტებს, რომლებიც აგრეთვე ეწყვიან ძველთა პროაგანდას. უნივერსიტეტები უკვე შექმნილია ცესთათა, დავით-გარეჯი, გელათი, საფარაძე, იყალთო, იანჭხაი, დინდორა და სხვადა. ვინაიდან სახალხო უნივერსიტეტი წარმოადგენს არა მარტო პროაგანდისტული მეთაობა თიხაფუკილია და ეფექტურ ფორმას, არამედ აქტივ, კარგების მომხალებს ფორმასაც, მეტ უკრძლებას იმ-სახურებზე და, ალბათ, აუცილებელია მთელი ქვეყნისათვის ერთიანი პროაგანდის დამუშავება.

კულტურის პროაგანდის საინტერესო კერებზე გვევლინება ბიჭვინთის, გავრისა და გრემის მუზეუმები. აქ განხორციელებულია ღონისძიებები მუზეუმების ექსპოზიციების მეცნიერულ-მხატვრული ღონის მისაღწევად. ექსპერსები ტარდება კვლევითი კურსები. ამ მუზეუმებში მოვალის ათეული ათასი ადამიანი ეცნობა როგორც ხელოვნების ძეგლებს, ასევე მხარის ისტორიას და ძატერიალურ კულტურას. ვინაიდან ამჟამად მუზეუმ ნაერძალთა ქვეყნის გაფართოება — უკვე თორმეტი ასეთი მუზეუმია და ამასთანვე თითქმის ყველა რეგიონში, საჭიროა მათი გადარქვევა კულტურის მმართველებად.

უქანასკნელ წლებში შეუდარებლად გაძლიერდა ძეგლების დაცვის პროაგანდა მასობრივი ინფორმაციის ხაზით. ძნელია მოვიხსენიოთ ყველა ის წერილი, რომელიც დაიბეჭდა თუნდაც უქანასკნელი ორი წლის მანძილზე. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ ყოველ კვირას რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ვხვდებით საინტერესო წერილებს ძველთა დაცვა-პატრონობის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთ „კომუნისტის“ თაოსნობა ამ ხაზით. სასიხარულოა, რომ ყველა რაიონულ გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება ვრცელი წერილები ძეგლების შესახებ. ხშირად ამ საკითხს ეთმობა გაზეთი მთლიანად, ან მისი მთელი გვერდი. მაგალითისათვის გამოვიყვანოთ ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანო „ლენინელი“, რომელმაც ძველთა დაცვის საკითხებს საგანგებო მრავალფურცლიანი ნომერი მიუძღვნა. გაზეთი „საშობლო“ და სხვ. ვრცელი სტატიები დაიბეჭდა აგრეთვე ჟურნალებში — „საბჭოთა ხელოვნება“ და „ცისკარი“.


აღსანიშნავია, რომ საზოგადოების პრეზიდენტის მიერ საქინფორმთან ერთად მომხალებულმა მასალამ ძეგლების წამოიღწელების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა რესპუბლიკის ყველა ცენტრალურ გაზეთებში, არა მარტო რეალური შედეგი გამოიღო, არამედ ფართო გამოხატულება ჰპოვა საკავშირო პრესაშიც. გაზეთ „პრავდის“ ორგანო „ჟურნალისტიკა“ და ლენინგრადის გაზეთმა „სენ-

ნამ“ გამოხატულება მოათავსეს ჩვენს მასალაზე — რაიონ „სასარგებლო გამოცდილება“.

ისტემატურად უთმობს დროს ძეგლების დაცვით ხეხს საქართველოს რაიონ და ტელევიზია, უკვე მესამე წელიწადია რაც ყოველთვიურად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, ტელევიზია გადასცემს სპეციალურ ციკლს „დაივიკეთ ფრონული საუნჯე“. ამას გარდა, „მომხმეში“ სისტემატურად გადაიცემა ახალი ამბები ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის შესახებ. ამ დღივ და გამოხეხული მუშაობისათვის არ შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიოთ რაიონი მუშაყვებლისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე, სამეცნიერო ვადაცემთა რედაქცია, ამხანაგები ლ. ლორთქიფანიძე, ლ. ლალიძე და გ. მგალობლიშვილი.

ღღეს ჩვენს რესპუბლიკაში ძეგლების დაცვის პროაგანდის საქმე სათანადო დინჯება და ეს შემთხვევითი რინდა. ნინაწოდობლივია, რომ ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი დღითიდღე იზრდება მსოფლიოში. ამას ადასტურებს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მრავალი ახალი გამოცემა ვეროპის სხვადასხვა ჟურნალებში, სამი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ჩატარდა იტალიასა და საქართველოში. 1979 წელს თბილისში ჩატარდა ფრესკული ფერწერის ტონირებისა და ასლის გადმოღების საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი. ძველთა დაცვის მსოფლიო კომიტეტის „იკომოსის“ გადარქვევით 1982 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარდება გამოცემატული ქალაქებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. ამავე კომიტეტის გადარქვევით შეიქმნა ამირეჯავასის „იკომოსის“ რეგიონალური საბჭო, რომელშიც შევიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს მოხმელ რესპუბლიკებთან ერთობლივ სამუშაოთა შესრულებას და მეთოდური საკითხების გადარქვევას.

გულბადის ეკლესია.





ამასთან აღსანიშნავია, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაშიც შეიმჩნევა ხარვეზები და ნაკლოვანებანიც. ასე მაგალითად, ბელორუსიაში ყოველწლიურად გაზაფხულზე საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი აწყობენ კულტურის, რევოლუციური და შრომითი დიდების ძეგლების კეთილმოწყობის ერთთვიურს, ეს მეტად მისაბაძი ღონისძიებაა. ფართოდაა დანერგული ძეგლების დათვალიერება, რომელშიაც საზოგადოებასთან ერთად მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა და კომპაგნირული ორგანიზაციები. ტარდება კონკურსები საუკეთესო პირველად ორგანიზაციებზე, საშუაო ორგანიზაციებზე. ვიქტორებ, სასარგებლო მოეწყობა საბავშვო კონკურსები საუკეთესო ნახატზე, ნარკვევებზე ძეგლების შესახებ, საუკეთესო ფოტოგრაფიაზე და სხვა მრავალი.

უკვე 15 წელიწადია, რაც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოდის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ბიულეტენი „ძეგლის მეგობარი“. თავისი მეცნიერული და პოლიგრაფიული დონით იგი პასუხობს მკითხველთა მოთხოვნილებებს და მოწონებითაც სარგებლობს. წლების მანძილზე ქუჩრილი პროპაგანდას უწევს ისტორიულ-რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების, მატერიალური კულტურის ძეგლებს. აქ იბეჭდება საყურადღებო წერილები არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოთმოდერების, მონუმენტური ფერწერის, ქედური ხელოვნების, ხალხური რეწვის ძეგლებზე. ვხვდებით მეთოდურ წერილებს, ძეგლთა დაცვის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს. სისტემატურად ქვეყნდება სიანგორმაციო მასალაც. ბიულეტენის ფურცლებზე იბეჭდება როგორც წამყვანი მეცნიერების წერილები, ასევე კულტურის ძეგლთა მოყვარულების, საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მუშაკების წერილები, სადაც ისინი გვიზიარებენ გამოცდილებას. უკანასკნელ წლებში ბიულეტენში გაფართოვდა რუსული რეზიუმე და დაემატა რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ამასთან, „ძეგლის მეგობარს“ რედაქციას მართებს მეტაყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ორგანიზაციების

მუშაობისა და გამოცდილების განზოგადებას. კრებულში უნდა იბეჭდებოდეს აქტუალური, პრინციპული საკითხები. ამჟამად მიმდინარეობს დიდი სარესტავრაციო სამუშაოები ასევე ძეგლზე, გამოვლინდა ბევრი აქამდე უცნობი და მნიშვნელოვანი ძეგლი, წარმოჩენილია ბევრი ისეთი საკითხი, რომლის პუბლიკაცია მეტად სასარგებლო იქნებოდა როგორც სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრეებისათვის. ვაკლებით მეტი უნდა იბეჭდებოდეს სტატიები თვით რესტავრატორებისა — ძეგლების აღდგენის მეთოდების საკითხებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ძეგლის მეგობარს“ ტირაჟი (3000 ეგზემპლარი) სრულიად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს.

საზოგადოების მიერ გამოცემული არა ერთი ბულეტენი, გაზაფხული მონოგრაფია, რომლებიც შესრულებულია სათანადო მეცნიერულ დონეზე მაგრამ გამოცემთა ტირაჟი იმდენად მცირეა, რომ ეს წიგნები ორიოდ დღეში მირება. დღეს, კულტურის ძეგლებისადმი ყურადღების გამახვილების ვითარებაში და განსაკუთრებით კულტურულ-ეკონომიკური ზრდასთან დაკავშირებით, მოახერხება ასეთ ლიტერატურაზე მეტად დიდი. მართლაც, ძეგლის დამთვალეობა, აქაურსა თუ უცხოელს, აქვს კანონიერი და გასაგები სურვილი რაიმე შეიძინოს ნანახი ძეგლის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მოწოდებული და რედაქციებში ჩაბარებული გამკვეთეები, მცირე მონოგრაფიები სტამბეში უცრავად არიან წლების მანძილზე. ამასთან, მათი ტირაჟი დაეკვილია 3 ან 5 ათას ეგზემპლარად, როდესაც ისეთ ძეგლებზე როგორცაა ჯვარი, სვეტიცხოველი ან გელათი, ყოველწლიურად მარტო ტურისტებისათვის მოთხოვნილება განისაზღვრება 200 ათასი ეგზემპლარით.

აქვე საჭიროა ორიოდ სიტყვით შევეხოთ სუვენიერების — სამახსოვროების საკითხსაც. ამჟამად არსებული პროდუქცია უხერხიო და სრულიად არ პასუხობს მოთხოვნილებებს, სათანადო პროპაგანდას ვერ უწევს ჩვენს ძეგლებს და, საერთოდ, ქართულ კულტურას. სწორედ ამას



სამთავრო.



გელიო.

გამო, ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, შეიქმნა საწარმოო განყოფილება, რომლის მიზანია მაღალმხატვრული სუვენირებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების (კერამიკა, ქედრობა, ხეზე კვეთილობა, ფარდავები და სხვა) დამზადება. ეს პროდუქცია უნდა იყოს მაღალმხატვრული და წმინდა ეროვნული, ხალხური რეწვის ნიმუშები. საქმე ოდნავ შეფერხდა, ვინაიდან ორიოდე წელიწადი დაიხარჯა სათანადო ფართობების გამოსაძებნად. ამჟამად ასეთი ფართობის ნაწილი მივიღეთ ძველ თბილისში და იმედია მალე გვექნება საჭირო ხარისხის პროდუქცია. სასურველია აღვადგინოთ და გავანთავსოთ ხალხური რეწვის საქმე, ესეც ხომ ჩვენი კულტურაა, ჩვენი ძეგლებია და მათი დაკარგვა ალბად მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

წლების მანძილზე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება თავისი მოკრძალებული ბიუჯეტიდან სასრებებს არ იშურებდა კულტურის ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოთა განხორციელებისათვის. საზოგადოების ინიციატივითა და სახსრებით აღდგენილია სვეტიცხოვლის კარიბჭე და ტაძრის ინტერიერი, მირიანისეული ეკლესია, გუმბის კომპლექსი, ალავერდის კედლის მხატვრობა, ხობისა და ქვათახევის ტაძრები, მრავალი ძეგლი სენიეთში და სხვა.

განსაკუთრებით გაიზარდა სარესტავრაციო სამუშაოები უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ რაც ზემდგომი ორგანოების დახმარებით განმტკიცდა საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა. თუ ადრე საზოგადოება ძეგლთა რესტავრაციაზე გამოყოფდა წლიურად 50 და 150 ათას მანეთამდე, უკანასკნელ წლებში ეს თანხა საგრძნობლად გაიზარდა. ასე 1977 წ. დაიხარჯა 235 ათასი მან. 1978 წელს — 381 ათასი მან. 1979 წელს — 527 ათასი მან. 1980 წელს — 600 ათასი მან, ხოლო 1981 წელს დადგენილია 750 ათასი მან. ეს გაკალებით მეტია, ვიდრე ყველა სხვა რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციის ვარდა. ამჟამად საზოგადოების ხაზით სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს ისეთ ძეგლებზე, როგორცაა: ქოლარის ციხე, მწვანე მონასტერი — ბორჯომის რაიონში გულარების ანსამბლი თეთრი წყაროს რაიონში, ნინოწმინდის

კომპლექსი სავარჯის რაიონში, ძველი და ახალი შუამთა თელავის რაიონში, კუმურდოს ტაძარი და სხვა. ჩვენი ამოცანაა მომავალში კიდევ უფრო გავზარდოთ სააძისი თანხები. ამასთან, საჭიროა ვიზრუნოთ ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და სამუშაოთა ხარისხის ამაღლებაზე. სარესტავრაციო სამუშაოები უნდა ტარდებოდეს ოპერატიულად, უფრო შემჭიდროვებულ დროში, ვიდრე ეს ხდებოდა მანამდე. სასურველია, რომ დამთავრებული ძეგლების მიღება ხდებოდეს საზოგადოების პრეზიდიუმის წვერთა მონაწილეობით, როგორც ეს ხდება ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში, სადაც მიმდებარეობს კომისიების თავმჯდომარეებზე გამოყოფილი არიან მეთოდური საბჭოს წევრები.

უემკვლე მისახდელია არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ძალზე ზიანდება. უკვე 1981 წლის სამუშაო გეგმაში შეტანილია ისეთი მხიშველოვანი ძეგლების დაცვა, როგორცაა: ძალისა, ვანი, ხოქალაქევი, რუსთავი და წილკანი.

ჩვენ მივგანჩნია, რომ ისტორიული ან მხატვრული ღირებულების მქონე ნაგებობის დაცვის, შენახვის თითოთად პრინციპს წარმოადგებს მისი გამოყენება თანამედროვე მიზნებისათვის. მას უნდა მიეზიოს აქტუალური მინარისი. თითოეული აღდგეილი ძეგლი უნდა ვაქციოთ კულტურის კერად, გამოიყენოთ იგი ჩვენი ახალგაზრდობის ზნეობრივ-ესთეტიკური, პატრიოტული, მეცნიერული აღზრდის მიზნებისათვის. ცხადია, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გამოიძებნოს ძეგლის შესაფერად, მიზანშეწონილად გამოყენების ფორმები, ის რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დაზიანდეს. ე. ი. გამოყენების პრინციპები უნდა დაექვემდებაროს ძეგლის დაცვის საკითხებს, ცხადია, ყველაზე უპირატესად უნდა ჩაითვალოს ძეგლის გამოყენება მისი თავდაპირველი დანიშნულებით. ამის მაგალითები უკვე ბევრი გვაქვს. თბილისის ისტორიულ-სახლები რესტავრაციის შემდეგ გამოიყენება ისევ საცხოვრებლად, პირველი სართულები — სახელმწიფოებლად და სავაჭრო მაღაზიებლად. იქ, სადაც ეს შეუძლებელია (ძირითადად საკულტო ძეგლებში) ძეგლი უნდა გამოიყენოთ კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათ-





ნახარბაოს ეკლესია.

ვის. სრულიად უნდა აიკრძალოს მათი გამოყენება საწარმოთა მიზნისა და საწყობისათვის. რაც შეეხება განსაკუთრებულ ღირებულების, უნიკალურ ძეგლებს, ისინი უნდა იქცნენ მუზეუმებად და ტურისტული ჩვენების ობიექტებად. ძეგლების თანამედროვე მიზნებისათვის გამოყენებაში ჩვენ, პირველ რიგში, უნდა დაგვეხმარონ რაიონული და საქალაქო ორგანიზაციები, უფრო მეტიც, მათთვის ეს მტკნარ ხელსაყრელია და სასარგებლოც.

როდესაც საუბარია ძეგლების გამოყენებაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ისტორიული ადგილები, ძეგლები, დიდი სამამულო ომის გმირთა მემორიალები ახალ წეს-ჩვეულებათა ჩატარების ადგილებად იქცა. იგულისხმება პიონერთა რიგებში მიღება, კომკავშირული ბილეთების გადაცემა, შეხვედრები და სხვ. ეს მისასაღწევია, ამასთან აუცილებელია დრომოქმულ წეს-ჩვეულებათა შეცვლა ახალი დღესასწაულებით. სავმალად ბევრ ძეგლთან, რაც დღეობებთან დაკავშირებით, ღრეობა იმართება, რასაც თან სდევს ტამბების შემოგარეში პირუტყვისა და ფრინველის კვლა. თვით ძეგლი და მის ირგვლივ ტერიტორია წაბილწულია და დანაგვიანებული. ჩვენ უფრო გადამჭერი ღონისძიებანი უნდა მივუღოთ ასეთ წეს-ჩვეულებათა აღკვეთაში. აქ, ბუნებრივია თავისი უნდა თქვან რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ, როგორც ეს იყო მცხეთობის ზეიმის ჩატარებისას.

მოწოდებას „არც ერთი ძეგლი პატრონის ვარემე“ მრავალი ორგანიზაცია გამოიხმაურა. კულტურის ძეგლებად რეკე ყავდათ შეფები — ადგილობრივი პირველადი ორგანიზაციები, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, უკვე სრულიად სხვა შინაარსის და სხვა მასშტაბისაა. საზოგადოების

პრეზიდენტი, საშფო ორგანიზაციების პასუხისმგებლების ამაღლების მიზნით, და მათთან საქმიანი და მუდმივი კონტაქტების გასაუმჯობესებლად, შეიმუშავა სათანადო ღონისძიებები. საშფო ორგანიზაციების წესდებაში ჩამოყალიბებულია საშფო ორგანიზაციების უფლება-მოვალეობანი, ფორმდება ოფიციალური ხელშეკრულება, გაიცემა საშფო მოწმობა და სხვა. საშფო ორგანიზაციების მუდმივ კონსულტაციებს უწევენ სპეციალისტები როგორც საზოგადოებიდან, ასევე ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხაზით. სადღესოდ ასეთი ხელშეკრულება დადებულია ათასამდე ორგანიზაციასთან, შეფობა ყოველდღიურად ფართოვდება. საშფოებით მინდა მოვიხსენიო ის საშფო ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებული აქტიურობითა და საქმიანობით სიყვარულით გამოირჩევიან: კვების მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზირებული სისტემების საკონსტრუქტორო ბიურომ გაფინდა და წესრიგში მოიყვანა საშფოილის ნაქალაქარის მთელი ტერიტორია, ყველა ძეგლი მოამზადა სარესტავრაციოდ, თეთრი წყაროს რაიონის აღმასკომთან ერთად მოაწყო დიდი სახალხო დღესასწაული „სამშვილობა“, რომელიც უკვე მეორე წელიწადი ტარდება და წარმოადგენს შრომის, მეგობრობისა და კულტურის შეინიშნავ ზეიმს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიულ ფაკულტეტთან შეიქმნა ძეგლის მეგობართა რაზმი — „აღმამუნებელი“, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი: დოკტორი ი. თვალავაძე, უფროსი მეცნიერი მუშაყვილი ოთარბუაშვილი, რ. ხვიჩია, გ. ჰაპავა, ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივანი ა. ხვადავანი. ამ ჯგუფმა, რომელიც მრავალ სტუდენტს აერთიანებს, თეთრი წყაროს რაიონის ტბისის სამონასტრო კომპლექსში გაიყვანა ნახევარი

კლომეტრის სივრცის გზა და გადასასვლელი ბოგირი, ფერდობზე გამოჭრა და გაამარა რამდენიმე ასეული კიბის საფეხური, გაწმინდა და გაამარა ძეგლების დაზიანებული ნაწილები და მოამზადა ძეგლი სარესტავრაციოდ (რაც უკვე სრულდება). ეს ჯგუფი ეწვია ბირთვისის ძნელად მისასვლელ ციხეს, შემდეგ მარნეულის რაიონის ბახნიბოკაზე, დღი სამეშაო ჩაატარა. პატრიოტების თაოსნობით სოფელ წერაქვში გაიხსნა სკოლა, მიღებულია ღონისძიებანი ტრულევადაცემის ტრანსლაციისათვის. ამჟამად ეს ჯგუფი იბრძვის ამ სოფლის სხვა საკითხების მოგვარებისათვის.

კობერნეტის ინსტიტუტის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაცია ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივთან ერთად შეფობას უწყებს ხერთვისის ციხეს. გასულ წლებში სამოცდაათამდე თანამშრომელმა იმუშავა ამ ციხის ურთულეს აღდგენით სამუშაოებზე. ამას გარდა, მათ შექმნეს „ხერთვისის“ ფონდიც; აღსანიშნავია აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს თაოსნობით მარტყოფის სამონასტრო კომპლექსის გადაქცევა კულტურისა და დასვენების კერად, ელშვაჯამშენებელი ქაჩხის კომპლექსორელთა მუშაობა საფარის სამონასტრო ანსამბლში და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა კი შორს წავიციოუნდა. სულ ახლახანს ამ მუშაობაში ჩაებნენ პროფტექნიკური სასწავლებელიც. თბილისის მეთვრამეტე პროფტექნიკურმა სასწავლებელმა ითავა შიომღვიმის დიდი და რთული კომპლექსის შეფობა. მათ მიერ შესრულებულმა სამუშაომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უკვე მოყვანილია წესრიგში მონასტრის მთელი ტერიტორია, გაყვანილია არხები, აგებულია საყრდენი კედლები, აღდგენილია ტერასები და კიბის საფეხურები, სრულიად განადგურებული ერთსართულიანი სენაკი, რომელშიაც მუხეჟში მოეწყობა, ჩამშლია ფანჯრები, დაიწყო ორსართულიანი ქვის საცხოვრებელი შენობის რემონტიც. სასწავლებლის დირექტორი ნოდარ კუჭავა და მისი შესანიშნავი კოლეგები — ოსტატები და მოსწავლეები ისეთი სიყვარულითა და საქმის ცოდნით მუშაობენ, რომ ნაკეთაღის ტემსაც შეშურდებთ. ახლა შეფები აპირებენ ელექტრონახის გაყვანას და XII საუკუნის სხალტა — შიომღვიმის წყალსადენის აღდგენას. მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ კოლექტივისადმი და კომიტეტის ხელმძღვანელის აზხანავ ს. რიგვეასადმი. აღსანიშნავია, რომ კიდევ ასამდე პროფტექნიკური სასწავლებელი ჩაება ძეგლთა დაცვის საქმეში.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში დიდ წვლილს აქვს პრეზიდენტთან არსებულ სტუდენტთა გაერთიანებას. სტუდენტები უკვე მესამე წელიწადი წარმატებით მუშაობენ ქარელის, საგარჯოს და ბოლნისის რაიონებში. განსაკუთრებით სასარგებლო მუშაობა ჩაატარეს უჯრამში, თბილისის ძველ რაიონების რეკონსტრუქციაზე, სამხრეთ საქართველოს ძეგლებზე. ცხადია, სამინისტროები, უწყებები, ფაბრიკა-ქარხნები, სამეცნიერო დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლები შესძლებენ მხოლოდ გარკვეული, მნიშვნელოვანი ძეგლების მოვლას და ისიც განსაზღვრული რაოდენობით. მაგრამ რა ვუყოთ იმ უთვალავ და ნაკლებად მნიშვნელოვან ძეგლებს, რომლებიც მოფანტულია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და სადაც ჯერ ხელი ვერ მი-

გვიჭვდება. მართალია, მათი დაცვა კანონით ეკისრება ადგილობრივ საბჭოებს და მიწის მფლობელებს, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია დეკარის სოფლის სკოლას, რომელსაც ადვილად შეუძლია მოუპაროს სოფელში, ან მის მიდამოებში არსებულ ძეგლს. ეს ბავშვებსა დახატაობა შეისწავლონ თავისი მხარე, მისი წარსული და, ამასთან, ძეგლი უფრო გაუფროხილდებიან, აღარ გაეფრთხილებიან და არ შებღალავენ მას.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში, ფართო პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად და ზოგ შემთხვევაში კი მკაცრი ზომების მიღებით, საგრძნობლად შემცირდა წარწერები ძეგლებზე. ბოლო ორი წლის მანძილზე არ ყოფილა ძეგლების დაზიანების არც ერთი ფაქტი. ეს მეტად სასიხარულოა და ხალხის შეგნებულობის ზრდას მოწოდებს.

ჩვენმა სპეციალურმა სარესტავრაციო სამეცნიერო ლაბორატორიამ (ხელმძღვანელა თ. იაქაშვილი) მინაწერებისაგან გაწმინდა წულრულაშენისა და საფარის ტაძრების კედლები. გასაწმენდია კიდევ რიგი ძეგლებისა. გვიანდა გვეგროდეს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

ამჟამად დაიწყეთ ბირთიადალ, ტურისტული დათვალიერების ძეგლთა ტერიტორიების კეთილმოწყობა. მოწვესრდება ეზო-ვაღავანი. გამოგვეყოს წყალი და ელექტროგანათება, იქმნება სანიტარული კვანძები, კეთდება სუვენიერებისა და წიგნების ციხურები და სხვა.

ცალკე, ძეგლის მოშორებით იქნება გამოყოფილი დასვენების ადგილი, სადაც დაიდგებმა მაგიდა, მერხები და

ბუთანი.







სანაგვე ყუთი, რათა მომსეღლეებმა აღარ დაანაგვიანონ ძეგლების ტერიტორია.

რაც შეეხება იმით, ვინც მინც შებღალავს ძეგლს, მკაცრად დაისჯებიან კანონის ძალით.

საგარეო მხარეა განაზრდა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა. რაიონებიდან ყოველდღიურად მოგვდის უამრავი სიგნალი, თხოვნა ძეგლის შეკეთების შესახებ. მართლაც, ჭარ კიდევ ბევრია მისახდელი. ზოგი საქართველოს მკვრივ პროტიოქეტურ რემონტს, გამაგრებას, გადასურვას და სხვ. რა თქმა უნდა, ყველფერს, რაც საუკუნეთა მანძილზე იწერებოდა, ერთბაშად ვერ აღადგინენ. ძეგლთა დაცვის მთავარი სამართლებრივითაა შექმნილია საგანგებო ავარიული ჯგუფი, რომელიც სწორედ ასეთ სამუშაოს ასრულებს რაიონების სიგნალების თანხმად. ამ პრაქტიკაზე უკვე გამართლია მოლოდინი, მაგრამ ისიც ცხადი შეიქმნა, რომ სპეციალისტ-რესტავრატორები არ გვეყოფინს. სამუშაოს ვერ აუღლივართ. დიდი იმედი გვაქვს მ. თობის სახელობის სასწავლებლის მიერ მომზადდებული ტექნიკური რესტავრატორების, მაგრამ ამას უნდა დრო. დღეს ჩვენ დაქტიურობა არ გვაყავს კვალიფიკიური რესტავრატორები (თუ ორიოდვე სპეციალისტს არ ჩავთვლით), ვინაიდან თავის დროზე მათ მომზადდება არ ვიზრუნეთ. ბევრს აქვს სურვილი თანხში მინც გაიღოს თავისი წვლილი ძეგლთა საკეთილდღეოდ. ეს თანხა შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ, ვარჯიშდებით, მინც ხმარდება ამ დიდ საქმეს. მცხოვრივ მასწავლებელი ალექსანდრა ნემსაძე-მილორაჯა სოხუმიდან გვეწერს: „...მე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, დიდად მოხარული ვარ, რომ გავხივდ ასეთი უდიდესი ეროვნულ-პატრიოტული საქმის მომხრე და წრფელი გულით, დიდი სიყვარულის გარძნობით გიგზავნი თქვენი თვიური პენსიის ნახევარს ამ ფრთად დიდსა და თვალსაჩინო საქმისათვის (წერილს თან ერთვის ვადარიცხვის ქითარი 60 მინუტზე). ეს მეტად ამაღლებს გულში ფაქტად.

ახალგაზრდა მწერლების თაოსნობით გამოცემული კრებულის „ზეკარის“ ჰონორარი დმანისის რაიონში მდებარე ძეგლის „ლამაზი საყდრის“ რესტავრაციის მოხმარდა.

მიღებული კანონის თანხმად, ძეგლების მოვლა და დაცვა, პირველყოფისა ვეკავება რაიონის, საქალაქო და სასოფლო სამკოებს. საქართველოს ყველა რაიონში განიხილეს ძეგლთა დაცვის საქმის გაუმჯობესების საკითხები. ამ შპრივ კი ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან გურჯაანის, საგარეოს, ტყიბულის, მახარაძის, ბორჯომის, წალენჯიხის, კასპის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, წითელწყაროს, ზესტაფონის, ცხაკაიას და სხვა რაიონები. სამუშაოდ, ასეთი სურათი ყველგან როდია. რაიონთარ ინტერესს არ იჩენენ ამ საქმისადმი ვარდახანის რაიონის კულტურის განყოფილება და ძეგლებიც აქ სავალალო მდგომარეობაშია, გამოყენებულია საწყობებად, ვაჭირავეების პუნქტებად. უსუფთაობაა სახეობის რაიონის ძეგლებზე. ახალციხის რაბათის უბანში შუასაუკუნეების ორი აბანო ისეთი ანტისანიტარიის ბუდედ არის ქცეული, რომ მათი დეჟაკაცია და აზომავა ვერ მოხერხება. ასეთივე სურათია ბოგდანოვის რაიონის ძეგლებზე. უნიკალური ქარავსა სოფელ რადიონოვკაში სხვა აბანოებზე უფრო, რომ რესტავრატორები ვერ იწყებენ მუშაობას. ცუ-

დადაა მოვლილი ძეგლები წალკისა და ბოლნისის რაიონებში. აქ მცველების უმრავლესობა სრულიად ანაგვეყურად უღებს თავის მოვალეობას. ვერ დგას ძეგლთა დაცვის საქმე სათანადო სიმაღლეზე ამხევის რაიონში. ნაგებობები შემოფარობივია, დაფარულია ბუქჩნართა და მცვენებით, არ ტარდება პროფილაქტიკური რემონტი.

მიუხედავად სავანებში აკრძალვისა და მრავალი ვარჯიშობისა, მიცვლებულბეს კვლავ ასოფლებენ ძეგლების სიახლოვეს, ის უშუალოდ მის კედლებთან. სოფელ განთიაში (გაგრის რაიონი) მიცვალბულითა საყვლები ზედ კედლებზეა მიწყობილი. ასევე ბოლნისის რაიონის სოფელ რატევანში, მიაკოვის რაიონის ზეზი დიშის, როკითისა და ვარციხის, საჩხერის რაიონის სოფელ ჩოხას, დმანისის რაიონის სოფ. პატარა დმანისის და უკანავილის ეკლესიებთან, წალენჯიხის განთქმული ტაძართან, რომლის ფრესკული ფერწერა მრავალ მხანველს იზიდავს. ტაძრების რაიონი — ჩუქულის, ჯახუნდერის და სხვა ძეგლების ირგვლივ მიწყობილია საფლავის ძეგლები — თანამედროვე მუშაობივი გემოვნის უხამსი შენობები ტელევიზორებით, ელექტროგანათებით და გაწყობილი სუფრით. ეს შენობები ზნორად ეკლესიების ტოლია და სრულიად ფარავს მათ. როგორც ჩანს, ადგილობრივ მესვეურთ ვერ გაუგიათ რა ხდება მათ სოფელში და ვერ ებრძვიან ამ ჩვენი დროსათვის სრულიად შეუფერებელ მოვლენას.

არის სხვა მაგალითებიც; სოფელ სამთავისის სასოფლო სამკო და კოლმეურნეობამ გვთხოვეს მათი სოფლის შესასველვისა და მოედნის კეთილმოწყობის პროექტის შედგენა, რადგან სამთავისის განთქმული ტაძრის სანასავად ბევრი სტუმარი მიდის და სოფლის შესასველი და ცენტრიც სათანადოთ უნდა იყოს მოვლილი. ასევე, სოფელმა ველისციხემ მოსთერა მთავარი მოედნისა და მის მიმდებარე ძეგლების რესტავრაცია-რეკონსტრუქცია. ეს მისასამებელი წამოწყებანია.

ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნების რეკონსტრუქცია-რესტავრაციის საკითხზე დღეს ერთ-ერთი ურთულესია. უკვე დაწყებულია თბილისის, თელავის, სიღნაღის, განზრახულია ქუთაისის და მცხეთის ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია.

თბილისში, ბარათაშვილის ქუჩისა და კობაქიჩის ადმართის რეკონსტრუქცია თვალსაჩინო ვახადა, თუ რა შესაძლებლობანი ვლინდება ძველ ქალაქში. ამ უბნების აღდგენამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, თუმცა ვაჩნდა ეჭვიც. უნდა ვერიდოთ ზედმეტ დეკორატიულობას, არ უნდა ვეცადოთ შევქმნათ ეს უბნებზე უფრო ლამაზი, ვიდრე თავის დროზე იყო.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება დღეს ვაცილებს მრავალრიცხოვანია, მისი საქმიანობა უფრო მასშტაბური, გამიზნული და მრავალფეროვანია. რაც მთავარია, ძეგლთა დაცვის საქმე დღეს საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა. ყოველივე ეს შესაძლებელია ვახდა იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შედეგად, რომლებიც მიღებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ. ეს შედეგი ამ ზრუნვისა და ყურადღებობისა, რომელსაც იჩენენ კულტურის ძეგლებისადმი პარტია და მთავრობა, მიელი ჩვენი საზოგადოებრიობა.



# ქართული საბჭოთა

# არქიტექტურა ახალ მიჯნაზე

თენგიზ კვიციანი

სამოციანი და სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის საბჭოთა არქიტექტურის ნაწარმოებთა შედარებისას არ შეიძლება არ შენიშნოთ შესამჩნევი ძვრები. ცვლილებები შეეხო ქალაქთმშენებლობას, ფუნქციურ, ტექნიკურ ამოცანებს, ხუროთმოძღვრების, მატერიალური და მხატვრული საწყისების ურთიერთგავლენას. ფუნქციური, ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემები ყოველთვის ახდენდნენ ზეგავლენას არქიტექტურის ესთეტიკაზე, და მაინც, თუ ყურადღებას გავამახვილებთ ესთეტიკურ ხარისხზე, ასე ვთქვათ, — სულიერზე არქიტექტურაში შევნიშნავთ, რომ ეს მხარე სულ უფრო იპყრობს ხუროთმოძღვრის ყურადღებას. აშკარად იგრძნობა გაძვირებული 60-იანი წლების სწორხაზოვანი, ასკეტური არქიტექტურიდან, „გამკვირვალე“, არამდგრადი ხელოვნებიდან პლასტიკურად გამოკვეთილი ფორმებისაკენ.

ექვსი ათეული წლის მანძილზე ქართული და საბჭოთა არქიტექტურამ განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. თუმცა იგი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთლიანად საბჭოთა არქიტექტურასთან, მისი განვითარების ერთიან კალაპოტს მიყვებოდა და ასახავდა ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, ტექნიკურ და შემოქმედებით პროცესებს, ყოველთვის გა-

მოირჩეოდა თვითმყოფადობით. თანამედროვე ქართული არქიტექტურის მახასიათებელი ნიშნები ასახავენ მთლიანად საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ტენდენციებს.

ამ წერილში რა თქმა უნდა, მიზნად არ ვისახავთ ქართული ხუროთმოძღვრების თანამედროვე ეტაპის ყველა ასპექტის მიმოხილვას. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შეეხებით.


70-იანი წლების დასაწყისისათვის, თბილისის გარდა, სულ რამდენიმე ქალაქს გააჩნდა განვითარების და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმები, ამჟამად პრესპექტიული განაშენიანების დამტკიცებული გეგმები აქვს საქართველოს დიდი და მცირე ქალაქების უმრავლესობას. მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ძალაში შევიდა გენერალური გეგმები თხუთმეტი ქალაქისათვის (მათ რიცხვში არ ვგულისხმობ საკურორტო ქალაქებს).

ქუთაისის განვითარების ახალი პროექტი დამუშავდა 1976 წელს (არქიტექტორები: ნ. მიქაძე, ზ. ქურდიანი, ლ. გოშაძე, თ. ლომთაძე, ა. ლომთაძე). პროექტის ძირითადი პრინციპები ემყარება არსებულ ვითარების დეტალურ მენეჯერულ ანალიზს. ტერიტორიული ზრდა პროექტით დასახულია ძირითადად მერიდიანულად, სამხრეთის მი-



მართლებით, რკინიგზის ხაზისკენ გასვლით და დასავლეთის მიმართულებით, სამოქალაქო აეროდრომის ხარჯზე. გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქუთაისის საგარეუბნო ზონის შესამჩნევ ზრდასაც. მოსახლეობის მკვეთრი ზრდა დასაბუთებულია მრეწველობის, კულტურის და მცენიერების შემდგომი განვითარებით. იგულისხმება, რომ ქუთაისის ზრდა-განვითარება ხელს შეუწყობს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მოსახლეობის რიცხვის შედარებით სტაბილიზაციას. ამასთან დაკავშირებით ნაგარაუღვეია ზოგიერთი რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციის გადატანა ქუთაისში და კულტურის ისეთი კერების შექმნა, როგორიცაა კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი, კინოსტუდია. განზრახულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის ფილიალის დაარსება. ცხადია, ქალაქის რეკონსტრუქციის და განვითარების გენერალური გეგმით დასახული ღონისძიებები მძლავრი სამშენებლო ინდუსტრიის შექმნას გულისხმობს.

თუ ქუთაისი დასავლეთ საქართველოს უმთავრესი ქალაქია, თელავი კახეთის ისტორიული ცენტრია. თელავის განვითარების გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ჩამოყალიბებულ სტრუქტურას (არქიტექტურები: გ. თოთიბაძე, გ. შარაშიძე, რ. ხატიაშვილი). ძველი უბნები თავმოყრილია სამი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის — ბაქტონის ციხის, დვთაების ტაძრის და მე-11 საუკუნის სასახლის კომპლექსის («ძველი ვალაქის») გარშემო. ეს ტერიტორიები ნაკრძალად არის გამოცხადებული და ღონისძიებათა მთელი რიგია დასახული ამ ზონაში განლაგებული ისტორიული ძეგლებისა და არქიტექტურული კომპლექსების დაცვისა და რესტავრაციისათვის. ახალი საცხოვრებელი უბნების მშენებლობა განზრახულია ისტორიული ზონის ფარგლებს გარეთ, თავისუფალ ნაკვეთებზე. ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ე. წ. «აჩინებულში». აქ დაპროექტდა საცხოვრებელი რაიონი 16 ათას მოსახლეზე. იგი მოხერხებულად უკავშირდება სამხრეთით მდებარე ძველ ქალაქს და საწინააღმდეგო მხარეს (ჩრდილოეთით)—სამრეწველო ზონას, სადაც ძირითადად «აჩინებულის» მოსახლეობა იქნება დასაქმებული. ამავე დროს, შეიქმნება მძლავრი ბარიერი დასახლებასა და მრეწველობას შორის ტყე-პარკის ფართო ზოლის სახით. საპარკო ზონაში დაპროექტებულია სპორტული ბირთვი — საცურაო აუზების კომპლექსი, სპორტდარბაზი, ფეხბურთის მოედანი და კულტურული მომსახურების დაწესებულებანი — კლუბი, საზაფხუ-



ადმინისტრაციული შენობა ცხინვალში. პროექტი: არქიტექტორები გ. ჩოგვაძე და გ. ავაქიანიშვილი

ლო კინოთეატრი ესტრადით, კაფე-რესტორანი. ნაგულისხმებია ე. წ. ათელავის ზღვის — ხელოვნური წყალსატევის შექმნა ჩრდილოეთით გამავალი ზედა ალაზნის სარწყავი არხის ბაზაზე. ახალი საცხოვრებელი რაიონის სართულიანობა ანგარიშს გაუწევს არსებული განაშენიანების ხასიათს, რაც თელავის ცენტრალური ნაწილის ჩამოყალიბებული ცხოველხატული სილუეტის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ისტორიული ზონის სიახლოვეს განაშენიანება ოთხ სართულად არის დადგევილი, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სართულიანობა თანდათან ვაიზრდება 5 და 9 სართულამდე. დასახულია თანმიმდევრული გადასვლა მცირესართულანი განაშენიანებიდან მრავალსართულიანისკენ, იმგვარად, რომ ციხე-სიმაგრეთა დაგვირგვინებული ბორცვი კვლავ ბატონობდეს გარემოზე და არ დაირღვეს ჩამოყალიბებული მოცულობრივ-კომპოზიციური სტრუქტურა. თუ გავიფიქრებთ იმას, რომ პროექტით განსაზღვრული ტერიტორია არ აღემატება 1290 ჰექტარს, ამიტომ კომპოზიციური ჩანაფიქრი დასაბუთებული ჩანს.

ქართველ მეშახტეთა ქალაქი ტყიბული მეტად ცხოველხატულ ადგილზეა გაშლილი ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე. ავტორების წინაშე (არქიტექტორები: ფ. ყურაშვილი ა. წიკლაური) მეტად რთული ამოცანები იდგა, დადგევიანობით სტრუქტურის გაუმჯობესების, ქალაქის ტერიტორიის მიზანშეწონილი ზონირების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების საკითხებთან

ერთად წამოიჭრა რთული, მაგრამ საინტერესო პრობლემა: განაშენიანება უნდა „ჩაეწყოს“ ნაქარალის ქედის უნიკალურ ლანდშაფტში, შესანიშნავი გამწვანებები (წაბლის, კაკლის, შინდის ტყეები, მარად მწვანე მცენარეები). პროექტი ითვალისწინებს ქალაქის შემოგარენში განლაგებული კლიმატური კურორტის ცხრაჯგარის გაფართოებას. იგი ტყიბულის თავზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და შრავს ზით სულ რაღაც 12 კილომეტრითაა დაშორებული ქალაქიდან. კურორტის კიდევ უფრო „დაახლოების“ მიზნით შენდება 1,8 კილომეტრის სიგრძის საპაეო საზავიო გზა.


ახალ გენერალურ გეგმათაგან მხოლოდ სამი მაგალითი მოვიყვანე: ცხრა დაგეგმარებითი და მოცულობრივ-კომპოზიციური ამოცანების გადაწყვეტისას, „ჩვეულო“ ქალაქთმშენებლური მონაცემების გარდა ავტორების პრაქტიკაზე პრინციპული გავლენა იქონია სრულიად განსხვავებული ფაქტორებმა. ერთ შემთხვევაში ეს იყო მსხვილი ადმინისტრაციული, კულტურული და სამრეწველო ცენტრის შექმნა (ჭუთაისი). მეორე შემთხვევაში — ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურის არსებობა (თელავი), მესამეში — ცხოველბატული ბუნება (ტყიბული).

ამ ქალაქების გარდა, უკანასკნელ წლებში დამტკიცდა ლენტეხის, ცხაკაის, ზესტაფონის, კიათურის, ხობის, მახარაძის, ზუგდიდის, ვანის, ახალქალაქის, სიღნაღის, ყვარელის, ხაშურის, გენერალური გეგმები.


ჩვენი ქალაქების განაშენიანების პრაქტიკისა და მათი გენერალური გეგმების ანალიზისას, პირველყოფილსა, ყურადღებას იმე

რობს ის დამაფიქრებელი გარემოება, რომ გახშირდა გენერალური გეგმებიდან გადახვევა თუმა და მტკიცების შემდეგ მანქანების დასალო ენიჭება. ზოგჯერ გენერალური გეგმა თითქოს თვითმიზანი და რეალური მშენებლობა კი სულ სხვა გზით წარმოებს. ამასთან, მშენებლობა დაქვასკულია ხოლო და ამ პირობებში საუბარი კომპლექსებზე თუ ანსამბლებზე უფრო ხდება. ამგვარი გათვლების ერთ-ერთი მიზეზთაგანია მშენებლობის დაგეგმვასა და ფინანსირებაში მდგომარეობს. მაგრამ სხვა მიზეზებიც არსებობს. ზოგჯერ გენერალური გეგმის პარამეტრები, ამოსავალი მონაცემები შორს სცილდება რეალობას. ამას იწვევს, ერთი მხრივ, დამგეგმავი ორგანოების მტკიცე საფუძველს მოკლებული მონაცემები, მეორე მხრივ — პროექტის ავტორების არქიტექტურულ-კომპოზიციური და გეგმარებითი ჩანაფიქრის პაპერტოფიერების აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია. პლანშეტზე და მტკიცე ემეტირად აგებული სტრუქტურული და მოცულობითი კომპოზიციები ზოგჯერ არაცხოვრებისეული აღმოჩნდება ხოლმე. ამის თვალსაჩინო მაგალითს თბილისის გენგეგმაც იძლევა. ავტორების მიერ მოწოდებული თბილისის ცენტრის განივად განვითარების იდეა (ისტორიულად ჩამოყალიბებული გრძივი ღერძის მართობულად) იმათივე იწვევდა ექვს. ეს ექვსი გამართლდა. ვასული ათი წლის მანძილზე ქალაქზე დატანილ ამ ღერძზე არ გამოშენებულა ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობა. გენერალური გეგმით აგრეთვე გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ცენტრის მძლავრი განვითარება ტრადიციული, გრძივი მიმართულებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, პლენხანოვის პროსპექტის მიმდებარე უბნების რადიკალური რეკონსტრუქციის ხარჯზე. იდეა მართებულია. ამ წინადადების საფუძველზე საკავშირო კონკურსიცი კი გამოცხადდა თბილისის ცენტრის დეტალური დაგეგმარების პროექტზე. პროექტებში წამოყენებული პრინციპები მოითხოვდა არსებული განაშენიანების უმეტესი ნაწილის შეცვლას. რაც არარეალურია თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ამ ვრცელ ზოლში კაპიტალური შენობების გარდა, მოქცეულია ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე შენობების დიდი რაოდენობა. რომლებიც პროექტის შედგენის წინ არ იყო გამოკლენილი და შესწავლილი. ზემოთმოყვანილ ნაკლოვან მხარეებს სპეციალისტები სხვა რეპუბლიკების ქალაქებშიც აღნიშნავენ. ასე, მაგალითად, თუმაც კი არსებობს ქალაქების განვითარების გენერალური გეგმები, მაგრამ ფინანსირება და მშენებლობა წარმოებს სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

ავღდხარის ტურბაზის პროექტი. არქიტექტორები — ჟ. თოღბერიძე და ნ. ქორძიძე







სანატორიუმ „კვარკვის ნანის“ პროექტი.  
არქიტექტორები გ. ჯაბუა, დ. ჩხეიძე,  
ზ. შავაძე, მ. პაპია.

ახლა ამ ხარვეზს ასსორებენ — იზრდება ქალაქის ხელისუფლების რწმუნებები, მაგრამ ეს ვარემოება მხოლოდ მომავალზე იქონიებს გავლენას.

მითაც ვინც დღეს ქალაქების გენერალურ გეგმებს ადგენს, კარგად ესმით, რომ შუძლიებული 20-30 წლით ადრე ზუსტად განსაზღვროს სად და რა აშენდება. ეს არც არის საჭირო, ვინაიდან შეუძლებელია გაიანგარიშო მომავლის მოთხოვნები და შესაძლებლობები იმ ზომით, რომ ესოდენ თამამად განსაზღვროს ისინი. დღეს კი უფრო საჭიროა მიაწინშა ქალაქის განვითარების ძირითადი ტრაექტორიები საკმაოდ განზოგადებული გენერალური მიზნები, რომლისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ. ალბათ, ქალაქის გეგმას და სტრუქტურებს ვაიცილებით მეტი მოქნილობა უნდა მივანიჭოთ. ვიგულისხმობთ სხვადასხვა სახის რეზერვები (მათ შორის ტერიტორიულიც), რათა მომავალში შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ შემთხვევაში იმდროინდელი მოთხოვნილების შევლება სქემებთან, რომლებსაც დღეს ვაშუშავებთ.

სამოცდაათიან წლებში საქართველოს ქალაქებში მრავალი საზოგადოებრივი შენობა გაშენდა, რომელთა არქიტექტურა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ხუროთმოძღვრების მიღწევებსაც და ნაკლოვან მხარეებსაც, აშკარაა, რომ არქიტექტურულ-მხატვრული ხერხების ძიების გზებს. საცხოვრებელი რაიონების შემქმნელი შენობები და დიდი საზოგადოებრივი ნაგებობები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთო-საქალაქო ცენტრის შინაარსს და

იერს, არეკლავენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს და მის მუდმივ განვითარებას. სამოცდაათიან წლებში აშენებული და დაპროექტებული საზოგადოებრივი ნაგებობები, წინა პერიოდთან შედარებით, გამოირჩევა მაღალი პროფესიული დონით, ფუნქციური, ტექნიკური და მხატვრული ამოცანებისადმი კომპლექსური მიდგომით.

საზოგადოებრივი შენობების მათგან წარმოქმნილი ცენტრებისა და კომპლექსების მშენებლობის დარგში ჩვენი შემოქმედებითი პრაქტიკის მთავარ ნაკლად უნდა ვაღიაროთ ამ შენობების ზედმეტი „დამოუკიდებლობა“ უკვე ჩამოყალიბებული გარემოს მიმართ (მაშტებით, ადგილმდებარეობით, ფორმით, მასალით თუ კომპოზიციური წყობით). ამგვარი შეუთანხმებლობა მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჩვენ ქალაქებში ჭარ კიდევ იშვიათად ეხედებით განაშენიანების კომპოზიციურად შეკრულ ფრაგმენტებს. ეს ვარემოება განსაკუთრებით დასანანია მაშინ, როდესაც „მეზობლის“ იგნორირება ხდება ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირების დროს. სწორედ ამ მიზეზით ჩვენ დღეს ვერ ვვასახელებთ ვერც ერთ არქიტექტურულ ანსამბლს. ამასთან, ბოლო დრომდე საზოგადოებრივი შენობები დაქსაქსულად შენდებოდა (თუნდაც თბილისის მაგალითი). ბოლო დროს (ყოველ შემთხვევაში — პროექტებში) არქიტექტორები ცდილობენ დააგვიფონ შენობები ფუნქციური ნიშნების მიხედვით (მეცნიერება და განათლება, კულტურა და ხელოვნება და ა. შ.),

რაც ანსამბლების შექმნის რეალურ შესაძლებლობას იძლევა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს კეცხოველის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტი, რომლის განხორციელება უახლოეს დროში დაიწყება. ნაგული-სხვეია კეცხოველის ქუჩის გაწაწრვ თბილისის მნიშვნელოვანი კულტურული კერის შექმნა. ქუჩა მხოლოდ ფეხთმავალთ დაეთმობა და ამგვარად წარმოიქმნება წყნარი სასიერო ზოლი ქალაქის შუაგულში, რომელიც ლენინის მოედანთან დაიწყება და კომუნარების ბაღს შეერწყმება. ქუჩაზე გამოის ხელოვნების მუზეუმი, ისტორიული მუზეუმი, ლაღი გულიანკის სახლ-მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკა. ქუჩასთან უშუალო კონტაქტშია მხატვართა სახლი, საგამოფენო გალერეა, კინოთეატრი.

ანსამბლებს, ქალაქის ცენტრებს და ქვეცენტრებს მხოლოდ საზოგადოებრივი შენობების ჩამოთვლით, მათ შორის საცხოვრებელი სახლებითაც, აი, აქ კი წამოიჭრება მასობრივი საცხოვრებელი სახლების საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურის ურთიერთკავშირის, ქალაქის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ქსოვილის გაწვევების საკითხები. საზოგადოების სოციალური მოთხოვნების განვითარებამ, ქალაქთმშენებლური ღონისძიებების ეფექტურობის გაძლიერებამ მიგვიყვანა მიკრორაიონებში საზოგადოებრივი ობიექტების გამსხვილების მიზანშეწონილობასთან. ვგულისხმობ ერთნაირი ან მსგავსი ფუნქციების მქონე დაწესებულებათა ვაერთიანების ბაზაზე მრავალბრუნვლიანი ცენტრების და კომპლექსების შექმნას. ამ პროგრესულ ტენდენციას აქვს პრინციპული, ხარისხობრივი მნიშვნელობა ქალაქების არქიტექტურისათვის. იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი შენობების კომპოზიციურ აქტივობას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გარემოცვაში. ამავე დროს თვით ინდუსტრიული ბინათმშენებლობა შემდგომი განვითარების პროცესში მეტად თანამსაშუაბური გახდება ადამიანისადმი და ამასთან ერთად, მეტად მოზიდაური იქნება საზოგადოებრივ კომპლექსთან ურთიერთობაში.

მშენებლობის დიდი ნაწილი, ისევე როგორც წინა წლებში, ბინათმშენებლობაზე მოდიოდა ძირითადი და ახალი საცხოვრებელი რაიონების შექმნის ხარჯზე. ამ მხრივ დიდი მასშტაბით გამოირჩეოდა საქართველოს დედაქალაქი. გენერალური გეგმით 2000 წლისათვის 1250 ათასი მოსახლე უნდა იყოს. ეს ციფრი ერთგვარად საეკვოდ მიმანჩია, რადგან თბილისის მოსახლეობის ზრდა ამჟამად დღეისათვის პროგნოზით გათვალისწინებულს

აღემატება). გარდა იმ ვრცელი საცხოვრებელი მასივების, რომელთა მნიშვნელობა გრძელდება (გლდანი, ვაჟისუბანი, პატიოსანი და ა.შ.), „თბილქალაქპროექტი“ დამუშავებულია საცხოვრებელი რაიონების მთელი რიგი. თვითოეული მათგანის ანალიზი შორს წავიყვანდა. შევეხები ზოგიერთ მონაკვეთს.

ვაშლიჯვარი 253 ჰექტარს დაკავებს თბილისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, საბურთალოს და დიღომს შორის. ამ უბანს დასავლეთიდან ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიები, ხოლო აღმოსავლეთით საქართველოს სამხედრო გზა ესაზღვრება. დავეყვანოთ პრინციპზე ვადაშუყვეტი ვაგონი ღრმა ხეებიდან გადასერილმა რთულმა რელიეფმა. რომლის ქანობი 10-დან 60 გრადუსამდე მერყეობს. რაიონის დასახლება ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სოფელ ვაშლიჯვარიდან მოდის. ვინაიდან დიდ ქანობზე ტიპობრივი სახლების გამოყენება შეუძლებელია პროექტში ტერასულად განლაგებული განაშენიანება გათვალისწინებული. ტერასული სახლების ფონზე გამოიყოფა მაღლივი სახლების ჯგუფები, რომლებიც ხაზს გაუსვამენ დავეყვანოთ კვანძებს და საზოგადოებრივ ცენტრებს. მაღალი მოცულობების სისტემა დინამიკა შემატებს კომპოზიციურ წყობას და ამავე დროს, გამოავლენს განაშენიანების დავეყვანოთ აქსის. თუმცა როგორც გეგმით, ასევე მოცულობითი წყობით რაიონი ერთიან ორგანიზმად წარმოგვიდგება. იგი ბინათმშენებელს მიკრორაიონად არის დაყოფილი. ნაირსიმალოს რელიეფზე განლაგებული მიკრორაიონები და საცხოვრებელი კომპლექსები ერთმანეთს, გზების გარდა, ესკალატორების და ლიფტების მეშვეობით დავეყვანოთ რთულად. ვაშლიჯვარის ახალი უბანი 66 ათას მაცხოვრებელზე გათვალისწინებული.

ზღვისუბანი დავეყვანოთ ლოტინის მთის დასახლების ნაკვეთს, მის მიმდებარე ტერიტორიებზე და ვადაშუყვეტი ნებისუბანი 58 ათას მაცხოვრებელზე (არქიტექტორები: თ. არველაძე, ი. სანაძე, გ. შველია). ჩრდილოეთით და დასავლეთით ტერიტორიის მთის ფერდობები ესაზღვრება, აღმოსავლეთით თი იგი თბილისის ზღვის დასვენების ზონამდე ვრცელდება. ზღვისუბანის სამი მიკრორაიონიდან ერთი თავისუფალ ტერიტორიაზე განლაგდება, ხოლო ორი — სარეკონსტრუქციო ნაკვეთებზე. ფერდობზე განლაგებული განაშენიანება მკაფიოდ აღიქმება ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან. მიკრორაიონის ორ ნაწილად ყოფს ბორცვი, რომელზედაც ავეტორებმა საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრი განაღვა. საზოგადოებრივი შენობები ბორცვის ორთავე მხარეზეა დასმუ-



ლი. საზოგადოებრივი ცენტრის ამ ორი ნაწილის კავშირი განხორციელდება გვირაბის საშუალებით, რომელსაც თავის მხრივ მეტროს სადგურისკენ ექნება განშტოება. პროექტი გვთავაზობს რელიეფის შესატყვის საინტერესო კომპოზიციურ წყობას.

აქ შინაინის ტერიტორია თბილისის სზღვაზე გადის ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ამჟამად ეს ნაკვეთი სოფლის მეურნეობით და ინდივიდუალური ნაკეთობითაა დაკავებული. 415 ჰექტარზე ორი საცხოვრებელი რაიონია გათვალისწინებული (არქიტექტორები: ნ. მიქაძე, ო. მანჯავიძე, ვ. ნუცუბიძე, დ. სვანიძე). თვითეულ მიკრორაიონში საშუალოდ 12 ათასი მოსახლე იცხოვრებს.

ლოკინი განლაგებულია თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, ლოკინის ხევსა, კახეთის გზატკეცილსა და რკინიგზის ხაზს შორის. დეტალური დაგეგმარების პროექტში აქ ორი საცხოვრებელი კომპლექსია გათვალისწინებული. რომელთა მიჯნაზე საზოგადოებრივი ცენტრია ნაგულისხმევი (არქიტექტორები: ო. არველაძე, გ. შავდია). სტრუქტურის კომპოზიციურ ლერქს წარმოადგენს ვრცელი ზეიანი, რომელიც მთელ სიგრძეზე გადაკვეთს განაშენიანებას. ამ ლერქზე იქნება თვემოყრილი სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი და საეკპრო დაწესებულებები. ტერიტორიის აღმოსავლეთ კიდეზე ნაწილზე გაშენდება ქალაქის დასვენების ზონა. უბანი ძირითადად 9 და ნაწილობრივ 16-სართულიანი სახლებით განაშენიანდება. ლოკინი 16675 თბილისელს დაიტევს.

კრწანისის საცხოვრებელი რაიონი განთავსდება ორი მთის ფერდობებს შორის და ეიწრო ზოლის სახით მტკვრისკენ ჩამოვა. ტერიტორიაზე მკვეთრად გამოიყოფა ორი ტერასა, რაც განსაზღვრავს დაგეგმარებით პრინციპებს. განაშენიანება ორ ზედა და ქვედა კომპლექსად იყოფა. ზედა ტერასაზე დაპროექტებულია საცხოვრებელი კომპლექსი 4 ათას მაცხოვრებელზე. სახლები დაფუძვნილია საპარკო ხასიათის მქონე ქუჩის გარშემო, რომლის კონფიგურაცია რელიეფს გაცვება. აქ სახლების ორი ტიპია გამოყენებული: 20-სართულიანი კოშკურა და 12 სართულიანი ვალერეიანი. სახლები თავს იყრიან საპარკო ქუჩისკენ გახსნილ შიდა ეზოების გარშემო. ქვედა ტერასის კომპლექსი რელიეფის ხასიათის მიხედვით ცალკეულ ჯგუფებადაა დაყოფილი. მათგან ყველაზე ვრცელი იმეორებს ზედა ტერასაზე გამოყენებულ დაგეგმარების პრინციპს. ზედა ტერასის ყველაზე მაღალ ნიშნულზე დაპროექტებულია რაიონული მნიშვნელობის პარკი, საიდანაც



კობალჩიის ქუჩის კუთხე. რეკონსტრუქციის ავტორი არქ. შ. ყავლაშვილი

წარმატაი ხედები იშლება გარემოზე. ამ უბანში 5,5 ათასი თბილისელი დაბინავდა.

ბაგეში ო მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსი 8500 მაცხოვრებელზეა გათვალისწინებული (ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელია ბ. მაინაიშვილი). მიკრორაიონის კომპოზიციური წყობა ფერდობის სამ ბუნებრივ ტერასაზე განლაგებული საცხოვრებელი კომპლექსების ურთიერთკავშირზეა დაფუძნებული. თვითეული კომპლექსი გაშენდება 16-სართულიანი კოშკურა, კასკადური და 4-5 — სართულიანი ტერასული სახლებით. კომპლექსი დაგეგმარებულია მომსახურების ყველა ელემენტის გათვალისწინებით. მიკრორაიონის ცენტრი განთავსებულია ქვედა ტერასზე, ხოლო პირველადი მომსახურების ობიექტები განლაგებულია ე. წ. კასკადური კომუნიკაციური სახლების გახსნილ სართულზე. კომუნიკაციური სახლების ავტორებია: ბ. მაინაიშვილი, პ. ძიძიგური, თ. ზედელაშვილი, ნ. კოშაძე. სახლები განლაგდება ქანობის მიმართულებით. ყოველი ოთხი სართულის შემდეგ იწყოება გახსნილი სართულბი და გადასასვლულები. კასკადურ სახლებშია გადასასვლულების არსებობა უზრუნველყოფს მიხედვით კავშირს კომპლექსის სიღრმეში განლაგებულ სახლებთან. ამგვარ

რად, გახსნილი სართულები ფეხით სასიარულო ქუჩების ფუნქციას შეასრულებენ, მით უმეტეს, რომ ამ დონეზე განლაგდება პირველადი მომსახურების დაწესებულებები.

გარდა ამისა, დაპროექტებულია საცხოვრებელი რაიონები: ფონიჭალა, იყალთო-ბახტრიონი, ვარკეთილი, ვარკეთილი-ელია.

ჩვენს ქალაქში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ბინათმშენებლობის ერთ-ერთი პრობლემათაგანია ერთფეროვნების თავის არიდება. ჰემმარიტებაა, რომ ძიება ძირითადად სამშენებლო ინდუსტრიის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ. ამ მიზნით შედგენილ იქნა ინდუსტრიული ნაკეთობების კატალოგი. მის საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი რაც კატალოგის ხარისხის შემოწმების საშუალებასაც იძლეოდა. რა თქმა უნდა, ყოველი ღონე უნდა ვიზმართო ინდუსტრიული მონოლითური რკინა-ბეტონის დასაწერად. მონოლითური რკინა-ბეტონი — უაღრესად მოქნილი


სამშენებლო მასალა, უამრავ საშუალებას სთავაზობს არქიტექტორს. ხუროთმოძღვრულ უნდა შეექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ მან შეძლოს დააკმაყოფილოს აქსიომად ქცეული მოთხოვნა: ჰარმონიულად განვითარებული თანამედროვე ადამიანისათვის სრულფასოვანი გარემოს შექმნისას ესთეტიკური ამოცანები სოციალური მოთხოვნებთან თანაბრად უნდა წყდებოდეს.

საქართველოს ქალაქების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანათაგანია მთავორიანი რელიეფის ათვისება. ამ მიმართულებით წარმოებს სამუშაოები წამყვან საპროექტო ინსტიტუტებში. „თბილნიიკში“ შექმნილ ერთ ასეთ პროექტზე, ე.წ. კასადური-კომუნიაკიური სახლებზე საუბარი გვერინდა ბაგების განაშენიანების პროექტის განხილვისას. ამ პრობლემაზე მუშაობენ „თბილქალაქპროექტის“ და „საქქალაქმშენსაპროექტის“ არქიტექტორებიც. ამას მოწმობს თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის მიმდებარე ფერღონზე არქიტექტორების ო. კალანდარიშვილის და გ. ფოცხიშვილის პროექტის განხორციელება. დამუშავებულია აგრეთვე სამსართულიანი სახლების პროექტების ახალი სერია ე.წ. „არმაზი-77“ (არქიტექტორები: ე. შერმაზანაშვილი, გ. ოწყეშაშვილი, დ. ჯაფარიძე, ს. ქართველიშვილი, დ. გულვერდაშვილი). ეს სერია სახლების 35 სახეობას მოიცავს. გეგმარება მოქნილია და ბინების ტრანსფორმაციის საშუალებას იძლევა ოჯახის შემადგენლობის მიხედვით. სახლები შესაძლოა ვაშენდეს 25%-იან ქანობზე. მათი ვარაიციულობა კი დაგეგმარებითი და სივრცითი სტრუქტურის ნაირსახეობას წარმოქმნის.

საქართველოს ტერიტორიის „მრავალსართულიანი“ კლიმატური სტრუქტურა აქვს — ალპური ზონიდან სუბტროპიკებამდე. ასევე განსხვავებულია მეურნეობის წარმოების წესებიც. განსხვავებული კლიმატური პირობები და მეურნეობის სპეციფიკური მხარეებისტორიულად ჩამოყალიბებულ ყოფასთან ერთად, განსაზღვრავენ ყოველი კლიმატური ზონის არქიტექტურის თვითმყოფადობას. საკმე მხოლოდ დაგეგმარების თავისებურებაში როდია, არამედ მშენებლობის განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობებშიაც. ასე მაგალითად, შეუძლებელია დიდგაბარიტანი ინდუსტრიული ნაკეთობების ტრანპორტირება მაღალმთიან დასახლებებში, რაც ადგილობრივი მასალის გამოყენების აუცილებლობაზე მიგვიითებს. ამგვარი ასპექტი მრავალია.

სოფლის მცხოვრებთა კულტურული დონის და კეთილდღეობის ამაღლებამ გამოხატულება ჰპოვა სოფლად მშენებლობის მასშტაბების ზრდაშიც. განსაკუთრებული ყურა-

დასასვენებელი სახლი „მზიური“ ვაგრაში. არქ. შ. კვიციანიძე.





დღემა ეთმობა ბინათმშენებლობას. წინა წლებში ჩვენი არასაკმარისი მეცადინეობის გამოც სოფლად ვაინდა უსახური, ზოგჯერ ობიექტური გემოვნების სასლები, რომლებსაც შტამბავენ ადგილობრივი ან მოწვეული „ოსტატები“.

„საქსასოფლოპროექტი“ ძირითადი ყურადღება სხვადასხვა ზონისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური სახლების პროექტების შედგენას ეთმობა, ადგილობრივი ყოფისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით. ჯერ კიდევ სამოციან წლებში დამუშავდა ოცდაათამდე პროექტი ინდივიდუალური მშენებლობისათვის. უკანასკნელ წლებში შეიქმნა ახალი, უფრო სრულყოფილი პროექტები. წარმოგება ექსპერიმენტული მშენებლობაც ავტორების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, რათა არ მოხდეს გადახვევა პროექტთან. ერთი ასეთ მაგალითთანაა მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლება (არქიტექტორები: ი. მარლიშვილი, დ. მორბედაძე, თ. კვერციანიშვილი, ლ. მჭედლიშვილი). დასახლება სწორადგელზეა განლაგებული და რეგულარულ დაგეგმარებაზეა დაფუძნებული. სრულიად საწინააღმდეგო ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ ავტორები (ი. მარლიშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მჭედლიშვილი) ასევე ექსპერიმენტული, ამჯერად მთის სოფლის — გუდალის განაშენიანების პროექტის შედგენისას. ორივე შემთხვევაში ავტორებმა შეადგინეს როგორც დაგეგმარების, ასევე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების პროექტები. ამავე ჯგუფმა ბოლომდე მიიყვანა მშენებლობა. წარმატება ექვს ვარეშა, როგორც მეჯვრისხევი ასევე გუდაში. ავტორები ზედმწიფებით ემყდნენ არქიტექტურული გამოსახველობის საშუალებებს ტრადიციების, მეურნეობის თავისებურებების, ყოფის გათვალისწინებით. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სახლების არქიტექტურა ავტორთა მალე პროფესიონალიზმს და ხალხური არქიტექტურის ნიუანსების ცოდნას მ-წმობს. საინტერესოა მთის სოფლის ბოსოს პროექტიც, რომელიც ხეცურეთის მაღალმთიან ზონაში მდებარეობს (პროექტის ავტორებია საქართველოს პოლექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები, არქიტექტორები: ვ. ლავითია, შ. ბოსტანაშვილი, მ. გუგუნივა).

საპირველი კურორტების ქვეყანაა, რაც კლიმატური პირობების ნაირსახეობით და უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებით არის განირჩეული. 1980 წელს რესპუბლიკის კურორტებმა დაახლოებით ოთხი მილიონი დამსვენებელი მიიღო. მოსალოდნელია, რომ 2000 წელს ეს რიცხვი 10 მილიონს მიაღწევს. ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სა-

კურორტო ტერიტორიების რაციონალურ გამოყენებას და ეფექტურ ღონისძიებებს ვარეშის დასაცავად. ამ ასპექტში ცხადი ვადა საკურორტო მშენებლობის გამსხვილების და კონცენტრაციის აუცილებლობა.

ბოლო წლებში გატარდა ღონისძიებები საკურორტო მშენებლობის მოწესრიგების მიზნით. დამუშავებულია კურორტებისა და ტურიზმის განვითარების სქემა 2000 წლისათვის. შედგენილია შავიწყვილისპირა ზოლის (პსოუდან თურქეთის საზღვრამდე) დეტალური დაგეგმარების პროექტი. გარდა ამისა, დამტკიცებულია ვაგრის, ბორჯომის, წყალტუბოს, ახალი ათონის, ქობულეთის, ლესელიძის, განთიადის, ურეკის, ზაზმაროს, აბასთუმანის, შოვის, მენჯის, მწვანე კონცხის, გუდაუთას და სხვათა რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტები.

საყოველთაოდ არის ცნობილი პოპულარული კურორტის ვაგრის ბუნებრივი და კლიმატური თვისებები. იგი მიეწოდება წლის განმავლობაში მოქმედებს. გენერალური გეგმის მიხედვით (არქიტექტორები: ლ. ვაშაძე, კ. ბაგრატიონი, ნ. მიქაძე) კურორტი სასმრების მიმართულებით ზღვის პარალელურად განვითარდება. საქმე იმაშია, რომ სასმრებით მთები იხევენ სანაპიროდან და ამით სიღრმეში გასვლის საშუალებას იძლევიან. პროექტი ითვალისწინებს კურორტის ტედალორტის მაქსიმალურ ვაზრდას საპლაჟო რესურსებით დასაშვები ფარგლების საზღვრებში. გათვალისწინებულია კურორტისათვის გამოსადეგი ტერიტორიების მაქსიმალური ათვისება. დეტალურადაა დამუშავებული ის ნაწილი, რომლის გამოყენება შესაძლებელია 2000 წლისათვის. დღეს კურორტი 5 ათას კაცს იტევს. 2000 წლისათვის დამსვენებლების რაოდენობა 9 ათასამდე გაიზრდება. ძირითადი აქცენტი გადატანილია დიდი საკურორტო კომპლექსების, უპირატესად პანსიონატების და საკურორტო სასტუმროების, შექმნაზე.

ზღვას მიმდვარი ციკაბო კალთები ართულეებენ არქიტექტორის ამოცანებს და, ამავე დროს, მის შემოქმედებას ძეგლის საინტერესო ასპარეზს უქმნიან. ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითია დასასვენებელი სასლი „მზილი“ (არქიტექტორი შ. ქვიციანიძე). შენობა 60 გრადუსიან ქანობის მქონე ფერდობზე დგას. იგი ორი, სხვადასხვა დონეზე დაკავშირებული, ბლოკისაგან შედგება: 12 სართულიან საძლე და 3-სართულიანი საზოგადოებრივი კორპუსებისაგან. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საძლე ბლოკის მე-8 და მე-12 სართულების საინტერესებზე. ძირითადი კორპუსი შენობისაა, კარგად არის მორგებული რელიეფზე და ორგანულად ერწყმის ლანდშაფტს.

საქართველოს შვიზღვისპირეთის კურორტაგან ერთ-ერთი ყველაზე ტყედილი იქნება სანატორიული კომპლექსი „ოქროს სანაპირო“. იგი 800 დამკვნივებულს მიიღებს (არქიტექტორები: გ. ჯაბუა, დ. ჩხვიძე, ზ. შავაძე, მ. პაპავა). კომპლექსის კომპოზიცია კომპაქტურია, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემადგენელი მოცულობის კონტრასტზეა აგებული.

ბოლო დრომდე შვიზღვისპირზე საკურორტო მშენებლობა ძირითადად ჩრდილოეთ ნაწილში ვითარდება და ერთგვარად „მოვიწყებული“ იყო მისი სამხრეთი ფრთა და სრულიად უსამართლოდ, რადგან აქ თვალწარმატაცი ბუნებაა და პლიაჟების საკმაო რესურსებიც. უკანასკნელ ხანს საქართველოს ამ ნაწილში მკვეთრად გაიზარდა მშენებლობის ტემპები. ურევში დაბორძიქებულია კურორტი 20 ათას ადგილზე, მათ შორის 10 ათასი ადგილი ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული (არქიტექტორები გ. თოთიბაძე, თანაავტორი გ. ქინქლაძე).

ინ არ აღტაცებულია ქობულეთის პლიაჟებით და ზღვის ნაპირს გაყოლებული ფიქვანართ. შესამჩნევია ქობულეთში საკურორტო მშენებლობის გადართობა. ყურადღებას იპყრობს მშენებლობის სამინისტროს პანსიონატი 500 ადგილზე (არქიტექტორები: ა. ყრუაშვილი, მ. მემპირაშვილი, რ. პავლიაშვილი). საფეხურებზე მზარდი მოცულობა და ტეხილისბრტყიანი ფსადი, ჩრდილ-სინათლის კონტრასული შენაცვლება აუტრულობა ანიჭებს შემობის კომპოზიციას. ამ ადგილებში შენდება აგრეთვე სასტუმრო 3000 ადგილზე (არქიტექტორები: კ. ცინცაძე, ნ. მიქაძე, თ. ჯავახიშვილი).

50-იან წლებიდან, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, არქიტექტურის ესთეტიკაზე, შენობის მხატვრულ სახეზე თითქოსდა ლაბარაიცი კი უხერხული იყო. მას (მხატვრულ სახეს) გამართულად გაწყობილ ფუნქციონალურ-კონსტრუქციულ სქემიდან ავტომატურად გამომდინარე კატეგორიად მიიჩნევდნენ. არქიტექტურის ხშირად უსაყვედურებდნენ აბსტრაქტულობას, უსახურობას „ემოციური შიშის“ გრძნობას ტოვებენ არა მარტო მასიური მშენებლობის რაიონები, არამედ არაფრისმოქმედი მინისა და ბეტონისაგან შექმნილი პრიზმები თუ ქილები, აღმინისტრაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებების გასანათესებლად ასეთი ნაგებობები არ ითვალისწინებენ ადგილმდებარეობას, შეიძლება გაჩნდნენ და ჩნდებიან კიდევ ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში, ნებისმიერ ქვეყანაში. გამოშულებული სქემები, სიტობს მოკლებული ინდუსტრიული ფორმები აღარიბებდნენ შენობის გამოშახველო-

ბას, სულს აცილდნენ არქიტექტურას. კარგა ხანია რაც დამკვიდრდა დოგმატური მნიშვნელობა, რომ არქიტექტურის ე. წ. „სიმაართლე“ მელავნდება მხოლოდ შენობის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ სქემაში. ასეთი „სიმაართლის“ ძიებას ხშირად სქოლასტიკურ პროტოკოლოზმამდე მივყავით. დადავდო კრიტიკულად შევხვდით ფუნქციონალიზმსა და ტექნიციზმის ამ დომემებს, რომლებმაც დააჩინეს არქიტექტურის ესთეტიკური ღირსება. არაერთი შენობის მაგალითზე ვრწმუნდებით, რომ ის, რაც კარგად ფუნქციონირებს, ყოველთვის კარგად როდი გამოიყურება. რაღა თქმა უნდა, ვერაფრით ვერ ვუარყოფთ არქიტექტურის შინაარსის მრავალმხრივობას, მატერიალური და სულიერი საწყისების რთულ ურთიერთკავშირს. და მარცხ, დღეს არქიტექტურის ესთეტიკური როლის ამაღლება მეტად აქტუალური პრობლემაა. შენობის კონსტრუქციის, მასალის და ფუნქციის გამოვლენა (საცხოვრებელი საავადმყოფოში არ უნდა ავეროს) არქიტექტურის ელემენტარულ მხარეა, ის საყრდენია რომელზედაც უნდა აიგოს ხუროთმოძღვრების სულიერი იარუსები. მხოლოდ ამგვარი მიდგომით შეიძლება არქიტექტურის ჩართვა იდეოლოგიის მაღალ სფეროში.

წერილის დასაწყისში აღინშნა, რომ 70-იან წლებში შესამჩნევი გახდა მზარდი ყურადღება შენობების არქიტექტურულ-მხატვრული სახის ჩამოყალიბებისადმი. მართალია, ეს გარდატეხა ჯერ კიდევ არ გადაზრდილა მყარ შემოქმედებით პრინციპებში, მაგრამ ძიების მიმდინარეობა აშკარა და ამით დღევანდელი არქიტექტურა მკაფიოდ განსხვავდება 60-იან წლებთან შედარებით.

შესამჩნევა არქიტექტურის და მხატვრის კონტაქტების გაღრმავება. ქალაქების მოედნების, ქუჩების და ცალკეული ნაგებობების მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში სულ უფრო მონაწილეობს მონუმენტური ქანდაკება, მოზაიკა და დეკორატიული ხელოვნების სხვა დარგები.

გვაქვს რწმენა იმისა, რომ 80-იანი წლები ქართული არქიტექტურის განვითარების გზაზე ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის მაუწყებელი იქნება.



მემორული და შემოქმედებითი შრომის სასახელო გზა განვლო ჭოლა კუკულაძემ. იგი დაიბადა 1921 წელს ლანჩხუთში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ბავშვობიდან მხატვრობით გატაცებული ყმაწვილი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლაზე ოცნებობდა, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა შეუქცევია ფრთები მის ოცნებას. ჭოლამ ჯარისკაცის ფარავა ჩაიცვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, ომის პირველი დღეებიდანვე შეუპოვრად ებრძოდა მტერს. ლატვიის მიწაზე ერთ-ერთი შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ერთი ბანაკიდან მეორეში გადაჰყავდათ. ბევრჯერ გახდა ფაშისტური მხეცობის მოწამე და ნანახი და განცილი შემდეგ ქალაქდზე გადაჰქონდა. ასე აღბეჭდა მან სებეტის ბანაკის ერთ-ერთი ტყვე ებრაელის სასოწარკვეთილი სახე («ებრაელი დახვრეტის მოლოდინში»).

ფაშისტებმა გადაწვეს სოფელი მენქე ცოცხლად დაწვეს და დახოცეს სოფლის მთელი მოსახლეობა. ამ შემზარავმა ტრაგედიამ შემდგომში მხატვარს შთააგონა შექმნა სურათი „იატაკევეშენი“.

ჭოლა კუკულაძისა და ბელორუსი ვასილ მაქსიმოვის მეგობრობა ჯერ კიდევ ლატვიაში სამხედრო სამსახურის დროს განმტკიცდა. ბედმა ისინი ტყვეობაშიც ერთმანეთს შეახვედრა. ამობილებმა მოახერხეს სებეტის ტყვეთა ბანაკიდან გაქცევა და ბელორუსიის უღრან ტყეებს შეაფარეს თავი. ვასილმა თავდადებული მეგობრობა გაუწია ჭოლას, მძიმედ დაჭრილი მშობლიურ როსინის რაიონის სოფელ კრასნოპოლიეში მიიყვანა და თავის ოჯახში დაიბანავა. ვასილის მშობლებმა, ფაშისტური ოკუპაციის პირობებში შევილით მიიღეს იგი და მსრუნველობას არ აკლბდნენ.

ბელორუსიაში ჭოლა კუკულაძე ანტიფაშისტური ორგანიზაციის „ესელციის“ აქტიური წევრი გახდა. ხატავდა პლაკატებს, კარიკატურებს, სააგიტაციო ფურცლებს რომლებსაც შემდეგ ხალხში ავრცელებდნენ.

იატაკევეშელთა საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მტერს და პატიოტებმაც ტყეს შეაფარეს თავი. მაქსიმოვების ოჯახიდან ვასილი, ივანე, ჭოლა, მათთან ერთად სოფლის სხვა მამაკაცებიც საბოლოოდ დაირაზმნენ, შინ მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები დარჩნენ. ისინი ვოროში-

# ომგადახდილი მხატვარი

## სპარტაკ რეხვიაშვილი

ლოვის სახელობის პარტიზანულ რაზმში გაერთიანდნენ.

ჭოლა კუკულაძე ხატვასაც განავრძობდა, ცხარე საბრძოლო პირობებში შექმნა მან ჩანახატები: „ილია სუბოტინი!“, „პარტიზან მიხეილ ბაუტენკოს გმირობა“, „მენადგებები მდ. დრისას ხიდზე“, „თვითმფრინავის ჩამოგდება“, „პავლიუე ბარახანოვი“ და სხვ. ფაშისტებმა შური იძიეს კრასნოპოლიელებზე, 1942 წლის ზამთარში 44 მამაკაცი ჩაეკეტეს მაქსიმოვების სახლში და ცოცხლად დაწვეს. ვასილის და — ნინა მაქსიმოვა ფაშისტებმა მხეცურად მოკლეს.

პარტიზანებმა მალე იძიეს შური ფაშისტებზე. ბოლომდე გაანადგურეს ვერმანელთა ვარნიზონი.

პარტიზანი მხატვარი ხანდახან ტყეში აწყობდა თავისი ნახატების „გამოფენას“, მოდიოდნენ ახლო-მასალი სოფლების მშრომე-



„პარტიზანის დეა“. ბელორუსიაში, კრასნოპოლესში აგებული ძეგლი. ავტორი კ. კუკულაძე

ლები, პარტიზანები და ამ სურათების ხილვით უფრო უღვივდებოდათ დამპყრობლების წინააღმდეგ შურისგების ვრანობა.

1944 წლის ივნისში კ. კუკულაძე მოსკოვში გამოიძახეს პარტიზანული მოძრაობის ცენტრალურ შტაბში. ქართველი მხატვარი სწორედ აქ შეხვდა პირველად შტაბის უფროსს პ. პონომარენკოს. შტაბში კ. კუკულაძეს უკვე კარგად იცნობდნენ, როგორც მამაც მებრძოლსა და ნიჭიერ მხატვარ-პარტიზანს. 1945 წელს კ. კუკულაძე უშუალოდ პ. პონომარენკოს რეკომენდაციით მიავლინეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ომგადახდილი ვეკაეკი პროფესორ აპოლონ ქუთათელაძის კლასში ბატალურ სახელსწრწოში სწავლობდა.

1950 წელს კ. კუკულაძემ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და მას შემდეგ სოხუმში მიღვავებულს.

ყოფილი პარტიზანი ხშირი სტუმარია ბელორუსიის როსონის რაიონის იმ ადგილებში, სადაც პარტიზანული ბრძოლების ცხარე დღეები გაუტარებია. აქ მას ხის ერთ-ერთ ფულეროში გადამალული იმდროინდელი ნამუშევრები ეგულეობოდა. ერთხანს ბეკრი ეტბა. ფრონტულ ჩანახატებს ვერ მიაკვლია, ბოლოს ბედმა გაუღომა, ერთ-ერთი ხის ფულეროში ხელი ჩაპყო და გაყვითლებული ტილოს დიდი შუკერა გაშალა. ყველაფერი ხელახლებული დახვდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აქ იყო მისი ფერწერული ნამუშევრები, ჩანახატები, ესკიზები და სხვ. ეს ნამუშევრები დღეს კ. კუკულაძის საოჯახო არქივში ინახება.

